178/3
1980

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISSN 0132—5981

სანკტ-პეტერბურგი

ტბილისი - 1980

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა საქართველო

№ 3

მაისი
ივნისი

1980 წელი

ჟურნალი გამოდის 1926 წლის 1 მარტიდან

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს მეცნიერულ-პრაქტიკული ჟურნალი

შინაარსი

დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 35-ე წლისთავი 3
ბ. გიორდეევი — სამხედრო იურისტები დიდი სამამულო ომის წლებში 5
ა. ბარაბაძე — პროკურატურის ორგანოები ახალი ამოცანების წინაშე 10
გ. გვეტაძე — შეექმნათ დამნაშავეთა მიმართ შეუწყნარებლობის ატმოსფერო . . . 20
ვ. კაჭარავა — კანონი იცავს ბუნებას 28
გ. ერემოვი — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი 39
დ. სუხიტაშვილი — წილის გამოყოფა, როგორც საერთო საკუთრების მოსპობის საფუძველი 47

კანონის კომენტარი

პასუხისმგებლობა საპასპორტო წესების დარღვევისათვის 53
ვალმოხდილები 57
სანიმუშო მოქალაქე და მოღვაწე 62
საქართველოს სსრ პროკურატურაში 65
ინფორმაცია 67
თინათინ წერეთლის ხსოვნას 72
კარგი საჩუქრები ქართველ იურისტებს 79

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

СОДЕРЖАНИЕ

Тридцать пять лет победы Советского народа в Великой Отечественной войне 3
Д. Гордеев — Военные юристы в годы Великой Отечественной войны . 5
А. Барабадзе — Органы прокуратуры перед новыми задачами . . 10
Г. Гвегадзе — Создать атмосферу непримиримости в отношении преступных лиц 20
В. Качарава — Закон оберегает природу 28
Г. Еремов — Регламент Верховного Совета СССР 39
Д. Сухиташвили — Выделение доли как основание прекращение общей собственности 47

КОММЕНТАРИИ К ЗАКОНУ

Ответственность за нарушения паспортных правил 53
Выполнившие долг перед Родиной 57
Гражданин и деятель 62
В коллегии прокуратуры ГССР 65
Информация 67
Памяти проф. Т. В. Церетели 72
Хороший подарок грузинским юристам 79

სარედაქციო
კოლეგია:

ო. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), **ლ. ალექსიძე, ა. ბარაბაძე,**
გ. ინწკირველი, ა. კარანაძე, მ. ლეკვეიშვილი,
გ. ტყემელიაძე, ვ. ქვაჩახია, ა. შუშანაშვილი, თ. წერეთელი,
ა. ხოჭოლავა, ს. ჯორბენაძე.

რედაქციის მისამართი, თბილისი, ალიხანოვის კრ. 103. ტ. 95.58.87, 95.88.49.

გადაეცა ასაწყობად 3. IV. 80 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 18. VIII. 80 წ., ფორმატი 70×108 1/16, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 7. საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 7,5
შეკვ. № 976. ტირაჟი 15450. უე 07587.

სსრ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 35-ე წლისთავი

ოცდათხუთმეტი წელი გავიდა 1941-1945 წლების დიდი სამამულო ომის დამთავრებიდან. სსრ კავშირისა და მოძმე სოციალისტური ქვეყნების მშრომელებმა, მთელმა მსოფლიომ ზეიმით აღნიშნა გერმანულ ფაშიზმზე გამარჯვება. მადლიერი კაცობრიობა არასოდეს არ დავიწყებს საბჭოთა ხალხის უკვდავ გმირობას დიდ სამამულო ომში. სწორედ საბჭოთა ხალხმა, მისმა შეიარაღებულმა ძალებმა გადაწყვიტეს ომის ბედი, თავისი მხრებით ზიდეს ომის მთელი სიმძიმე, დაამსხვრიეს მანამდე უძლეველად აღიარებული ჰიტლერული სამხედრო მანქანა. იხსნეს კაცობრიობა ფაშისტური ბატონობისაგან, გადაარჩინეს დაღუპვის წინაშე მდგომი მსოფლიო ცივილიზაცია. ამ გამარჯვებამ განსაზღვრა ომისშემდგომი მსოფლიოს მომავალი განვითარება მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის გზით. შეიქმნა შესანიშნავი საერთაშორისო პირობები კაცობრიობის შემდგომი სოციალური პროგრესისათვის.

აი უკვე უცდათხუთმეტი წელია მსოფლიო მშვიდობის პირობებში ცხოვრობს. ამაში უდიდესი დამსახურება მიუძღვის საბჭოთა კავშირს — მშვიდობის ნამდვილ მედროშეს, რომელიც თანმიმდევრულად ახორციელებს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის კურსს.

დიდი სამამულო ომი მამაცობისა და უმძიმესი გამოცდის სკოლა იყო. ომში ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, რომელიც აღაფრთოვანებდა ჩვენს ხალხს ძლიერი და ვერაგი მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად, უზრუნველყოფდა ყველაფრით, რაც საჭირო იყო გამარჯვებისათვის.

ჩვენს გამარჯვებაში უდიდესი წვლილი საბჭოთა მეომრებთან ერთად შეიტანა მუშათა კლასმა, კოლმეურნე გლეხობამ, საბჭოთა ინტელიგენციამ, რომელთა თავდადებული და გმირული შრომის წყალობით მთელი სახალხო მეურნეობა უმოკლეს ვადაში გარდაიქმნა ომის ყაიდაზე, ფრონტი და ჩვენი მეომრები უზრუნველყოფილი იყვნენ იარაღითა და საჭურვლით, სურსათითა და მედიკამენტებით.

მთელ ხალხთან ერთად ომში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის ტერიტორიული პროკურატურის, სახელმწიფო უშიშროების, იუსტიციის, შინაგან საქმეთა და სასამართლო ორგანოების მუშაკები, აგრეთვე საქართველოში მოქმედი სამხედრო იუსტიციისა და პროკურატურის თანამშრომლები. ომის დასაწყისშივე ადმინისტრაციული ორგანოების ბევრი მუშაკი მოქმედ არმიაში მოხალისედ წავიდა და ფრონტზე მამაცთა სიკვდილით დაიღუპა. მათ შორის იყვნენ ქალებიც.

ომი მოითხოვდა რკინისებურ დისციპლინას, საბჭოთა კანონების განუხრელ დაცვას, ბრძოლას ჯაშუშებთან, მტრის აგენტურასთან, დეზერტირებთან და პანიკიორებთან. სამხედრო იუსტიციისა და პროკურატურის მუშაკები ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, აგრეთვე ტერიტორიული პროკურატურისა და სასამართლო ორგანოებთან მჭიდრო კავშირურთიერთობის წყალობით ყველაფერს აკეთებდნენ, რათა აემაღლებინათ ზურგში, არმიაში და ფრონტისპირა ზონაში დისციპლინა, დაერაზმათ ყველა საძულველი მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ ორგანოებმა თავიანთი წვლილი შეიტანეს ფაშიზმის განადგურებაში, საბჭოთა ხალხის გამარჯვებაში.

სამწუხაროდ, არც რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების, არც სამხედრო იუსტიციისა და პროკურატურის ეს საქმიანობა სათანადოდ არ არის ასახული. მათ შესახებ არ არის არა თუ გამოკვლევა, უბრალო ბროშურაც კი. საქმეს, რა თქმა უნდა, ვერ შველის ყურნალ „საბჭოთა სამართლის" ფურცლებზე თუ სხვა პერიოდიკაში გამოქვეყნებული მასალები, რომლებშიც ასახულია მათი თავდადებული, მამაცური შრომა და ბრძოლა. ომის ბევრი ვეტერანი დღესაც ჩვენს გვერდით შრომობს, პატიოსნად იხდის თავის მოვალეობას ხალხის წინაშე და პატივისცემას იმსახურებს. ჩვენი ვალია ყოველმხრივ ვიზრუნოთ მათზე, გამოვიჩინოთ მაქსიმალური სითბო და ყურადღება, მხარი დავუჭიროთ მათ მიერ წამოწყებულ ყოველ კეთილ საქმეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი მუშაკების ერთი ნაწილი ვედარ დაუბრუნდა ოჯახს. მათი შრომა და საბრძოლო დამსახურებაც არ უნდა იქნეს დავიწყებული.

პარტია და საბჭოთა ხელისუფლება დიდ ზრუნვას იჩენენ ომის ინვალიდების, მონაწილეების და მათი ოჯახის წევრთა მიმართ. ამის კიდევ ერთი ახალი დადასტურებაა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „დიდი სამამულო ომის მონაწილეთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების დამატებით ღონისძიებათა შესახებ".

რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოები, უწინარესად პროკურატურა, მოვალენი არიან სისტემატურად ადევნონ თვალყური, თუ როგორ სრულდება ეს დადგენილება, აგრეთვე სხვა მოქმედი კანონმდებლობა, რომლებიც ითვალისწინებს შეღავათებს ომის ვეტერანებისათვის. აუცილებელია მეტი ზრუნვა გამოვიჩინოთ ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების საჭიროებისათვის, მათი გაჭირვება გულთან მივიტანოთ, აღკვეთოთ მათ მიმართ ბიუროკრატიზმის ფაქტები, რასაც სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვხვდებით.

...საერთაშორისო ჰორიზონტი ბოლო ხანს მოიღრუბლა, მსოფლიოს ბევრ რაიონში გართულდა ვითარება, იმატა დაძაბულობამ. საერთაშორისო იმპერიალიზმი, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები ხელმძღვანელობს, ცდილობს აღადგინოს ცივი ომის სულისკვეთება, ქმნის საშიშ სიტუაციებს, რასაც საქვეყნოდ და ზიზღით გმობენ მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხები.

საბჭოთა ხალხის სახელოვანი გამარჯვება დიდ სამამულო ომში მკაცრი გაფრთხილებაა ყველასათვის, ვინც დაივიწყა ისტორიის გაკვეთილები, ვინც საჭირო პრაქტიკული დასკვნები ვერ გამოიტანა ომში აგრესორების დამარცხებიდან.

სოციალიზმი სულ უფრო ფართოვდება და გაბედულად იკაფავს გზას არა მარტო ევროპის, არამედ აზიის, აფრიკის და ამერიკის კონტინენტებზეც. მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებთან ერთად მათ ძალუძთ დაძლიონ „ცივი ომის" რეციდივები, თავიდან აიცილონ ახალი ომის საფრთხე, შეინარჩუნონ და განამტკიცონ მშვიდობა.

სსრ კავშირის მშრომელები იმედით შეჰყურებენ მომავალს, თავდადებულად იბრძვიან მეათე ხუთწლედით დასახული ამოცანების ვადამდე და გადაჭარბებით შესასრულებლად. მთელი ჩვენი ხალხის უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია ცნობამ, რომ მომავალი წლის თებერვალში მოწვეულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობა. მოწინავე შრომითი კოლექტივები, თითოეული საბჭოთა ადამიანი ძალღონეს არ იშურებენ, რათა ღირსეულად აღნიშნონ ეს დიდმნიშვნელოვანი მოვლენა. ეჭვი არ არის, რომ იგი გადაიქცევა ახალ ნიშანსვეტად ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, სოციალიზმისა და დემოკრატიის ტრიუმფად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხედრო იურისტები დიდი სამამულო ომის წლებში

ბ. გორდეევი,
ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პროკურორი, იუსტიციის პოლკოვნიკი

ოცდათხუთმეტი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა ხალხმა მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება მოიპოვა 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში. ამ გამარჯვებამ მთელ მსოფლიოს უჩვენა ოქტომბრის რევოლუციით შობილი ახალი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების ცხოველმყოფელობა და ურღვევობა. იგი გადაიქცა მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის, საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის, სსრ კავშირის ხალხთა ურყევი მეგობრობის ზეიმად.

საბჭოთა ხალხმა და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მსოფლიო ბატონობის გზა გადაუღობეს გერმანულ ფაშიზმს, თავიანთი გოლიათური მხრებით ზიდეს ომის მთელი სიმძიმე, გადამწყვეტი როლი შეასრულეს ჰიტლერული გერმანიის და მილიტარისტული იაპონიის — იმპერიალიზმის ამ დამკვრელი ძალის განადგურებაში.

ომის წლებში ჩვენი ხალხისა და მეომრების მსოფლიო-ისტორულ გმირობას მიეძღვნა ბევრი სამეცნიერო შრომა, პუბლიცისტური და მხატვრული ნაწარმოები, გამოჩენილი საბჭოთა მხედართმთავრების და ომის რიგითი მშრომელების მოგონებები.

არამარტო ფართო მკითხველისათვის, არამედ სპეციალისტ-სამართალმცოდნეებისათვისაც კი გაცილებით ნაკლებად არის ცნობილი ის მოკრძალებული, მაგრამ მეტად აუცილებელი წვლილი, რომელიც საერთო-სახალხო გამარჯვებაში შეიტანეს სამხედრო იურისტებმა, რომლებიც ომის წლებში ძალზე რთულ და პასუხსაგებ ამოცანებს წყვეტდნენ.

ისევე, როგორც მშვიდობიან დროს, ომის პერიოდშიც საბჭოთა სამხედრო პროკურატურა აგებული იყო და მოქმედებდა ლენინური პრინციპების საფუძველზე, რომლებიც შემდგომში განმტკიცა სსრ კავშირის 1936 წლის კონსტიტუციამ და 1926 წლის დებულებამ სამხედრო ტრიბუნალებისა და სამხედრო პროკურატურის შესახებ. იგი სსრ კავშირის პროკურატურის ერთიან ცენტრალიზებულ სისტემაში შედიოდა. მაგრამ ომის წლებში მისი საქმიანობის სფერო საგრძნობლად გაფართოვდა. ეს მოითხოვა თვით საომარმა მდგომარეობამ და სამხედრო დროის კანონების წინა პლანზე წამოწევამ, რომელთა შესრულებისადმი ზედამხედველობა პირველ რიგში სამხედრო პროკურორებს დაეკისრათ. სამხედრო პროკურატურას ახალი დიდმნიშვნელოვანი ამოცანები დაუსახა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წლის 22 ივნისის ბრძანებულებამ საომარი მდგომარეობის გამოცხადების შესახებ, რომლის მიხედვითაც იმ ადგილებში, სადაც სამხედრო წესები გამოცხადდა, სახელმწიფო ხელისუფლების ყველა ფუნქციის შესრულება თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და სახელმწიფო უშიშროების დარგში დაეკისრა სამხედრო სარდლობას. საომარ ყაიდაზე სამხედრო პროკურატურის გარდაქმნისათვის ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1941 წლის 22 ივნისის ბრძანებულებით დამტკიცებულ დებულებას სამხედრო ტრიბუნალების შესახებ, რომლებიც ფრონტისპირა და უშუალოდ საბრძოლო ზონაში მოქმედებდნენ ,აგრეთვე ომის დროის სხვა კანონებს.

არმიასა და ფლოტში შეიარაღებული ძალების მობილიზაციის გაფართოების კვალობაზე გაიზარდა სამხედრო პროკურატურების რაოდენობა. ამას გარდა სამხედრო პროკურატურების ახალი დანაყოფები შეიქმნა რკინიგზის, საზღვაო და სამდინარო ტრანსპორტზე. იმ ადგილებში, სადაც ომის გამო პროკურატურის ტერიტორიული ორგანოები ვერ მოქმედებდნენ, მათ ფუნქციებს სამხედრო პროკურატურა ასრულებდა.

სამხედრო პროკურორები მთელ ძალ-ღონეს ახმარდნენ ზედამხედველობას იმისადმი, რომ ყველას დაეცვა და შეესრულებინა კანონები, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებები, აგრეთვე ფრონტის (ოლქის) და ფლოტის სამხედრო საბჭოების მიერ კანონის საფუძველზე გამოცემული სავალდებულო გადაწყვეტილებები და შეემოწმებინა რამდენად შეესაბამებოდა ისინი კანონებს. საპროკურორო ზედამხედველობის ყურადღების ცენტრში ომის დროს ყოველთვის იყო იმ სამართლებრივი ნორმების შესრულება, რომლებიც შეეხებოდა ქვეყნის თავდაცვის საჭიროებისათვის ადამიანთა რეზერვებისა და მატერიალური რესურსების მობილიზაციას, ნაწილებში დისციპლინისა და ბრძოლისუნარიანობის განმტკიცებას, სამხედრო საიდუმლოების დაცვას, მოქმედი არმიის ჯარების უზრუნველყოფას

16728

კ. მარქსის სახ. საკ. სსრ
სახელმწიფო ბიბლიოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაფრით (შეიარაღებით, საბრძოლო ტექნიკით, სამხედრო აღჭურვილობით, სურსათით), რაც საჭირო იყო წარმატებული სამხედრო მოქმედებისათვის. სამხედრო პროკურორები ყურადღებას აქცევდნენ სახელმწიფო და სამხედრო ქონების დაცვას, მის შენახვას, ბრძოლის ველიდან დაჭრილების დროულ ევაკუაციას და მათთვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენას. ისინი საქმის ფაქტობრივი მდგომარეობის და ჯარების წინაშე დასახული ამოცანების გათვალისწინებით განსაზღვრავდნენ მომენტისა და ვითარებისათვის ყველაზე მნიშვნელოვან საზედამხედველო ობიექტებს, მთელი სიღრმით ააშკარავებდნენ ნაკლოვანებებს, სწავლობდნენ მათ გამომწვევ მიზეზებს და უზრუნველყოფდნენ მათ დროულ აღმოფხვრას. ამ მიზნით სარდლობის გადასაწყვეტად აყენებდნენ კონკრეტულ წინადადებებს და თვალყურს ადევნებდენ თუ როგორ სრულდებოდა ისინი.

სამხედრო პროკურორები დიდ ყურადღებას აქცევდნენ, თუ როგორ სრულდებოდა ის ნორმები, რომლებიც აწესრიგებდნენ სამხედრო მოსამსახურეთა ყველაფრით მომარაგების, ხოლო მათი ოჯახის წევრების შეღავათებითა და დახმარებით უზრუნველყოფის საკითხებს, იხილავდენ მეომართა, მათი ოჯახის წევრთა და სხვა მოქალაქეთა საჩივრებს.

სამხედრო პროკურატურის საქმიანობას ომის წლებში ჰქონდა მკაფიოდ გამოკვეთილი გამაფრთხილებელი ხასიათი. სამხედრო პროკურორები, რომლებიც განუხრელად იცავდნენ ლენინურ პრინციპს დარწმუნებისა და იძულების უნარიანად შეხამების შესახებ, სამხედრო საბჭოებთან, სარდლობასთან და პოლიტორგანოებთან ერთად იმუშავებდენ პროფილაქტიკურ ღონისძიებებს და ეყრდნობოდნენ რა სამხედრო მოსამსახურეთა მასას, ახორციელებდნენ მათ.

პროფილაქტიკურ-აღმზრდელობითს მუშაობაში დიდი ადგილი ეჭირა სამართლებრივ პროპაგანდას მეომრებთან და მოსახლეობასთან. სამხედრო პროკურატურის მუშაკები ნაწილებისა და ქვეგანყოფების პოლიტორგანოების მუშაკებთან ერთად საბჭოთა მეომრებს უნერგავდენ სამშობლოს დაცვის მაღალი პირადი პასუხისმგებლობის გრძნობას, გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისადმი სიძულვილს, განუმარტავდნენ პირად შემადგენლობას, რომ უსიტყვოდ დაეცვათ და ზუსტად შეესრულებინათ კანონის, სამხედრო ფიცის მოთხოვნები, სარდლობის ბრძანებები.

აი როგორ აფასებს სამხედრო იურისტების ამ საქმიანობას გენერალ-პოლკოვნიკი მ. კალაშნიკი, რომელიც ომის დროს სათავეში ედგა 47-ე არმიის პოლიტგანყოფილებას. ეს არმია 1941-1943 წლებში ამიერკავკასიის ფრონტის შემადგენლობაში შედიოდა. „პროკურატურებისა და ტრიბუნალების მუშაკები, — წერს მ. კალაშნიკი, — ჩვეულებრივ, დიდად განათლებული და ერუდირებული ადამიანები იყვნენ. ისინი რეგულარულად უკითხავდნენ ლექციებსა და მოხსენებებს მებრძოლებსა და მეთაურებს, განუმარტავდნენ პოლიტიკური სიფხიზლის აუცილებლობას, სამხედრო ფიცის მოთხოვნებს და პასუხისმგებლობას მათი დარღვევისათვის, აცნობდნენ წითელი არმიის მეომრებს მათ უფლება-მოვალეობებს. არმიის პროკურორები ა. გომანი, სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარე ს. ნესტეროვი, პროკურატურისა და ტრიბუნალის სხვა ხელმძღვანელი ოფიცრები, სამხედრო საბჭოს და პოლიტგანყოფილების დავალებით ასეთივე მოხსენებებით გამოდიოდნენ შენაერთების პარტიული და კომკავშირის კომიტეტების მდივნების წინაშე, ატარებდნენ სპეციალურ კრებებს, რომელთა მსვლელობაში უპასუხებდნენ მებრძოლებისა და მეთაურების შეკითხვებს, უამბობდნენ მათ სამხედრო ფიცის დარღვევის ყველაზე უფრო დამახასიათებელი სასამართლო პროცესის მსვლელობის შესახებ. ასეთსავე მუშაობას ეწეოდენ დივიზიის, ბრიგადის პროკურორები, სამხედრო ტრიბუნალების თავმჯდომარეები“[1].

სამხედრო პროკურატურის ორგანოები, რომლებიც ეყრდნობოდენ მშრომელების, არმიისა და ფლოტის მეომრების სრულ მხარდაჭერას, სახელმწიფო უშიშროების ორგანოებთან და სამხედრო ტრიბუნალებთან ერთად დაუნდობლად ებრძოდნენ ჯაშუშებს, დივერსანტებს, პროვოკატორებს, მტრის სხვა აგენტებს და მათ ხელშემწყობ პირებს, რომლებიც ცდილობდენ დაექვეითებინათ საბჭოთა მეომრების საბრძოლო სულისკვეთება, დეზორგანიზაცია შეეტანათ მათ რიგებში. სამხედრო პროკურორები მკაცრ ზომებს მიმართავდნენ აგრეთვე სამხედრო დისციპლინის ბოროტი დამრღვევების, ლაჩრებისა და პანიკიორების, დეზერტირების, სახელმწიფო და სამხედრო ქონების დამტაცებლების წინააღმდეგ. სამხედრო პროკურორები და სამხედრო გამომძიებლები, სარდლობასთან და პოლიტორგანოებთან მჭიდრო კავშირის წყალობით, ურთულეს საომარ პირობებში უზრუნველყოფდნენ სისხლის სამართლის საქმეთა დროულ აღძვრას, დანაშაულის ოპერატიულად გახსნას, დამნაშავეთა კანონის საფუძველზე და დასაბუთებულად

[1] М. Калашник. Испытание огнем, М., 1971, стр. 50.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიცემას სისხლის სამართლის პასუხისგებაში. ვითარების ხშირი და სწრაფი ცვლის, ჯარების მოულოდნელი გადაადგილების პირობებში, ოდნავი დაყოვნებაც კი მუდმივად ჰქმნიდა იმის რეალურ საშიშროებას, რომ ველარ დაეკითხათ საჭირო მოწმე და შეეგროვებინათ სხვა მტკიცებულებანი. ეს სამხედრო პროკურატურების წინაშე აყენებდა ამოცანას: განუხრელად დაეცვათ წინასწარი გამოძიებისათვის დაწესებული მჭიდრო ვადები, საპროცესო ნორმები და გარანტიები, ამასთან უზრუნველეყოთ გამოძიების მაღალი ხარისხი. ეს უმნიშვნელოვანესი ამოცანები. სამხედრო გამომძიებლებმა შესძლეს შეესრულებინათ იმის წყალობით, რომ მათ ახასიათებდათ უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა, განსაცვიფრებელი თავდადება, ინიციატივა მუშაობაში, საზრიანობა და მამაცობა, იმისი უნარი, რომ საგამოძიებო მოქმედება ჩაეტარებინათ უშუალოდ საბრძოლო ვითარებაში, სანგრებში და ტრანშეებში მოწინააღმდეგის ცეცხლქვეშ, წვიმაში, ქარსა და ყინვაში. ერთადერთი გამონაკლისი, რომელიც დაშვებული იყო მუშაობის ასეთ პირობებში, იყო ის, რომ საგამოძიებო მოქმედების ოქმი შეიძლებოდა დაწერილიყო ფანქრით. ყველა შემთხვევაში, როცა ეს საჭირო იყო ჭეშმარიტების დასადგენად, ინიშნებოდა და ეწყობოდა ექსპერტიზა. საგამოძიებო საქმის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და ნაწილების მეთაურებთან მჭიდრო კავშირის წყალობით ომის წლებში სისხლის სამართლის საქმეთა 70 პროცენტი გამოძიებული იყო ხუთი დღის განმავლობაში, მათ შორის უდიდესი უმრავლესობა — ორი-სამი დღის განმავლობაში[2]. ამას ხელს უწყობდა აგრეთვე ომის წლებში მოკვლევის ორგანოების კომპეტენციის მნიშვნელოვანი გაფართოება. მოკვლევის მუშაკებს სამხედრო პროკურორები და სამხედრო გამომძიებლები დიდ დახმარებას უწევდნენ, ეხმარებოდნენ ცოდნის ამაღლებაში, მოკვლევის პრაქტიკული ჩვევების ათვისებაში, ავალებდენ ცალკეულ საგამოძიებო მოქმედებათა შესრულებას, აბამდენ წინათ მიღებულ საქმეთა წინასწარ გამოძიებაში.

შეტევითი ბრძოლების პერიოდში სამხედრო პროკურორები და სამხედრო გამომძიებლები აქტიურად მონაწილეობდენ სახელმწიფო საგანგებო კომისიის საქმიანობაში, რომელიც ადგენდა და იძიებდა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა ბოროტმოქმედებას დროებით ოკუპირებულ საბჭოთა ტერიტორიაზე.

სამხედრო პროკურატურების საქმიანობის უმნიშვნელოვანეს და საპასუხისმგებლო მიმართულებას წარმოადგენდა ის, რომ ზედამხედველობა გაეწია სახელმწიფო უშიშროების ორგანოების წარმოებაში არსებული საქმეების გამოძიების კანონიერებისადმი. ახორციელებდნენ რა სათანადო ზედამხედველობას, სამხედრო პროკურორები უშუალოდ მონაწილეობდენ უმნიშვნელოვანეს საგამოძიებო მოქმედებაში და ამით ქმნიდნენ სოციალისტური კანონიერების დაცვის დამატებით გარანტიებს.

როგორც უკვე ითქვა, სამხედრო პროკურატურის ორგანოები მთელ თავიანთ საქმიანობას დამნაშავეობასთან ბრძოლაში და სამართალდარღვევათა თავიდან აცილებაში წარმართავდენ სამხედრო ტრიბუნალებთან ერთად. ამავე დროს სამხედრო პროკურორები უზრუნველყოფდნენ ქმედითს საპროკურორო ზედამხედველობას სამხედრო ტრიბუნალებში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისადმი და სამხედრო ტრიბუნალების მიერ გამოტანილი განაჩენების აღსრულებისადმი. იმის გამო, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წლის 22 ივნისის ბრძანებულების შესაბამისად მოქმედ არმიაში და იმ ადგილებში, სადაც სამხედრო წესები გამოცხადდა, სამხედრო ტრიბუნალების განაჩენები ძალაში შედიოდა გამოქვეყნებისთანავე და საკასაციო წესით გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა, მნიშვნელოვნად გაფართოვდა პროკურატურის ფუნქცია ასეთი განაჩენების საზედამხედველო წესით გადასინჯვის დარგში. ეს მიზნად ისახავდა თავიდან აგვეცილებინა მოსალოდნელი სასამართლო შეცდომები. სამხედრო პროკურორები უზრუნველყოფდნენ სამხედრო ტრიბუნალების მიერ გამოტანილი ყველა განაჩენის კანონიერებისა და დასაბუთებულობის დროულად შემოწმებას და დაუყოვნებლივ შედიოდნენ წარდგენებით ზემდგომი სამხედრო პროკურორის წინაშე იმ განაჩენის გაპროტესტების შესახებ, რომელიც ამას საჭიროებდა .ისინი თვალყურს ადევნებდენ აგრეთვე იმას, რომ საქმეები, რომლებიც გაპროტესტებული იყო, გაუჭიანურებლად განეხილა საზედამხედველო ინსტანციას. სამხედრო პროკურორების მხრივ არანაკლებ ყურადღებას და პასუხისმგებლობას მოითხოვდა იმ განაჩენების დროული აღსრულება, რომელთა კანონიერება და დასაბუთებულობა ეჭვს არ იწვევდა.

ომის დროს სამხედრო ტრიბუნალები, რომლებიც გადაჭრით ებრძოდენ მტრის აგენტებსა

---

[2] **А. Горный.** Военная прокуратура в годы Великой Отечественной войны, «Социалистическая законность», 1975, № 4, стр. 32.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მათ ხელშემწყობებს, სასჯელის უმკაცრეს ზომებთან ერთად, მაშინ მოქმედი კანონის შესაბამისად, ფართოდ იყენებდნენ განაჩენის აღსრულების გადავადებას და მსჯავრდადებულებს გზავნიდნენ მოქმედ არმიაში დანაშაულის გამოსასყიდად. ისინი, ვინც თავი გამოიჩინა როგორც სამშობლოს მტკიცე დამცველმა და ამით დაამტკიცა თავისი გამოსწორება, თავისუფლდებოდნენ სასჯელის შემდგომი მოხდისაგან და ეხსნებოდათ ნასამართლობა. სამხედრო პროკურორების საზრუნავი ასეთ საქმეებზე იყო ზედამხედველობა გაეწიათ იმისათვის, რომ ასეთი მსჯავრდადებული დროულად გაემწესებინათ საჯარიმო ქვეგანაყოფებში, დროულად გაეთავისუფლებინათ სასჯელის მოხდისაგან და ნასამართლობა მოეხსნათ იმათთვის, ვინც თავი გამოიჩინა მტერთან ბრძოლაში. ამ პრაქტიკამ მთლიანად გაამართლა თავისი დანიშნულება, სამშობლოს დამცველთა რიგებს შეუნარჩუნა ბევრი სამხედრო მომსახურე, რომლებმაც კანონი დაარღვიეს სულმოკლეობისა და დაბნეულობის გამო, შემდეგ კი გულწრფელად მოინანიეს ეს. სამხედრო პროკურორები აგრეთვე მიმართავდნენ ზომებს, რომ პირადი შემადგენლობის აღზრდისათვის მნიშვნელოვანი სისხლის სამართლის საქმეები განეხილათ ღია სასამართლო პროცესზე, რომელსაც ესწრებოდა პირადი შემადგენლობა და ,თუ მიზანშეწონილი და შესაძლებელი იყო, პროცესს ატარებდნენ წინა ხაზზე. შემდეგ კი მეთაურებთან, პოლიტმუშაკებთან და მოსამართლეებთან ერთად ისინი განუმარტავდენ მეომრებს გამოტანილ განაჩენს.

მოქმედ არმიაში სამხედრო პროკურორების და სამხედრო გამომძიებლების სამსახურებრივი საქმიანობა ისევე როგორც ფრონტზე მყოფი ყველა პირისა, მუდმივ რისკთან და სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებასთან იყო დაკავშირებული და დიდ ვაჟკაცობას მოითხოვდა. სწორედ ასეთი თვისებებით იყო დაჯილდოებული პროკურორების და გამომძიებლების უდიდესი ნაწილი, თუმცა ბევრი მათგანი თადარიგიდან მოვიდა და არ ჰქონდა საჭირო სამხედრო მომზადება. არცთუ იშვიათად სამხედრო პროკურატურის მუშაკები თავიანთი მოვალეობის შესრულების დროს ისეთ ვითარებაში ხვდებოდნენ, რომ უხდებოდათ ხელში იარაღის აღება და უშუალო მონაწილეობა ბრძოლაში. და ისინი საბრძოლო ქვეგანყოფილების ოფიცრებთან და ჯარისკაცებთან ერთად პირნათლად იხდიდნენ მეომრულ ვალს, თუ საჭირო იყო უშუალოდაც ხელმძღვანელობდენ ბრძოლებს.

აი ამის ერთ-ერთი მაგალითი. ტერიტორიული პროკურატურის ყოფილი მუშაკი ა. ფრანგულოვი, რომელიც არმიაში 1941 წელს გაიწვიეს და ამიერკავკასიის ფრონტის შავი ზღვის ჯგუფის სახელგანთქმულ 83-ე საზღვაო მსროლელი ბრიგადის სამხედრო პროკურორად მსახურობდა, ნოვოროსიისკის ბრძოლებში ლეგენდარულ მცირე მიწაზე 1942 წელს განხორციელებულ სადესანტო ოპერაციაში გამოჩენილი გმირობისა და მამაცობისათვის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოვდა. შემდგომში, 1943 წლის 7 ნოემბერს, ა. ფრანგულოვი (უკვე 318-ე მსროლელი დივიზიის სამხედრო პროკურორი) და შენაერთის მეომრები გადასხდნენ მტრის ზურგში ყირიმში, ქერჩის სამხრეთით. ა. ფრანგულოვმა მონაწილეობა მიიღო მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევაში, მებრძოლთა ჯგუფთან ერთად შეუტია საარტილერიო ბატარეას, მოსპო მტრის რამდენიმე ჯარისკაცი და ოფიცერი. მოწინააღმდეგის საკომანდო პუნქტზე შეტევისას მან ხელში ჩაიგდო მტრის დროშა და დივიზიის შტაბში მოიტანა. იგი ორი დღის განმავლობაში ქერჩის განაპირას სამ მებრძოლთან ერთად მტრისაგან იცავდა სამ მიწურს და მუდმივი ცეცხლით ხელს უწყობდა ჩვენი ნაწილების ზღვისაკენ გასვლას[3]. ამ გმირობისათვის იუსტიციის მაიორი ა. ფრანგულოვი ლენინის ორდენით დაჯილდოვდა.

ფაშიზმის განადგურებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს აგრეთვე სამხედრო პროკურატურის იმ შენაერთების სხვა ოფიცრებმა, რომლებიც შეიქმნა და მოქმედებდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ტერიტორიაზე, შედიოდა ამიერკავკასიის ფრონტის შემადგენლობაში, მონაწილეობდა კავკასიის გმირულ დაცვაში. მათ შორის თადარიგიდან არმიაში გაწვეულ იქნენ ტერიტორიული პროკურატურის მუშაკები ბ. ფურცხვანიძე, შ. გვათუა, ვ. ნიჟარაძე, ა. ლომინაძე. ა. ჭელიძე, პ. თარხნიშვილი, დ. ალიევი, ს. გრიგორიანი და სხვები, რომლებსაც დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება ჰქონდათ.

ამიერკავკასიის სამხედრო პროკურატურას, რომელიც 1941 წლის 23 აგვისტოს შეიქმნა, ხელმძღვანელობდა პირველი რანგის სამხედრო იურისტი ვ .იზრაელიანი. ცოტა მოგვიანებით, იმავე წლის ოქტომბერ-ნოემბერში ამიერკავკასიის ფრონტის ნაწილები ჩრდილოეთ კავკასიაში გადაიყვანეს და ჩაებნენ ბრძოლაში როსტოვთან, შემდეგ კი 1941 წლის სუსხიან დეკემბერში

---

[3] «50 лет на страже социалистической законности». Очерк истории военной прокуратуры ЗакВО, изд. ПУ ЗакВО, 1972, стр. 32.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმატებით განახორციელეს ყირიმში ქერჩ-ფეოდოსიის სადესანტო ოპერაცია. 44-ე, 47-ე და 51-ე არმიების ჯარებმა, რომლებიც ქერჩის ნახევარკუნძულზე გამაგრდნენ, შექმნეს ყირიმის ფრონტი, ხოლო ამ ფრონტის სამხედრო პროკურატურა შეიქმნა ამიერკავკასიის ფრონტის დესანტში მონაწილე ოპერატიული ჯგუფის ბაზაზე.

1942 წლის მაისიდან ამიერკავკასიის ფრონტს დაევალა უმნიშვნელოვანესი ამოცანა — უზრუნველეყო კავკასიის მყარი დაცვა. ფრონტის სამხედრო პროკურორის მოვალეობას ამ პერიოდში ასრულებდა დივიზიის სამხედრო იურისტი ფ. პეტროვსკი (ომის შემდგომ წლებში — იყო მთავარი სამხედრო პროკურორის მოადგილე). იმავე წლის აგვისტო-სექტემბერში შეიქმნა ამიერკავკასიის ფრონტის ჩრდილოეთ და შავიზღვისპირეთის ჯგუფების სამხედრო პროკურატურები. 1943 წლის დამდეგს ამიერკავკასიის ფრონტის ჯარებმა, რომლებმაც დაძაბულ და უმძიმეს ბრძოლებში მოქანცეს და სისხლით დაცალეს მტერი, გადამწყვეტი შეტევა განახორციელეს და მტერი დასავლეთისაკენ განდევნეს. დიდი სამამულო ომის მატიანეში ჩაიწერა ბევრი სახელო ფურცელი. ფრონტის სამხედრო პროკურატურის ორგანოები ქვეყნისათვის ამ მძიმე წლებშიც პირნათლად იხდიდენ თავიანთ ვალს. მათ საქმიანობას მაღალ შეფასებას აძლევდა ფრონტის სარდლობა. ბევრი ოფიცერი დავალების სანიმუშოდ შესრულებისათვის და ბრძოლაში თავდადებისათვის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდა. მათ შორის იყვნენ ფ. პეტროვსკი, პ. ალექსანდროვი, ტ. ანკუდინოვი, თ. მეზურნიშვილი და სხვ.

მამაცურად დაიღუპნენ ბრძოლის ველზე 1942-1943 წლებში ამიერკავკასიის ფრონტის შენაერთების სამხედრო იურისტები კ. ახვერდოვი, ზ. ავიძბა, ნ. გოგია, მ. ჭიპაძე, ს. მელქონიანი, ე. ოდნორუკოვი, ი. ცუკინი და სხვები. მათი სახელები სამუდამოდ დარჩება ჩვენს ხსოვნაში.

1943 წლის თებერვალს ამიერკავკასიის ფრონტის შენაერთებმა საბრძოლო გზა განაგრძეს ახლად შექმნილ ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის შემადგენლობაში და მონაწილეობდნენ შეტევითს ოპერაციებში. ამიერკავკასიის ფრონტს დაევალა დიდმნიშვნელოვანი ამოცანა — უზრუნველეყო შავიზღვისპირეთის და სსრ კავშირ-თურქეთის საზღვრის საიმედო დაცვა. სამხედრო პროკურატურის ორგანოები მაშინ წარმატებით ემსახურებოდნენ ამ ამოცანების გადაწყვეტას, ჩინებულად იხდიდნენ სამსახურებრივ ვალს, განამტკიცებდნენ სამხედრო დისციპლინას. 1943 წლის თებერვალში საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ამიერკავკასიის ფრონტის და თბილისის გარნიზონის პროკურატურის ოფიცრები ს. გოგოლაძე, დ. კიკვაძე, ს. კლიშენკო, პ. ტრიპოლსკი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ.

ომის დროს რესპუბლიკიდან სამხედრო იუსტიციის ორგანოებში გაწვეული ბევრი მუშაკი არმიაში სამსახურს ომისშემდეგაც განაგრძობდა. მათ შორის იყვნენ პ. ბერძენიშვილი, თ. მეზურნიშვილი, ს. ალიევი, ა. გრიგორიანი, ფ. გუსევი, ა. ჭელიძე და სხვანი. ისინი თავიანთ დიდ გამოცდილებას ხალისით უზიარებდნენ ახალგაზრდა კოლეგებს, მხედრული და სამსახურებრივი მოვალეობის მოხდის შესანიშნავ მაგალითებს უჩვენებდნენ მათ.

1940-იანი წლების დამლევს და 1950-იანი წლების დამდეგს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო პროკურატურის ორგანოებში სამუშაოდ მოვიდა ბევრი ოფიცერი, რომლებმაც გაიარეს ომის ქარ-ცეცხლი, და უმაღლესი იურიდიული განათლება ომისშემდეგ მიიღეს. ესენი იყვნენ ბრძოლებში ნაწრთობი, სამშობლოსადმი, კომუნისტური იდეალებისადმი უსაზღვროდ ერთგული ადამიანები, ენერგიული, ინიციატივიანი, შრომისმოყვარე მუშაკები, რომლებიც სულ მოკლე ხანში მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებად იქცნენ. ბევრი მათგანი, მათ შორის ნ. გოლოჩაევი, ა. ჯავახიშვილი, მ. პოდოსიანი, ვ. შიროკიხი, კ. ელიზბარაშვილი დიდხანს ნაყოფიერად მუშაობდენ ოლქში.

ოლქის სამხედრო პროკურატურაში დღესაც განაგრძობენ სამსახურს დიდი სამამულო ომის ვეტერანები, რომლებიც გამოჩენილი მამაცობისათვის დაჯილდოებული არიან ორდენებითა და მედლებით. ესენი გახლავან იუსტიციის პოლკოვნიკები გ. შერენეცი, ე. გულიაევი, ე. ლეონიჩევი, რომლებსაც დიდი დამსახურებისათვის და სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის მინიჭებული აქვთ საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის წოდება. ჩვენთან მუშაობენ აგრეთვე ბ. კაზაკი, ვ. ლოზოვოი, ი. ცხოვრებაშვილი, ნ. ვორობიოვი. ყველას მათ ახასიათებს მაღალი პროფესიული მომზადება, განსაკუთრებული თავდადება საქმისათვის, პრინციპულობა, დიდი გულისხმიერება, სისადავე და თავდაბლობა. ისინი დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობენ კოლექტივში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროკურატურის ორგანოები ახალი ამოცანების წინაშე

ა. გარაგაძე,
საქართველოს სსრ პროკურორი, იუსტიციის მეორე კლასის სახელმწიფო მრჩეველ*

კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე მართლწესრიგისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ამით აიხსნება, რომ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებში, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებში ამ საკითხებს ყოველთვის დიდი ყურადღება ეთმობა.

მართლწესრიგისა და კანონიერების განმტკიცების პრობლემებისადმი საბჭოთა სახელმწიფოს შეუნელებელი ზრუნვის კიდევ ერთი ახალი დადასტურებაა ის, რომ შარშან მიღებულ იქნა რამდენიმე ფუძემდებლური კანონი, რომლებიც ემსახურება ქვეყანაში მართლწესრიგისა და კანონიერების განმტკიცების ამოცანებს. ეს არის კანონები სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს შესახებ, სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟისა და ადვოკატურის შესახებ.

ახალი კანონები, რომელთაგან უკვე ზოგიერთი რამდენიმე თვეა მოქმედებს, დაბეჯითებით მოწმობს კანონიერების ლენინური იდეების ცხოველმყოფელობას, მკაფიოდ უჩვენებს მთელი მსოფლიოს კომუნისტური პარტიის მაგისტრალურ ხაზს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი სრულყოფისათვის, სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცებისათვის. ახალი კანონები ამაღლებს სამართალდამცველი ორგანოების როლს პარტიის წინაშე, ხელს უწყობს მათი საქმიანობის გარდაქმნას იმ ახალი, გაზრდილი ამოცანების შესაბამისად ,რომლებიც დასახულია „მართლწესრიგის დაცვისათვის მუშაობის გაუმჯობესებისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის აგვისტოს დადგენილებით. ამ დიდმნიშვნელოვან პარტიულ დოკუმენტში მთელი ძალით არის ხაზგასმული, რომ ამჟამად კიდევ იზრდება კანონიერების განმტკიცების, სახელმწიფოებრივი და შრომის დისციპლინის განმტკიცების, მოქალაქეთა უფლებათა და თავისუფლებათა, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, დამნაშავეობისა და სხვა სამართალდარღვევათა აღმოფხვრის მნიშვნელობა.

ამ ამოცანების გადაწყვეტაში მეტად დიდია პროკურატურის ორგანოების როლი.

ახალი კანონი სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ თითოეული ჩვენი მუშაკისათვის წარმოადგენს განაწესს, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ ყოველდღიურ საქმიანობაში. კანონში მთლიანად არის ასახული ის მაღალი პარტიული და სახელმწიფოებრივი მოთხოვნები, რომლებიც ამჟამად წაყენებული აქვს პროკურატურის ორგანოებს, ფიქსირებულია თუ რაოდენ იზრდება მისი მნიშვნელობა განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში, პასუხისმგებლობა სახელმწიფოსა და საბჭოთა ხალხის წინაშე, კანონიერების დაცვისადმი უმაღლესი ზედამხედველობის განხორციელებისა და დამნაშავეობასთან ბრძოლის ორგანიზაცია.

ახალ კანონს წითელ ზოლად გასდევს მოთხოვნა სოციალისტური კანონიერების განმტკიცების აუცილებლობის შესახებ, რაც მიჩნეულია პროკურატურის ორგანოების უპირველეს ამოცანად. მასთან კანონიერების პრინციპი საფუძვლად უდევს არა მარტო სამართალდამცველი ორგანოების, არამედ პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანოების მთელ საქმიანობას.

კანონიერების განმტკიცება სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა უბანზე — ეს არის ყველა ორგანოსა და თანამდებობის პირის პასუხისმგებლობის ამაღლების აუცილებელი პირობა. ახალი კანონი პროკურატურის შესახებ მოითხოვს, რომ სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ყველა ორგანოს საქმიანობა ზუსტად შეესაბამებოდეს კანონს ,ეყრდნობოდეს კანონს და გამომდინარეობდეს მისგან. ამის განხორციელებისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შექმნილია ყველა აუცილებელი ეკონომიკური, პოლიტიკური, იდეოლოგიური, იურიდიული წანამძღვრები და გარანტიები.

რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სამართალდამცველი ორგანოების უკომპრომისო ბრძოლა, რომელსაც ისინი უკანასკნელ წლებში ეწევიან ყოველგვარი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, ხელსაყრელ პირობებს ქმნის სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

სოციალისტური კანონიერება ფუძემდებლური პრინციპია უპირველეს ყოვლისა პროკურატურის ორგანოებისათვის, რომლებსაც საგანგებო ვალდებულება აკისრიათ და მოვალენი არიან ყოველთვის უმკაცრესად იცავდნენ კანონიერებას, მოქმედებდენ მხოლოდ და მხოლოდ კანონის ჩარჩოებში.

წინამდებარე სტატიის მიზანია, გავაანალიზოთ და შევაფასოთ, თუ რამდენად უპასუხებს რესპუბლიკის პროკურატურის, მისი ადგილობრივი ორგანოების საქმიანობა პროკურატურის შესახებ ახალი კანონის მოთხოვნებს მართლწესრიგისა და კანონიერების განმტკიცების დარგში, განვსაზღვროთ ჩვენი მუშაობის მთავარი მიმართულებები და ასპექტები უახლოესი მომავლისათვის.

სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ კანონი პროკურატურის ორგანოების საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად მიიჩნევს ზედამხედველობას სახელმწიფო მმართველობის ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, აგრეთვე თანამდებობის პირებისა და მოქალაქეების მიერ კანონების შესრულებისადმი (ე. წ. საერთო ზედამხედველობა).

ახალი კანონით გაფართოვდა პროკურატურის ორგანოების მოქმედების სფერო საერთო ზედამხედველობის ხაზით. დასახულია ამოცანა კიდევ უფრო ამაღლდეს საპროკურორო ზედამხედველობა სოციალისტური საკუთრების ხელყოფის, წამატებების წინააღმდეგ ბრძოლაში, უყაირათობის, მფლანგველობის და სახელმწიფოს თვალის ასვევის აღსაკვეთავად, მექრთამეობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ კანონების შესრულების უზრუნველსაყოფად. საპროკურორო ზედამხედველობა უპირველესად უნდა გაძლიერდეს სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და სატრანსპორტო საწარმოებში, სამშენებლო და სვაჭრო ორგანიზაციებში, სადაც ხშირად ირღვევა კანონები.

საერთო ზედამხედველობის ეფექტიანობის ამაღლებას სხვა ღონისძიებებთან ერთად, ვფიქრობთ, ხელს შეუწყობს საქმიანი და მუდმივი კავშირურთიერთობა სახალხო კონტროლის, სახელმწიფო არბიტრაჟისა და სხვა არასაუწყებო კონტროლის ორგანოებთან, რაც ახალი კანონიო არის გათვალისწინებული.

უკანასკნელ ხანს, განსაკუთრებით კი ახალი კანონის მიღების შემდეგ, რესპუბლიკის პროკურატურის მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად საგრძნობლად გამოცოცხლდა მუშაობა საერთო ზედამხედველობის ხაზით. წლების მანძილზე ამ დიდმნიშვნელოვან უბანზე შეინიშნებოდა ინერტულობა, უინიციატიოობა, რის გამოც საერთო ზედამხედველობის განყოფილებას მკაცრად, მაგრამ სამართლიანად აკრიტიკებდნენ. მდგომარეობა ამჟამად მკვეთრად შეიცვალა, განყოფილების მუშაობა უფრო აქტიური, შემტევი გახდა, განმტკიცდა კავშირი საკონტროლო ორგანოებთან. 1979 წელს რესპუბლიკის პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების მიერ მოხყობილ შემოწმებათა შედეგებზე შეტანილი წარდგინებებისა და ინფორმაციების საფუძველზე ზემდგომმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა მიიღეს 20-ზე მეტი დადგენილება, მათ შორის ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორიც არის რესპუბლიკაში მიწათსარგებლობის კანონმდებლობის, შრომისა და სახელმწიფო დისციპლინის დარღვევის, სოციალისტური ქონების დაცვის, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისადმი უყაირათო დამოკიდებულების ფაქტებისა და სხვათა შესახებ, რამაც ხელი შეუწყო რესპუბლიკაში კანონიერების განმტკიცებას.

შემოწმებამ საერთო ზედამხედველობის ხაზით გამოავლინა წამატების, უხარისხო და არასტანდარტული პროდუქციის გამოშვების, ტექნოლოგიური რეჟიმის, აგრეთვე სახელმწიფო დისციპლინის სხვა დარღვევები. პროკურატურის ორგანოების აქტიური ჩარევის შემდეგ დადებითი შედეგებია მიღწეული თელავის, გურჯაანის, მცხეთის, გალის, ქ. თბილისის პირველი მაისის, საქარხნო რაიონებში და სხვაგან. მაგრამ ამ უბანზე მუშაობა აშკარად ჩამორჩება ჩვენს წინაშე დასახულ ახალ, გაზრდილ მოთხოვნებს.

1979 წელს ასპინძის, ადიგენის, ბოლნისის, ქარელის, ზუგდიდის, ლაგოდეხის, ონის, ჩოხატაურის და ზოგიერთი სხვა რაიონის პროკურორებს საერთო ზედამხედველობის ხაზით

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ შეუმოწმებიათ თუ როგორ სრულდება კანონები წამატებების და გეგმის შესრულების ანგარიშგებაში სხვა დამახინჯებათა შესახებ, მაშინ, როდესაც საკონტროლო ორგანოებმა სწორედ ამ რაიონებში გამოავლინეს წამატებებისა და თვალისახვევის არაერთი ფაქტი.

ახალი კანონებიდან გამომდინარე ამოცანები პირდაპირ უკარნახებენ პროკურატურის ორგანოებს, რათა მათ გააძლიერონ საპროკურორო ზედამხედველობა, განახორციელონ გადამჭრელი და რადიკალური ღონისძიებანი სახელმწიფო და საშემსრულებლო დისციპლინის დაცვისადმი.

თუმცა უკანასკნელ წლებში სამრეწველო პროდუქციის ხარისხი გაუმჯობესდა, მაგრამ იგი მაინც რჩება ერთ-ერთ მწვავე პრობლემად ჩვენი რესპუბლიკისათვის. პროკურატურის ორგანოები არ იჩენენ საკმარის აქტიურობას, რათა უზრუნველყონ კანონების შესრულება უხარისხო პროდუქციის გამოშვების წინააღმდეგ ბრძოლის თაობაზე. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ჩვენ ჯერ კიდევ სუსტად ვიყენებთ სისხლის სამართლის კანონმდებლობას წუნის მკეთებლების წინააღმდეგ. ამის მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ გასულ და მიმდინარე წელს რესპუბლიკაში სულ აღიძრა და სასამართლო ორგანოებში წარიმართა ამ კატეგორიის მხოლოდ რამდენიმე სისხლის სამართლის საქმე. ეს დანაშაული კი საკმაოდ გავრცელებულია. ახმეტის, ბოლნისის, თეთრიწყაროს და სხვა რაიონების პროკურორებს უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე არც ერთხელ არ შეუმოწმებიათ, თუ როგორ სრულდება კანონები უხარისხო პროდუქციის გამოშვებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

საპროკურორო პრაქტიკის შესწავლა გვიჩვენებს, რომ უხარისხო პროდუქციას უშვებენ ის საწარმოები, სადაც მოიკოჭლებს საწარმოო და შრომის დისციპლინა, არ არის შექმნილი მომთხოვნელობისა და პასუხისმგებლობის ვითარება. ამიტომ სასურველი შედეგის მიღწევას უხარისხო პროდუქციის გამოშვების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონების შესრულების შემოწმების პროცესში პროკურორი მხოლოდ მაშინ შეძლებს, როდესაც ღრმად გაერკვევა, თუ როგორ იცავენ საწარმოში შრომის დისციპლინას, ტექნოლოგიურ პროცესებს, კანონს ლოთობასთან ბრძოლის თაობაზე და ა. შ. მხოლოდ ამ პირობებში შეიძლება გამოვლინდეს წუნის მიზეზები და შემუშავდეს სათანადო ღონისძიებების კომპლექსი მათ აღსაკვეთავად.

უხარისხო პროდუქციის გამოშვების წინააღმდეგ უფრო პრინციპულად და თანამიმდევრულად უნდა იბრძოლონ თვით საწარმოთა ხელმძღვანელობამ. შესაბამისი უწყებები და სამინისტროები, რომლებიც მეტწილად პასიურობენ, არ ავლენენ წუნის მკეთებელთ, არ ასრულებენ კანონის მოთხოვნას და მასალებს დამნაშავე პირების შესახებ არ უგზავნიან პროკურატურას.

კანონმა პროკურატურის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად მიიჩნია ბრძოლა დამნაშავეობასთან და დააკისრა პროკურატურის ორგანოებს უზრუნველყონ, რომ ყველა დამნაშავე გარდაუვალად პასუხს აგებდეს ჩადენილი დანაშაულისათვის.

რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოების მუშაობის სიმძიმის ცენტრი ამჟამად სწორედ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაზეა გადატანილი. ბოლო დროს ჩვენი ორგანოების აქტიური მონაწილეობით რესპუბლიკაში სოციალისტური საკუთრების დამტაცებელთა, მექრთამეთა, საქმოსანთა და კომბინატორთა, ქურდების და სხვა საშიშ ბოროტმოქმედთა არაერთი ჯგუფი იქნა გამოვლენილი და მკაცრად დასჯილი. ადმინისტრაციული ორგანოები უფრო შეურიგებლად და ორგანიზებულად ებრძვიან ყოველგვარ დანაშაულობებს და ყველა ჯურის დამნაშავეებს.

ადმინისტრაციული ორგანოების ბრძოლის გააქტიურების მიუხედავად, მართლწესრიგისა და კანონიერების მდგომარეობა რესპუბლიკაში კვლავ არადამაკმაყოფილებელია.

1979 წელს 1978 წელთან შედარებით თუმცა სამართალდარღვევათა საერთო რაოდენობა, მათ შორის მძიმე დანაშაულობებისა, შემცირდა, მაგრამ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ისევ შეიმჩნევა ზრდის ტენდენცია. ოპერატიული ვითარება რესპუბლიკაში კვლავ რთულია, ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში კი დაძაბულიც. ამ მხრივ არასახარბიელო ვითარებაა ქუთაისში, ტყიბულში, რუსთავსა და ბათუმში, აგრეთვე მახარაძის, საჩხერის, მარნეულის რაიონებში და სხვაგან.

საზოგადოებრიობის სამართლიან გულისწყრომას იწვევს რესპუბლიკაში ისეთი დანაშაულის გავრცელება, როგორიც არის სახელმწიფო და მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობა. ჩადენილ დანაშაულთა შორის მათი ხვედრითი წილი უკანასკნელ წლებში ყველაზე დიდია. ამის გამო, როგორც რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოები, ისე პროკუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატურაც სასამართლოებთან ერთად, განსაკუთრებულ ღონისძიებებს ახორციელებდნენ ქურდების წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად, მათ მიმართ საზოგადოებრიობის პროტესტის ვითარების შესაქმნელად. საჭირო და გადაუდებელი დასკვნებია გამოსატანი იმ ფაქტიდან, რომ ქურდობაში მხილებულ პირთა შორის იზრდება არასრულწლოვანების, ახალგაზრდების ხვედრითი წილი.

კანონმა სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ ჩვენს ორგანოებს ერთ-ერთ მთავარ ამოცანად სოციალისტური საკუთრების დატაცების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება დაუსახა.

პროკურატურის და შინაგან საქმეთა ორგანოებმა თუმცა ამ მხრივ არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება განახორციელეს, მაგრამ ამ დანაშაულის წინააღმდეგ აქტიური, შეტევითი ბრძოლის აუცილებლობა დგას დღის წესრიგში, ვინაიდან რესპუბლიკის ბევრ ქალაქსა და რაიონში ჯერ კიდევ გავრცელებულია დატაცებები და სხვა ანგარებითი დანაშაულობანი. იმის გამო, რომ შექმნილი არ არის მათ წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის ვითარება, ფართო გასაქანი ეძლევა უყაირათობას, მფლანგველობას, დატაცებებს, მექრთამეობას და სხვა დანაშაულობებს. ეს უარყოფითი ფაქტორები გავლენას ახდენს შრომითი კოლექტივების საქმიანობაზე, წამლავს მორალურ-ფსიქოლოგიურ ატმოსფეროს. ბოლო ორ-სამ წელიწადში სახელმწიფო ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობის დატაცების ფაქტებია გამოვლენილი საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს სისტემაში, მოძრავ-მექანიზებულ კოლონასა და თბილისის რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხანაში, გარდაბნის სადეზინფექციო სადგურში, თბილისის შამპანური ღვინოების კომბინატში და სხვაგან.

მშრომელთა უკმაყოფილებას იწვევს დატაცებები და სხვა ანგარებითი დანაშაულობანი ვაჭრობის და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში. აქ ისევ გრძელდება მოქალაქეთა ზომა-წონაში მოტყუება, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გაფლანგვა-დატაცება. ბევრგან სახელმწიფო ქონებას კვლავ ანდობენ საეჭვო რეპუტაციის, სახელგატეხილ, ანგარებით დანაშაულისათვის წინათ გასამართლებულ პირებს, რომლებიც სარგებლობენ ამით და იტაცებენ ხალხის დოვლათს. აი ამის მაგალითიც: ქ. თბილისში, ოქტომბრის რაიონში მდებარე შრიფტის ჩამომსხმელ ქარხანაში მთავარ ბუღალტრად, საამქროს უფროსად და მოლარედ დაინიშნენ წინათ ანგარებითი დანაშაულისათვის გასამართლებული პირები, რომლებმაც განზრახ არევ-დარევა შეიტანეს მატერიალური ფასეულობის აღრიცხვა-ანგარიშგებაში და მიითვისეს სახელმწიფო თანხა — ორ მილიონ მანეთზე მეტი. ხოლო ჭიათურის რაიკოოპკავშირში ანალოგიურად, რეპუტაცია შელახულმა პირებმა მიითვისეს რვა ათასი მანეთი... ალბათ არ არის საჭირო ღრმა ანალიზი იმის ასახსნელად თუ რატომ მოხდა ეს.

საჭიროა გადაჭრით ამაღლდეს საგამოძიებო აპარატის მუშაობის ეფექტიანობა დატაცების წინააღმდეგ ბრძოლაში. რესპუბლიკის პროკურატურის მიერ მოწყობილმა შემოწმებებმა გვიჩვენა, რომ ჯერ კიდევ ხშირია იმ შეტყობინებებისა და განცხადებების განხილვის გაჭიანურება, რომლებიც შეეხება დატაცებებს, დანაკლისებს, გაფლანგვებს და სხვა. ხშირად დაუსაბუთებელია გადაწყვეტილებები სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ.

ეს და სხვა ნაკლოვანებანი ამ სფეროში იმის ბრალიც არის, რომ სრულყოფილად არ სრულდება პარტიისა და მთავრობის მოთხოვნა — საბოლოოდ გადაიკეტოს ყველა ის არხი, რომლებიც ხელს უწყობს გაფლანგვა-დატაცებათა ჩადენას. პროფილაქტიკური ღონისძიებანი ამ დანაშაულის თავიდან ასაცილებლად ხშირად ფორმალური ხასიათისაა და ამიტომ არ იძლევა სასურველ შედეგს.

ყოველთვის არ ეძლევა პრინციპული, მკაცრი შეფასება იმ ხელმძღვანელთა საქმიანობას, რომლებიც არ იღებენ ზომებს უყაირათობისა და მფლანგველობის აღსაკვეთავად, იშვიათად აძლევენ პასუხისგებაში თანამდებობის პირებს, რომლებიც უხეშად არღვევენ კანონს მატერიალურ ფასეულობათა დაცვის ,აღრიცხვისა და შენახვის შესახებ. ასეთი დარღვევები კი საკმაოდ გავრცელებულია.

სახელმწიფო კვლავ დიდ ზარალს განიცდის იმის გამოც, რომ დაუდევრობის, მცდარი ექსპლოატაციისა და ცუდი შენახვის შედეგად ნადგურდება ან ზიანდება ძვირად ღირებული მანქანა-დანადგარები.

ასეთი ფაქტები გამოვლინდა გარდაბნის რაიონში, ლილოს ბოსტნეულის შესანახ და გადამმუშავებელ კომბინატში. აქ იმპორტული წარმოების 118 ელექტროსატვირთელი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან გამართული იყო მხოლოდ 75 მანქანა, ნაწილი გაძარცული, მწყობრიდან გამოსული და ბოსტნეულისათვის განკუთვნილ საკანშია შენახული. ყოველივე ამისათვის კი დამნაშავე პირებს თავის დროზე პასუხი არავინ მოსთხოვა.

ბოლო ხანს პროკურატურის ორგანოებმა გადამწყვეტი ბრძოლა გამოუცხადეს დანაშაულობათა მიჩქმალვის მანკიერ, ანტისახელმწიფოებრივ პრაქტიკას, რაშიც არც თუ იშვიათად სცოდავენ შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკები. ასეთი ფაქტები გამოვლენილია ქ. რუსთავში, ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონში, მარნეულის, ზესტაფონის, ბოლნისის და სხვა რაიონებში, აგრეთვე, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში. მიჩქმალულ დანაშაულთა უმრავლესობა — ეს არის სახელმწიფო, საზოგადოებრივი და პირადი ქონების ქურდობა, ხულიგნობა, ზოგჯერ კი აღრიცხული არ არის ძარცვის, სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების, გაუპატიურების და სხვა მძიმე დანაშაულობანიც. ეს კანონსაწინააღმდეგო პრაქტიკა მხოლოდ იქ იდგამს ფეხს, სადაც პროკურორი არ დგას მოწოდების სიმაღლეზე, სადაც პროკურორი მილიციის ორგანოებისადმი ზედამხედველობას სუსტად, ზერელედ, ფორმალურად, არაკვალიფიციურად ახორციელებს.

ახალი კანონი, პროკურორებისა და გამომძიებლებისაგან მოითხოვს ყოველდღიურად იზრუნონ ყველა დანაშაულის ბოლომდე გახსნისა და ყველა დამნაშავის უვნებელსაყოფად. ეს საკითხი გამოყოფილია როგორც ძირითადი და ცენტრალური დამნაშავეობასთან ბრძოლის ორგანიზაციაში. ჩვენ ვერ შევურიგდებით, რომ ბევრი საშიში დამნაშავე, მკვლელი და ყაჩაღური თავდასხმის მონაწილე, მძარცველი და ქურდი გამოვლენილი არ არის და თავისუფლად დასეირნობს. დანაშაულობათა გახსნის მხრივ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ქ. თბილისში, ქუთაისში, რუსთავში, ტყიბულში, გარდაბნის, მარნეულის, მცხეთის, სიღნაღისა და სხვა რაიონებში. ეს იმას ნიშნავს, რომ რესპუბლიკაში ჯერ კიდევ არ არის შექმნილი ყოველი დანაშაულისათვის სასჯელის გარდაუვალობის ვითარება, რაც საგამოძიებო ორგანოებისაგან მოითხოვს სამძებრო-ოპერატიული მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებას, დამნაშავეობის თავიდან აცილების ორგანიზაციის გაუმჯობესებას.

პროკურორები მოვალენი არიან პირადად ჩასწვდნენ მძიმე დანაშაულობათა საქმეების გამოძიებას და იხმარონ კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა დანაშაულის გასახსნელად. მკაცრად უნდა იქნეს დაცული დადგენილი წესი, რომ დაუყოვნებლივ გაიგზავნოს ზემდგომ პროკურატურაში შეჩერებული საქმეები განზრახ მკვლელობის, გაუპატიურების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დიდი ოდენობით დატაცების გამო, რასაც ზოგი პროკურორი არ ასრულებს.

ბოლო ხანს რესპუბლიკის პროკურატურას ყურადღების ცენტრში აქვს ეს საკითხი და კონკრეტულ ღონისძიებებს ახორციელებს ამ მიმართულებით გამომძიებლებისა და პროკურორების, აგრეთვე შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკთა აქტიურობის, მათი ოპერატიული საქმიანობის ეფექტიანობის ასამაღლებლად. ამ მიზნით, პერიოდულად ვიწვევთ თათბირებს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად, გაერთიანებულ კოლეგიებს და ვსახავთ კონკრეტულ ღონისძიებებს. ამის შედეგად გაიხსნა არაერთი მძიმე დანაშაული, მაგრამ ეს ძალზე ცოტაა. ამ სფეროში დიდი სამუშაო გველის.

დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად ახალმა კანონმა გააფართოვა პროკურორების უფლებამოსილება მოკვლევისა და გამოძიების ორგანოებისადმი. მოკვლევის მუშაკებმა და შინაგან საქმეთა ორგანოების გამომძიებლებმა უნდა ძირფესვიანად გარდაქმნან მუშაობა და მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომ განმტკიცებაში დამნაშავეობისა და მისი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრაში.

დასამალი არ არის, რომ ზოგიერთი ქალაქისა და რაიონის საგამოძიებო ორგანოები ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებენ ამ მოთხოვნებს, უფერულად, უშედეგოდ მუშაობენ დანაშაულობათა გახსნისა და გამოძიებისათვის, სასჯელის გარდაუვალობის ვითარების შესაქმნელად. არაერთი საშიში დანაშაული გაუხსნელი რჩება გამოძიების საწყის სტადიაზე. საგამოძიებო-ოპერატიულ ღონისძიებათა არადამაკმაყოფილებელ ორგანიზაციისა და მეცნიერულ-ტექნიკურ საშუალებათა ცუდად გამოყენების გამო. საპროკურორო ზედამხედველობა კი იმდენად სუსტია, რომ ეს ხარვეზები ვერ სწორდება.

პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო აპარატის საქმიანობის ერთ-ერთ სერიოზულ ნაკლად კვლავ რჩება სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაჭიანურება. ცალკეული გამომძიებლებისა და ზედამხედველი პროკურორების დაუდევრობით ბევრი საქმის წინასაწრი გამოძიების ვადები უსაფუძვლოდ ირღვევა. ამ მხრივ სრულიად შეუწყნარებელი მდგომარეობაა ბოლნისის, ვანის, გეგეჭკორის, დმანისის, მარნეულის, თერჯოლის რაიონებში. წყალტუბოს რაიონის გამომძიებლებმა დაარღვიეს ყოველი მესამე საქმე, ხოლო თეთრიწყაროს და წულუკიძის რაიონებში — ყოველი მეორე საქმის გამოძიების ვადა.

ხშირად გამოძიების გაჭიანურების მიზეზი ის არის, რომ გამომძიებლები და პროკურორები უხარისხოდ სწავლობენ ჩადენილი დანაშაულის, განსაკუთრებით სამეურნეო დანაშაულთა შესახებ შეტყობინებას, ჩქარობენ საქმის აღძვრას და მხოლოდ ამის შემდეგ აწყობენ დოკუმენტალურ რევიზიებს, რომლებიც თვეობით ჭიანურდება.

საქმეთა გამოძიების უსაფუძვლოდ გაჭიანურებისათვის პროკურატურის ორგანოებიდან ამ ბოლო დროს დათხოვნილია ქარელის რაიპროკურატურის გამომძიებელი ა. კილასონია. დაისაჯნენ პროკურატურის ორგანოების სხვა მუშაკებიც.

პროკურატურის ორგანოებისაგან ყურადღების გამახვილებას მოითხოვს გამოძიების ხარისხი, რადგან მაჩვენებლები ცუდია. განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელია მდგომარეობა წყალტუბოს ,აბაშის, ბოლნისის, დმანისის, ზესტაფონის, თეთრიწყაროს პროკურატურაში. აგრეთვე ვანის, დმანისის, მახარაძის, ორჯონიკიძის (სასოფლო) რაიონების შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებო ჯგუფებში. ეს გარკვეულ წილად იმის ბრალია, რომ წინასწარი გამოძიებისადმი საპროკურორო ზედამხედველობა ნაკლებ ქმედითი და ეფექტიანია.

რესპუბლიკის პროკურატურა გულმოდგინედ შეისწავლის გამოძიების გაჭიანურების ყოველ შემთხვევას და დაადგენს, ვინ არის კონკრეტულად ამაში დამნაშავე და მათ მიმართ მიიღებს მკაცრ ზომებს.

ჩვენი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა განუხრელად დავიცვათ სსრ კავშირის კონსტიტუციით გარანტირებული საბჭოთა ადამიანის უფლებები და ინტერესები, ყოველთვის გამოვიჩინოთ საჭირო სიმტკიცე და პრინციპულობა სოციალისტური კანონიერების დარღვევათა აღსაკვეთავად, არ დავუშვათ მოქალაქეთა უკანონო დაპატიმრების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უსაფუძვლოდ მიცემის ფაქტები, კანონიერების ყველა დარღვევა გავხადოთ მკაცრი მსჯელობის საგანი.

ახალ კანონში არის ბევრი დებულება, რომელიც აწესრიგებს თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მსჯავრდადებულთა მიმართ საპროკურორო ზედამხედველობის საკითხებს. ამ მოთხოვნათა შესაბამისად თუ გავაანალიზებთ და შევაფასებთ საქმის მდგომარეობას რესპუბლიკაში, დავინახავთ, რომ სუსტი საპროკურორო ზედამხედველობის გამო შრომა-გასწორების დაწესებულებებში უხეშად ირღვევა სოციალისტური კანონიერება, აღმოფხვრილი არ არის ფორმალიზმი, სერიოზული ნაკლოვანებებია მსჯავრდადებულთა ხელსაყრელი აღზრდისა და გამოსწორების საქმეში.

ქ. ქუთაისის, აგრეთვე ზუგდიდის, ზესტაფონის, მახარაძის და ზოგიერთი სხვა რაიონის პროკურორები არ ახორციელებენ ჯეროვან საპროკურორო ზედამხედველობას თავისუფლების აღკვეთის ადგილებში კანონიერების დაცვისადმი.

ბევრგან შემოწმებები ფორმალური ხასიათისაა, არ იჩენენ საჭირო მომთხოვნელობას იმ მუშაკთა მიმართ, ვინც არღვევს კანონს, რის გამოც იქმნება უპასუხისმგებლობისა და დაუსჯელობის ვითარება. ყოველივე ეს განაპირობებს შრომა-გასწორების დაწესებულებებში მსჯავრდადებულთა მიერ დანაშაულობათა ჩადენას, მათ შორის ისეთი საშიში დანაშაულისა, როგორიც არის განზრახ მკვლელობა, მკვლელობის მცდელობა, სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, ხულიგნობა და სხვა. ამითვე აიხსნება, რომ შრომა-გამასწორებელი დაწესებულებები ხშირად ვერ ახდენენ ზეგავლენას მსჯავრდადებულებზე და ისინი გათავისუფლების შემდეგ კვლავ სჩადიან სისხლის სამართლის დანაშაულს.

1979 წელს მსჯავრდადებულთაგან წინათ ნასამართლევია 12,6 პროცენტი. მიმდინარე წელს განმეორებითი დანაშაულის ჩადენის შემთხვევები კიდევ უფრო გახშირდა.

აუცილებელია გადაჭრით გავაუმჯობესოთ შრომა-გასწორების დაწესებულებათა საქმიანობა, ავამაღლოთ საპროკურორო ზედამხედველობის ეფექტიანობა, რათა თავიდან ავიცილოთ რეციდივი, ვიზრუნოთ თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან დაბრუნებულ პირთა დროულად შრომითი მოწყობისათვის, დავაწესოთ, თუ საჭიროა, ადმინისტრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციული ზედამხედველობა პირობით მსჯავრდადებულთა და პირობით გათავისუფლებულთა ქცევისადმი.

ახალი კანონი ითვალისწინებს სამართალდამცველი ორგანოების საქმიანობის კოორდინაციას დამნაშავეობისა და სხვა სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლაში, რაც ერთხელ კიდევ მეტყველებს მათი ძალების გაერთიანების დიდ მნიშვნელობაზე. ამ მხრივ, მუშაობის გააქტიურების მიუხედავად, ბევრი პრობლემაა გადასაწყვეტი. ახლა კოორდინაციის საკითხებს მეტი ყურადღება ექცევა. ადგილებზე შეიქმნა საკოორდინაციო საბჭოები, რომლებიც შემუშავებული სამუშაო გეგმების საფუძველზე დამაკმაყოფილებლად მუშაობენ. პროკურორებმა სწორად გაიგეს კოორდინაციის მიზანი და ძირითადი პრინციპები, მაგრამ ზოგან ამ საკითხის შეუფასებლობას იჩენენ, არ ზრუნავენ სამართალდამცველი ორგანოებისათვის საჭირო რეკომენდაციების შემუშავებისათვის, ვერ უზრუნველყოფენ შინაგან საქმეთა და სასამართლო ორგანოების მუშაკთა აქტიურ მონაწილეობას საბჭოს საქმიანობაში (ცაგერის, ქარელის, ზესტაფონის, ლანჩხუთის რაიონების და ქ. ტყიბულის პროკურატურები).

რესპუბლიკის პროკურატურას გადაწყვეტილი აქვს ახალი კანონის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლოს და განაზოგადოს ეს მუშაობა.

ის რთული და მრავალფეროვანი ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობს პროკურატურის შესახებ კანონიდან, მოითხოვს ადგილობრივი საბჭოებისა და პროკურატურის ორგანოების კავშირურთიერთობის განმტკიცებას, მათი ფორმებისა და მეთოდების დახვეწას, საპროკურორო ზედამხედველობის გაძლიერებას აღმასრულებელი კომიტეტებისა და მისი ცალკეული კომისიების საქმიანობისადმი, დამნაშავეობასთან ბრძოლაში ფართო მასების ჩაბმის ახალი ორგანიზაციული ფორმების ძიებასა და დამკვიდრებას. ბევრი კანონსაწინააღმდეგო სამართლებრივი აქტის არსებობა, რომლებსაც ჯერ კიდევ იღებენ სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები, მიგვანიშნებს, რომ აუცილებელია ამ უბანსაც პროკურორებმა მეტი ყურადღება მიაქციონ.

სოციალისტური კანონიერების განმტკიცების ინტერესები მოითხოვს აგრეთვე სამართალდამცველი ორგანოების, მათ შორის კი პროკურატურის კავშირურთიერთობას სახალხო კონტროლის ორგანოებთან, რომელთა როლი სახელმწიფო დისციპლინის დარღვევების და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ სახელმწიფო აპარატის მუშაობის სრულყოფისათვის ბრძოლაში, კიდევ უფრო იზრდება.

კანონში — სსრ კავშირში სახალხო კონტროლის შესახებ—პირდაპირ არის ნათქვამი, რომ სახალხო კონტროლის ორგანოებს მჭიდრო კონტაქტი უნდა ჰქონდეთ პროკურატურის, შინაგან საქმეთა, იუსტიციის, სახელმწიფო არბიტრაჟის და სასამართლო ორგანოებთან.

სახელმწიფო ორგანოებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან სამართალდამცველი ორგანოების კავშირურთიერთობის განმტკიცების აუცილებლობა ნაკარნახევია დამნაშავეობის პროფილაქტიკის ინტერესებითაც.

უნდა ვაღიაროთ, რომ ცუდად სრულდება სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის თაობაზე სადირექტივო ორგანოების მითითებები. დღემდე არ არის მიღწეული პროკურატურისა და სხვა ადმინისტრაციული ორგანოების საჭირო აქტიურობა გამაფრთხილებელ-პროფილაქტიკურ მუშაობაში, ლოთობასთან და მუქთახორობასთან, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევებთან, რეციდივულ დანაშაულობასთან ბრძოლაში. ბევრგან თავს იჩენს თვითდამშვიდების განწყობილება, საკმარისად არ არის გამოყენებული პრესის სიგნალები, წერილები და საჩივრები მოქალაქეებისა, რომლებიც აღშფოთებული არიან ქალაქებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში საზოგადოებრივი წესრიგის მდგომარეობით. საკმარისი ყურადღება არ ექცევა დანაშაულობათა თავიდან აცილებას, რომლებიც ჩადენილია საოჯახო და საყოფაცხოვრებო კონფლიქტების ნიადაგზე.

ახალი კანონი ავალდებულებს პროკურორებს დადგენილი წესების განუხრელი დაცვით განიხილონ მოქალაქეთა წინადადებები, განცხადებები და საჩივრები, მიიღონ ზომები მათი კანონიერი ინტერესების დაცვისა და დარღვეული უფლებების აღდგენისათვის.

უნდა ვაღიაროთ, რომ რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ორგანოებში, თვით პროკურატურის ცენტრალურ აპარატშიც, სამინისტროებსა და უწყებებში ჯერ კიდევ ილახება მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებები, აჯანჯლებენ განცხადებებისა და საჩივრების განხილვა-გადაწყვეტას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმალიზმი, გულგრილობა, მოქალაქეთა კანონიერი მოთხოვნებისადმი უსულგულო დამოკიდებულება, საჩივრებზე უსაფუძვლოდ უარის თქმა, მომჩივნისათვის დაუსაბუთებელი, ტრაფარეტული პასუხის გაცემა იწვევს მოქალაქეთა კანონიერ უკმაყოფილებას, წარმოშობს საჩივრების დამატებითს ნაკადს ზემდგომ ორგანოებში.

იმის მიუტევებელ მაგალითს, თუ რა სავალალო შედეგი შეიძლება მოჰყვეს განცხადებებისა და საჩივრების განხილვისას ფორმალიზმს, უსულგულობას, პროფესიული სიფხიზლის მოდუნებას, წარმოადგენს თბილისის № 2 რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხნის ყოფილი მთავარი ბუღალტრის ტ. სკვორცოვას საჩივრისადმი ადმინისტრაციული ორგანოების ზოგიერთი მუშაკის დამოკიდებულება. ტ. სკვორცოვა ამხელდა ქარხანაში დარღვევებისა და ბოროტმოქმედების ფაქტებს, რისთვისაც იგი, როგორც არასასურველი პირი, უკანონოდ გაათავისუფლა ქარხნის დირექტორმა ს. ბახტაძემ. ტ. სკვორცოვას საჩივრისადმი ბიუროკრატული დამოკიდებულების გამო დროულად არ იქნა მხილებული განსაკუთრებით საშიში სამეურნეო დანაშაული, რასაც მოჰყვა უმძიმესი შედეგი — ქარხანაში მოკალათებულ ბოროტმოქმედთა მეთაურის ს. ბახტაძის ინიციატივით მომჩივანი ტ. სკვორცოვა მოკლეს. ტ. სკვორცოვას საჩივრების უსულგულო და არაობიექტური გადაწყვეტისათვის ქ. თბილისის საქარხნო რაიონის პროკურორის თანაშემწე ვ. ფონია, რესპუბლიკის პროკურატურის მუშაკები ს. სიამაშვილი და გ. ჟღენტი დაითხოვეს პროკურატურის ორგანოებიდან, მკაცრად დაისაჯნენ სხვა მუშაკებიც.

ამ მწარე და დამაფიქრებელი ფაქტიდან კონკრეტული დასკვნები უნდა გამოვიტანოთ. ჩვენ პროკურორრებისაგან მოვითხოვთ უფრო გულმოდგინედ იმუშაონ საჩივრებსა და განცხადებებზე, ღრმად გააანალიზონ მათში წამოჭრილი საკითხები, სახელმწიფოებრივი წესრიგი დაამყარონ ამ უმნიშვნელოვანეს უბანზე.

სკკპ XXV ყრილობაზე ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა: „...ვზრუნავთ რა პიროვნების ყოველმხრივი განვითარებისათვის, მოქალაქეთა უფლებებისათვის, ჩვენ ამასთან ერთად სათანადო ყურადღებას ვუთმობთ საზოგადოებრივი დისციპლინის განმტკიცების პრობლემებს, ყველა მოქალაქის მიერ საზოგადოების წინაშე თავისი მოვალეობის დაცვას“.

ჩვენ მოვალენი ვართ მუდმივად და განუხრელად ვხელმძღვანელობდეთ ამ მითითებით. კანონმა პროკურორრები აღჭურვა ისეთი უფლებამოსილებით, რომელიც საშუალებას აძლევს მათ ეფექტიანი ზემოქმედება მოახდინონ იმ პირებზე, რომლებიც სახელმწიფოს და მოქალაქეთა ინტერესების საზიანოდ არ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, მკაცრი ზომები უნდა ვიხმაროთ იმ პირთა მიმართ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და სხვა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა, რომ დღეს პრაქტიკული საქმიანობის წინა პლანზეა მმართველობის, ორგანიზაციული ხასიათის საკითხები. მხედველობაშია ხელმძღვანელი კადრების პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლება, მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების მოქნილი კონტროლი და აუცილებელია საქმიანობის, კონკრეტულობის, ოპერატიულობის მაქსიმუმი, იმის გარკვევა, თუ რა, სად და რა ვადაში უნდა გაკეთდეს, კონკრეტულად ვინ არის პასუხისმგებელი დავალების შესრულებისათვის, კონკრეტულად ვინ ამოწმებს შესრულებას — ეს არის ორგანიზაციული მოთხოვნის საფუძველი.

ეს მითითებები განსაზღვრავს საპროკურორო საქმიანობის მთავარ მიმართულებას ამჟამად და საჭიროა ისინი გადაიქცნენ პრინციპულ განაწესად მთელი ჩვენი მუშაობის ორგანიზაციისა და სტილის სრულყოფისათვის.

თუ ამ გაზრდილი მოთხოვნების პოზიციებიდან შევაფასებთ ჩვენს საქმიანობას, მრავალი ნაკლი გვეცემა თვალში, განსაკუთრებით კი რაიონულ და საქალაქო რგოლებში. ხშირად ეს გამოწვეულია რესპუბლიკის და ავტონომიური რესპუბლიკების აპარატების ნაკლოვანებებით, პირველ რიგში მართვისა და კონტროლის ორგანიზაციის დარგში. მათი აღმოფხვრისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს პროკურატურის ორგანოების საქმიანობაში კოლეგიალობის გაფართოებას. ახალი კანონის საფუძველზე კოლეგიები უკვე შეიქმნა აფხაზეთის და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურატურებში.

ცხადია, კოლეგიალობის გაფართოებამ არ უნდა შეასუსტოს ერთსაწყისიანობა და პროკურატურების ხელმძღვანელების ერთპიროვნული პასუხისმგებლობის პრინციპი კოლეგიების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა რეალიზაციაში, რომლებიც ხორციელდება პროკურორის — კოლეგიის თავმჯდომარის ბრძანებით.

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო. პუბლიკ.
ბიბლიო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის პროკურატურა ყველა საჭირო ზომებს იღებს, რათა ახლად შექმნილი კოლეგიების მუშაობა ორგანიზაციულად სწორად მოეწყოს, ყურადღების ცენტრში მუდამ იდგეს მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულება, კოლეგიებმა ქმედითი გავლენა მოახდინონ პროკურატურის ორგანოების მთელი საქმიანობის დონის ამაღლებაზე, საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებაზე.

ცენტრალური აპარატის მუშაკი მოწოდების სიმაღლეზე რომ იდგეს, ყველას მიმართ იჩენდეს სათანადო მომთხოვნელობას, მას ყოველთვის უნდა ჰქონდეს მორალური უფლება მთელი პრინციპულობით ამხილოს ადგილებზე შემჩნეული ნაკლოვანებები და დარღვევები, მკაცრად მოჰკითხოს საქალაქო და რაიონულ პროკურორებს. ჩვენ ვერ შევურიგდებით აპარატისა და დაქვემდებარებულ მუშაკებს შორის საქმისათვის საზიანო „თანამეგობრობას". მუდმივად ვიზრუნებთ ცენტრალური აპარატების მუშაკთა ავტორიტეტისა და კომპეტენტურობის ასამაღლებლად ახალი ამოცანების კვალობაზე.

ცხადია, ამ საკითხს შემთხვევით არ შევეხეთ. ჩვენს რიგებში ჯერ კიდევ არიან მუშაკები, რომლებიც იმსახურებენ, რომ ამ მხრივაც მოვუწოდოთ წესრიგისათვის.

მთელი ჩვენი ორგანიზატორული მუშაობის თავიდათავია კონტროლისა და შესრულების შემოწმების ორგანიზაცია. ეს ხაზგასმით არის აღნიშნული ახალ კანონში. შესრულების კონტროლის დედააზრი ის როდია, რომ გამოვიდეთ დარღვევებისა და ნაკლოვანებების რეგისტრატორის როლში, არამედ თავიდან ავიცილოთ ისინი, მივიღოთ პრაქტიკული ზომები მათი აღკვეთისათვის, გავაუმჯობესოთ საქმის ვითარება.

საპროკურორო ეფექტიანობის ამაღლება ამჟამად უპირველესი პრობლემაა და იგი მთელი ჩვენი ორგანიზაციული ღონისძიების საფუძვლად უნდა იქცეს. ამოცანა ის არის, რომ ამაღლდეს საპროკურორო ზედამხედველობის შედეგი, ხელშესახები გახდეს იგი, მეტი გავლენა მოახდინოს საქმის მდგომარეობაზე.

თვალი რომ გადავავლოთ რესპუბლიკაში საპროკურორო საქმიანობას საერთოდ, აგრეთვე სტატისტიკურ მაჩვენებლებს, მდგომარეობა თითქოს დამაკმაყოფილებელია. მაგრამ მარტოოდენ ეს მაჩვენებლები, თვისებრივი მაჩვენებლების გარეშე, ცხადია, არ იძლევა საქმის რეალურ სურათს და ამიტომ განხორციელებული ღონისძიებებიც ნაკლებ ეფექტიანია.

შეეხო რა თანამედროვე ეტაპზე საპროკურორო ზედამხედველობის ეფექტიანობის მნიშვნელობას, სსრ კავშირის გენერალურმა პროკურორმა რ. ა. რუდენკომ თქვა, რომ „პროკურატურის საქმიანობაში ახლა მთავარია უზრუნველყოს კანონების ზუსტ და განუხრელ შესრულებისადმი საპროკურორო ზედამხედველობის ქმედითობა, მისი შედეგიანობა, რათა საპროკურორო ზედამხედველობა უფრო შემტევი იყოს. საქმე მარტო ის არ არის, რომ დროულად გამოავლინოთ უყაირათობა, მფლანგველობა, კუთხურობა, სახელმწიფო დისციპლინისა და კანონის სხვა დარღვევები, არამედ ის, რომ ფაქტობრივად აღკვეთოთ ისინი, აღმოვფხვრათ მათი გამომწვევი მიზეზები და ხელშემწყობი პირობები, დამნაშავენი მივცეთ სისხლის სამართლის პასუხისგებაში და საზოგადოებრიობის, შრომითი კოლექტივების მხარდაჭერით მივაღწიოთ სამართალდარღვევათა თავიდან აცილებას, მათს აღკვეთას, საქმე აუცილებლად ბოლომდე უნდა მივიყვანოთ, არ დავჯერდეთ წარდგინების ფორმალურად შეტანას. მხოლოდ ყველა ამ მოთხოვნის მტკიცე შესრულებით შეიძლება მიღწეულ იქნეს საპროკურორო ზედამხედველობის ქმედითობა, მისი შედეგიანობა". ამ სიტყვებში საუკეთესოდ არის შემუშავებული ეფექტიანობის ნამდვილი ფორმულა. მოკლედ, ეფექტიანობა — ეს არის მუდმივი სწრაფვა საბოლოო შედეგისადმი. ამიტომ პროკურორი უნდა იყოს არა დარღვევათა რეგისტრატორი ან ინფორმატორი, არამედ აქტიური, კანონიერების დაცვისათვის თავდადებული მებრძოლი. ამ დევიზით უნდა იბრძოდეს თითოეული ჩვენი მუშაკი პროკურატურის შესახებ ახალი კანონის მოთხოვნების რეალიზაციისათვის.

დამნაშავეობის და კანონიერების მდგომარეობის ღრმა, კვალიფიციური ცოდნის გარეშე შეუძლებელია პროკურატურის ორგანოების საქმიანობის სწორი ორგანიზაცია, საპროკურორო ზედამხედველობის მართებულად დაგეგმვა.

ამით არის ნაკარნახევი ის მოთხოვნები, რომლებსაც ამ ბოლო ხანს ვუყენებთ ქალაქებისა და რაიონების პროკურორებს სტატისტიკური მაჩვენებლების უტყუარობის უზრუნველყოფისა და ანალიზური საქმიანობის გადაჭრით გაუმჯობესების დარგში.

სამწუხაროდ, ზესტაფონის, დმანისის, თეთრი წყაროს, ქარელის, მესტიის, ონის და ზოგიერთ სხვა რაიპროკურატურებში ეს საქმიანობა მეტად დაბალ დონეზე წარმოებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საინფორმაციო-ანალიზურ საქმიანობას, მისი შედეგების გამოყენებას უფრო ოპერატიული ხასიათი უნდა მიენიჭოს. ამ მიზანს ისახავს რეკომენდაციები, რომლებიც ამას წინათ მივეცით პროკურატურის ადგილობრივ ორგანოებს და რომლებიც ხელს შეუწყობს სამართალდამცველი ორგანოების ძალთა გაერთიანებას, საზოგადოებრიობის მობილიზაციას დამნაშავეობასთან და სხვა ნეგატიურ მოვლენებთან საბრძოლველად.

ანალიზური მუშაობა წინ უნდა უძღოდეს ნამდვილი სახელმწიფო წესრიგის დამყარებას დანაშაულობებისა და მათი გახსნის აღრიცხვაში.

ახალ კანონში აღნიშნულია, რომ სსრ კავშირის პროკურატურა სხვა დაინტერესებულ სამინისტროებთან ერთად ამუშავებს ერთიანი აღრიცხვისა და სტატისტიკური ანგარიშგების სისტემას და მეთოდიკას, რაც უდავოდ ხელს შეუწყობს დამნაშავეობასთან ერთობლივ ბრძოლას, მის ეფექტიანობას, ასეთი სისტემა პროკურატურას შესაძლებლობას მისცემს, მიუხედავად გამომძიებელთა უწყებრივი დაქვემდებარებისა, უშუალოდ მოახდინოს გავლენა საგამოძიებო პრაქტიკაზე, კანონების სწორ და ერთგვაროვან გამოყენებაზე.

სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ ახალი კანონის ყველა მოთხოვნის რეალიზაცია მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი კადრებით იქნებიან დაკომპლექტებული ჩვენი ორგანოები. სადღეისო ამოცანების გადაწყვეტას შეძლებენ მხოლოდ მაღალკვალიფიციური და კეთილსინდისიერი კადრები. ამ პრინციპით ხელმძღვანელობს რესპუბლიკის პროკურატურა, როცა ახორციელებს სპეციალურ ღონისძიებებს პროკურატურის ორგანოებში მორალურ-პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღებისათვის, სახელგატეხილი, არაკომპეტენტური მუშაკებისაგან პროკურატურის რიგების გაწმენდისათვის.

როცა ვაანალიზებთ პროკურატურის ორგანოების მუშაობაში დაშვებულ ნაკლოვანებებსა და დარღვევებს, იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ უმთავრესად ისინი განპირობებულია სწორედ კადრების პოლიტიკაში დაშვებული შეცდომებით. ეს კი მიგვანიშნებს, რომ პროკურატურის ორგანოებში ყველაფერი არ არის გაკეთებული კადრების აღზრდის, განაწილების, მომზადებისა და გადამზადების ზუსტი და მწყობრი სისტემის შექმნისათვის, რაზეც პირდაპირ მიგვითითებდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმის დადგენილება.

რესპუბლიკის პროკურატურის ხელმძღვანელობა გულმოდგინედ ეძებს გზებსა და მეთოდებს კადრებთან მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, კადრების პასუხისმგებლობის ასამაღლებლად. მაგრამ, რაც კეთება, ეს მხოლოდ დასაწყისია იმ დიდი და დაძაბული შრომისა, რომელიც ჩვენ ამ დარგში გველის. პროკურატურის მუშაკთა ინიციატივის ამაღლებისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება სამკერდე ნიშანს „პროკურატურის საპატიო მუშაკი", რომლითაც სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს უფლება აქვს დააჯილდოოს ის მუშაკები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობით.

რესპუბლიკის პროკურატურის მუშაკები ცოდნასა და ძალ-ღონეს არ დაიშურებენ, რათა თავიანთი წვლილი შეიტანონ სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ ახალი კანონის ყოველი დებულების განსახორციელებლად, კიდევ უფრო განამტკიცებენ რესპუბლიკაში მართლწესრიგსა და კანონიერებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შევქმნათ დამნაშავეთა მიმართ შეუწყნარებლობის აფთოსფერო

გ. გვეტაძე,
საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი, მილიციის გენერალ-მაიორი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის აგვისტოს ცნობილი დადგენილება „მართლწესრიგის დაცვისათვის მუშაობის გაუმჯობესებისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“, ახალ დიდ ამოცანებს უსახავს სახელმწიფო, ადმინისტრაციულ ორგანოებს, მათ შორის შინაგან საქმეთა სამინისტროს. ეს დადგენილება, რომელიც შეიცავს საგულისხმო, ღრმა დასკვნებსა და რეკომენდაციებს ,გამოქვეყნებისთანავე საბრძოლო პროგრამად იქცა ჩვენთვის.

ამ დიდმნიშვნელოვან დოკუმენტიდან გამომდინარე მოთხოვნათა შესრულებას უდიდეს ყურადღებას უთმობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რომლის ინიციატივით მიმდინარე წლის იანვარში გაიმართა რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრება, რომელმაც შეიმუშავა და ახლა განუხრელად ხორციელდება ორგანიზაციულ და პრაქტიკულ ღონისძიებათა კომპლექსი. მათ შორის წინა პლანზეა წამოწეული საკითხი, რომელიც ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებას ეხება, რისთვისაც ზრუნვა ძირითადად შინაგან საქმეთა ორგანოების საქმეა.

ვიდრე ამ მიზნის მისაღწევად დასახულ კონკრეტულ ღონისძიებებს შევეხებოდეთ, მოკლედ მიმოვიხილოთ შარშან რესპუბლიკაში შექმნილი ოპერატიული ვითარება, რომლის ფონზე უფრო ნათლად გამოიკვეთება ის პრობლემები და ამოცანები, რომელთა გადაწყვეტა უაღრესად საჭიროა სკკპ ცენტრალური კომიტეტის აღნიშნული დადგენილების შესაბამისად მუშაობის გარდაქმნისათვის.

გასულ 1979 წელს რესპუბლიკაში დაისახა ოპერატიული ვითარების გაჯანსაღების ტენდენცია, კერძოდ დამნაშავეობა 3,9 პროცენტით შემცირდა, განსაკუთრებით საშიში დანაშაულობანი კი კიდევ უფრო მეტად — 7,6 პროცენტით. ისეთი მძიმე დანაშაულობანი, როგორიც არის მკვლელობა, მკვლელობის მცდელობა, სხეულის მძიმე დაზიანება, ხულიგნობა და სხვა, უფრო ნაკლებია რეგისტრირებული. ეს პოზიტიური ძვრები იმ დიდი ორგანიზატორული მუშაობის შედეგია, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ეწევა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ საბრძოლველად და საერთო მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გასაჯანსაღებლად. დამნაშავე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობასთან ბრძოლის საკითხი დღეს ყველა პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის საქმიანობის განუყოფელ ნაწილად იქცა.

დამნაშავეობასთან ბრძოლაში მიღწეულ წარმატებებზე რომ ვლაპარაკობთ, ამით ნაკლოვანებათა მიჩქმალვას ან მოჩვენებითი კეთილდღეობის განწყობილების შექმნას კი არ ვცდილობთ, არამედ ხაზს ვუსვამთ იმ დაუღალავ, თავდადებულ შრომას, როძელსაც შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები საზოგადოებრიობასთან ერთად ეწევიან მართლწესრიგის განმტკიცებისათვის. თუმცა აქვე ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია, რადგან ოპერატიული ვითარება რესპუბლიკაში კვლავაც დაძაბულია.

ბოლო ხანს განსაკუთრებით გავრცელდა ქონებრივი დანაშაულობები — ქურდობა, ძარცვა, რომლებზეც გამოვლენილ დანაშაულობათა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი მოდის. ჩვენს შეშფოთებას იწვევს ის, რომ ქურდებს შორის იზრდება არასრულწლოვანთა ხვედრითი წილი. კერძოდ, 1979 წელს ქურდობის 21,3 პროცენტი ჩადენილია 14—17 წლის მოზარდთა მიერ. ესენი არიან საშუალო სკოლების, საშუალო-სპეციალური და პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეები.

ჩვენი რესპუბლიკის მიღწევები ეკონომიკის ყველა სფეროში, ხალხის მატერიალურ-კულტურული ცხოვრების დონის განუხრელი ამაღლება, გამორიცხავს ამგვარი დანაშაულობათა არსებობის სოციალურ საფუძველს. მაშ რა ხდება, რაშია საქმე?

საჟურნალო სტატიაში შეუძლებელია არასრულწლოვანთა შორის დანაშაულობის ზრდის გამომწვევი მიზეზების დაწვრილებითი ანალიზი. ეს არც არის ჩვენი მიზანი. იგი ალბათ მეცნიერთა, სოციოლოგთა, ფსიქოლოგთა, განათლების დარგის მუშაკთა სპეციალური შესწავლის საგნად იქცევა, მაგრამ მოკლედ მაინც გამოვთქვამთ ჩვენს მოსაზრებას ამ საკითხზე: არასრულწლოვანთა შორის დამნაშავეობა ეტყობა პირდაპირ არის დაკავშირებული და უშუალო ანარეკლია დიდი ხნის მანძილზე ჩვენს ყოფა-ცხოვრებაში გამეფებული იმ განუკითხაობისა და ნეგატიური მოვლენებისა, რომლებსაც ასეთი სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს ბოლო ხანს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რესპუბლიკის მშრომელმა მოსახლეობამ.

სტატისტიკა და სოციოლოგიური გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ არასრულწლოვან დამნაშავეთა დიდ უმრავლესობას იტაცებს ეგრეთ წოდებული „ლამაზი ცხოვრება“ — ქეიფი, დროსტარება, მოდური ნივთების და სამაკულების შეძენა, ნარკოტიკები. ბევრი მათგანი მატერიალურად უზრუნველყოფილი, გარეგნულად საიმედო ოჯახიდან არის, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს დანაშაულის გამომწვევ ე. წ. „სოციალურ მიზეზთა“ უსაფუძვლობას. აქ, ჩვენი აზრით, ძირითადად გავლენას ახდენს თვით ოჯახის მორალურ-ზნეობრივი მიკროკლიმატი.

შვილების საქციელისათვის ყველაზე დიდი მორალური პასუხისმგებლობა მშობლებს ეკისრებათ. ძირითადად ოჯახში ხდება პიროვნების ფორმირება. აქ გაბატონებული მორალურ-ესთეტიკური კატეგორიები და ცხოვრებისეული თვალსაზრისი განსაზღვრავს მომავალი მოქალაქის ზნეობას. ამრიგად, იმ შეცდომებისათვის, რომლებსაც აღზრდის პროცესში მშობლები უშვებენ, ნებსით

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ უნებლიეთ, საბოლოო ანგარიშით, თვითონვე ისჯებიან სასტიკად, როცა თავიანთ შვილებს განსასჯელის სკამზე იხილავენ.

შინაგან საქმეთა ორგანოები ქმედითს ღონისძიებებს ახორციელებენ ქონებრივ დანაშაულთა პროფილაქტიკისა და აღკვეთისათვის. მხილებულია ქურდებისა და მძარცველების ჯგუფი. სწრაფი ტემპებით წარმოებს საცხოვრებელი ბინების და სავაჭრო ობიექტების აღჭურვა სასიგნალო მოწყობილობით.

შინაგან საქმეთა ორგანოების არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციებმა გააძლიერეს მეთვალყურეობა იმ არასრულწლოვანთა მიმართ, რომლებიც შემჩნეულნი არიან მართლწესრიგის დარღვევაში. გაძლიერდა სამსახური, რომელიც აწარმოებს ბრძოლას ნარკომანიის წინააღმდეგ, მაგრამ შინაგან საქმეთა ორგანოების მეცადინეობა სასურველ ნაყოფს ვერ გამოიღებს, თუ ოჯახი, სკოლა, უმაღლესი სასწავლებლები და შრომითი კოლექტივები ერთსულოვნად არ აღიმაღლებენ ხმას და ფართო საზოგადოებრიობის მკაცრ სამსჯავროზე არ გამოიყვანენ იმათ, ვინც გულგრილად ეკიდება ახალგაზრდობის აღზრდას, თავისი უმოქმედობით უბიძგებს მათ დანაშაულისაკენ.

საჭიროა მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის — პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და შრომითი კოლექტივების ერთობლივი მოქმედება, ბრძოლა იმისათვის, რომ ახალგაზრდის სულიერი და ზნეობრივი ფორმირება ხდებოდეს კომუნისტური სულისკვეთებით. ამ საკითხს დაწვრილებით იმიტომ შევეხე, რომ იგი მეტად საჭირბოროტო და მტკივნეულია და, დიახაც, დროა, ავტეხოთ განგაში მდგომაერობის უსწრაფესი გამოსწორების მიზნით. ახალგაზრდობა ჩვენი ხვალინდელი დღეა, იმაზე, თუ როგორი იქნება იგი, დიდად არის დამოკიდებული რესპუბლიკის, ერის მომავალი.

შარშან რესპუბლიკაში თავი იჩინა ახალი სახეობის დანაშაულმა, რომელიც განსაკუთრებული ცინიზმით ხასიათდება. ეს არის ადამიანების, მეტწილად ბავშვების გატაცება დიდძალი ფულის გამოძალვის მიზნით. მილიციის მუშაკების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათი ენერგიული მოქმედებით შესაძლებელი გახდა ყველა დანაშაულის დროულად გახსნა, დამნაშავეთა შეპყრობა და გატაცებულ პირთა უვნებლად დაბრუნება თავიანთ ოჯახებში.

არ შეიძლება კმაყოფილებით არ აღვნიშნოთ ის პოზიტიური როლი, რომელიც მრისხანე საზოგადოებრივმა აზრმა შეასრულა ამგვარ დანაშაულობათა აღკვეთაში. გავიხსენოთ თუნდაც რა დიდი რეზონანსი ჰქონდა სოფელ კაკაბეთში გამართულ მშრომელთა ყრილობას, რომელიც ტელევიზიით გადაიცა ასევე აღნიშვნის ღირსია ის აქტიური პოზიცია, რესპუბლიკის პრესამ, რადიომ და ტელევიზიამ რომ დაიკავეს ქურდობის წინააღმდეგ ბრძოლაში. შედეგმაც არ დააყოვნა, და მიმდინარე წლის ხუთ თვეში მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. ეს ნათლად მოწმობს, თუ რაოდენ დიდია საზოგადოებრივი აზრის მნიშვნელობა, როცა იგი სწორად არის ორგანიზირებული და მიზანდასახულადაა წარმართული.

სასურველია ასეთივე შეუწყნარებლობის ატმოსფერო შეიქმნას ლოთობისა და მუქთახორობის წინააღმდეგ, რაც დანაშაულის გამომწვევი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია. 1979 წელს სამართალში მიცემულ პირთა 30 პროცენტი არ იყო ჩაბმული საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში. მილიციის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშაკებმა გამოავლინეს მრავალი ისეთი პირი, რომლებიც პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან, მაგრამ მიუხედავად განხორციელებული ღონისძიებებისა, მთლიანად მაინც ვერ მოხერხდა მათი დასაქმება. ამ მხრივ ჩვენ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების აქტიური დახმარება გვესაჭიროება.

ჩვენი აზრით, არსებული კანონმდებლობაც არ იძლევა საშუალებას ქმედითი ზომები მივიღოთ იმათ მიმართ, ვინც სისტემატურად არიდებს თავს საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო ამუშავებს წინადადებებს პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ იმათ მიმართ, ვინც არ ასრულებს კონსტიტუციის მოთხოვნებს და გაურბის შრომას.

ლოთობა არ ითვლებოდა ჩვენი რესპუბლიკისათვის დამახასიათებელ მოვლენად, მაგრამ ბოლო ხანებში ალკოჰოლური სასმელების გამოყენება მკვეთრად გაიზარდა. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ უკანასკნელ ორ წელიწადში არაყის რეალიზაცია 16 პროცენტით გადიდდა. ლოთობა უდევს საფუძვლად ხულიგნობასა და მოქალაქეთა კონფლიქტებს, რომლებიც ხშირად სავალალო შედეგით მთავრდება. იმატა სამედიცინო გამოსაფხიზლებელში მიყვანილ პირთა რიცხვმა, სამწუხაროდ, მათ შორის ქალებიც არიან. გადასაწყვეტია ლოთობის წინააღმდეგ მებრძოლი სამსახურის ორგანიზაციული გამტკიცების და ბრძოლის მეთოდების სრულყოფის საკითხები. დიდი მნიშვნელობა აქვს ალკოჰოლისტთა შრომით სამკურნალო პროფილაქტორიუმში მკურნალობის უახლესი მეთოდების დანერგვას, რაც ბოლო პერიოდში წარმატებით ხორციელდება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი კვლავ მწვავედ მოითხოვს გაძლიერდეს ბრძოლა კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიის წინააღმდეგ. სწორედ ეს ტენდენცია ასაზრდოებს წარსულის ისეთ მავნე გადმონაშთებს, როგორიც არის მექრთამეობა, სპეკულაცია, სახელმწიფო ქონების დატაცება, მომხვეჭელობა და სხვა.

მას შემდეგ, რაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა უკომპრომისო ბრძოლა გააჩაღა ჩვენს ყოფა-ცხოვრებაში ფეხმოკიდებული ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, საკმაო დრო გავიდა და ბევრი სასიკეთო ძვრა მოხდა, მაგრამ შეცდომა იქნებოდა, გვეფიქრა, თითქოს პრობლემა საბოლოოდ გადაჭრილი იყოს. შეუძლებელია ერთბაშად მოსპო და ამოძირკვო ის, რაც წლების მანძილზე იდგამდა ფესვს. ბრძოლა გრძელდება და, შეიძლება ითქვას, იგი უფრო მძიმე ხასიათს მიიღებს. „საქმოსნებმა“, რომლებსაც საერთო მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაუმჯობესების გამო პოზიციები შეერყათ, ახალი გარემოს გათვალისწინებით შეიცვალეს ბრძოლის ტაქტიკა და უფრო ფრთხილად იწყებს მოქმედება. ზოგიერთი „ახალი კურსის“ თავგამოდებულ დამცველადაც კი გვევლინება, თუმცა ფაქტობრივად შენიღბული ფორმებით კვლავ განაგრძობენ თავის დანაშაულებრივ საქმიანობას.

უკანასკნელ ხანს სოციალისტური საკუთრების განსაკუთრებით დიდი ოდენობის დატაცების ფაქტები გამოვლინდა ლილოს საშენ მასალათა კომბინატში, რესპუბლიკის მუსიკალურ-ქორეოგრაფიულ სასწავლებელში, მცხეთის საკონსერვო ქარხანაში, სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 13 ტრესტში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბროლაურის საკონსერვო ქარხანაში, მაიაკოვსკის რაიონის ადგილობრივი მრეწველობის საწარმოო კომბინატში და სხვაგან.

ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი დანაშაულობანი უმაღლეს სასწავლებლებში. აღმაშფოთებელი ფაქტი გამოამკარავდა, რექტორატის ინიციატივით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც საბუღალტრო აღრიცხვის კათედრის ყოფილმა გამგემ ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატმა კ. ნემსაძემ ნიშნების წამატებისათვის სტუდენტებისაგან ათასი მანეთი ქრთამი აიღო.

მექრთამეები და კომბინატორები გარდა იმისა, რომ დიდ ზიანს აყენებენ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას, უარყოფითს გავლენას ახდენენ ახალგაზრდობაზე, აუარესებენ მორალურ-ზნეობრივ კლიმატს, გვევლინებიან სხვა დანაშაულობათა მასაზრდოებელ წყაროდ. ამგვარი „საქმოსნების“ წინააღმდეგ ბრძოლის არადამაკმაყოფილებელ დონეზე მეტყველებს თბილისის შამპანური ღვინოების კომბინატში რევიზორთა მიერ გამოვლენილი სახელმწიფო ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცების ფაქტი, რომლის თანხამ რვა მილიონ მანეთს გადააჭარბა. დანაშულში ჩაბმული აღმოჩნდა ასობით ადამიანი. დანაშაულებრივი ჯგუფი, რომელიც დაკავშირებული იყო სავაჭრო ორგანიზაციებთან, მრავალი წლის მანძილზე მოქმედებდა, დიდხანს არხეინად გრძნობდა თავს და სოციალისტური საკუთრების დატაცების წინააღმდეგ მებრძოლი აპარატის კონტროლის გარეშე აღმოჩნდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებმა საჭირო დასკვნები უნდა გამოიტანონ, რათა წარმატებით გადაჭრან მეტად პასუხსაგები, სერიოზული პრობლემები.

საჭირო გახდა სოციალისტური საკუთრების დატაცების წინააღმდეგ მებრძოლი აპარატის საქმიანობის ძირეული გარდაქმნა. განხორციელდა მთელი რიგი სტრუქტურული ცვლილებები, მოეწყო ამ ხაზით მომუშავე თანამშრომელთა სამსახურებრივი ატესტაცია, რამაც საშუალება მოგვცა საგრძნობლად გადაგვეხალისებინა კადრები. შინაგან საქმეთა სამინისტროს სოციალისტური საკუთრების დატაცების წინააღმდეგ მებრძოლმა სამმართველომ ძირეული რეორგანიზაცია განიცადა მის შემადგენლობაში შეიქმნა ორი ახალი, მეტად მნიშვნელოვანი ქვეგანაყოფი: ოპერატიულ-ეკონომიკური ანალიზის განყოფილება, რომელიც შეისწავლის რესპუბლიკაში მიმდინარე სოციალურ და ეკონომიკურ პროცესებს, შეიმუშავებს სათანადო რეკომენდაციებს და განსაკუთრებით მნიშვნელოვ საქმეთა განყოფილება, რომლის ამოცანაა შენიღბულ საქმოსანთა საშიში განშტოებების ლიკვიდაცია.

ვფიქრობთ, რომ ეს გარდაქმნები სასურველ შედეგს მოგვცემს და ხელს შეუწყობს ჩვენს რესპუბლიკაში სოციალისტური კანონიერების შემდგომ განმტკიცებას.

ჯარტია, ხალხი ჩვენგან მოითხოვს დავამყაროთ სანიმუშო წესრიგი ცხოვრების ყველა სფეროში, დავნერგოთ მუშაობის ახალი სტილი, მეთოდები და ფორმები, რაც ხელს შეგვიწყობს ჩვენს წინაშე მდგომი დიდი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაში.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიამ შეიმუშავა სპეციალურ ღონისძიებათა კომპლექსი, რომელშიც გათვალისწინებულია რესპუბლიკაში შექმნილი ოპერატიული ვითარების თავისებურებანი და ბოლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს სისხლის სამართლის დანაშაულთა სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებები.

იმ ძირითად ორგანიზაციულ ზომებს შორის, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყოს დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლასა და მართლწესრიგის განმტკიცებას, განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ღონისძიებები, საგუშაგო-საპატრულო სამსახურის რეორგანიზაციისა და სრულყოფის მიზნით რომ ხორციელდება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურაში შეიქმნა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველო, სადაც ერთიან ქვეგანაყოფებში თავმოყრილია წინათ დამოუკიდებლად მოქმედი რამდენიმე სამსახური. მათი საქმიანობის კოორდინირებამ და ცენტრალურმა მართვამ საშუალება მოგვცა უფრო ოპერატიულად გადაგვეწყვიტა საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების ამოცანები ქუჩებში, მოედნებზე, პარკებში, სკვერებში და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში.

ქ. თბილისში ჩამოყალიბდა და უკვე მოქმედებს სპეციალური მოტორიზებული ბატალიონი, რომელიც იცავს წესრიგს ქუჩებსა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში. ანალოგიური ქვეგანაყოფები იქმნება ქ. ქ ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, რუსთავში, ტყიბულში, თელავში და სხვაგან.

განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად მნიშვნელოვნად გაძლიერდა ბრძოლა ქუჩის დამნაშავეობისა და მისი ყველაზე მკაფიო გამოვლინების — ხულიგნობის წინააღმდეგ. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ შარშან ქუჩის დანაშაულმა 29 პროცენტით იკლო.

ერთ-ერთი სერიოზული პრობლემა, რომელიც ჩვენ წინაშე დგას, ეს არის შრომა-გასწორების დაწესებულებების საქმიანობის ძირეული გაუმჯობესება, კერძოდ აღმზრდელობითი პროცესის რადიკალური გარდაქმნა. თუ სასჯელის მოხდას თან არ ახლავს ჩადენილი დანაშაულის ანტისაზოგადოებრივი არსის შეგნება, რაც საბოლოო ანგარიშით მონანიებად უნდა იქცეს, გამორიცხული არ არის შემდგომში მსჯავრდადებულის მიერ უარესი ბოროტების ჩადენა. ამის მაგალითები, სამწუხაროდ, საკმაოდ ბევრი გვაქვს, ამოცანის გადაწყვეტა კი მხოლოდ კომპლექსური აღმზრდელობითი მუშაობით არის შესაძლებელი. ამისათვის განხორციელდა ღონისძიებანი შრომითი პროცესის გაუმჯობესებისათვის: მიმდინარეობს საწარმოო ბაზების რეკონსტრუქცია. შრომა-გასწორების დაწესებულებათა მატერიალური ბაზის განმტკიცებაში დიდი დახმარება გაგვიწია საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მთავრობამ, რომლებმაც ამ საკითხზე სპეციალური დადგენილება მიიღეს.

შინაგან საქმეთა ორგანოების საქმიანობა დღეს უკვე წარმოუდგენელია მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა გამოყენებისა და დანერგვის გარეშე. ჩვენი ორგანოები აღჭურვილი არიან თანამედროვე რადიო და ტელეაპარატურით. დანაშაულის გახსნას ემსახურება ელექტრონული გამომთვლელი მანქანები, კრიმინალისტური ტექნიკა.

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს, პირადად მინისტრის ნ. თ. შჩოლოკოვის მხარდაჭერით შეექმენით ოპერატიულ-ტექნიკური სამმართველო, რომელიც შინაგან საქმეთა ორგანოებში განახორციელებს ერთიან ტექნიკურ პოლიტიკას, ითავებს მეცნიერებისა და ტექნიკის სიახლეთა დანერგვას ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს უკვე მოპოვებული მოწინავე გამოცდილების განზოგადებას და დანერგვას. ამ მიზნით შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნა და ფუნქციონირებს სამეცნიერო-საკონსულტაციო მეთოდიკური საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკები, მეცნიერები, რესპუბლიკის მსხვილ სამრეწველო-საწარმოო გაერთიანებათა გამოცდილი სპეციალისტები. მათ რჩევებს და კონსულტაციებს ჩვენთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

ფასდაუდებელ დახმარებას გვიწევს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი. მის რეკომენდაციებს შინაგან საქმეთა ორგანოებისათვის დიდი პრაქტიკული ღირებულება აქვს. საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტში გაერთიანებული არიან გამოჩენილი მეცნიერები, წარმოების მოწინავენი, ლიტერატურის, ხელოვნების და კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლები.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის წევრთა რეკომენდაციების საფუძველზე ამჟამად მუშავდება ღონისძიებები სვანეთში გაბნეულ ეროვნულ საგანძურთა საიმედო დაცვის უზრუნველსაყოფად, ქონებრივ დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად, არასრულწლოვან დამნაშავეთა აღზრდის სისტემის ეფექტიანობის ასამაღლებლად და ა. შ.

მთელი ჩვენი მუშაობის წარმატების საწინდარია სწორი საკადრო პოლიტიკა. დღეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში პირად შემადგენლობის 53,5 პროცენტს უმაღლესი განათლება აქვს. დანარჩენები საშუალო-სპეციალური განათლებით არიან, ანდა დაუსწრებლად სწავლობენ უმაღლეს სასწავლებლებში. შინაგან საქმეთა რაიონულ და საქალაქო განყოფილებათა ყველა უფროსი, ყველა გამომძიებელი უმაღლესი განათლებითაა, ხოლო რიგოსანთა 90 პროცენტს გააჩნია საშუალო განათლება.

შარშან მილიციის საშუალო სკოლის ბაზაზე შეიქმნა კიდევ ერთი სპეციალიზებული სასწავლებელი — შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფილიალი, რომელიც უმაღლესი კვალიფიკაციის ოპერატიულ მუშაკებს მოამზადებს.

ჩვენ გვყავს შესანიშნავი თანამშრომლები, რომლებიც ძალ-ღონესა და ენერგიას არ იშურებენ სისხლის სამართლის დამნაშავეთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ზოგიერთმა მათგანმა სიმართლისა და სიკეთისათვის ბრძოლას შესწირა კიდეც თავი.

შინაგან საქმეთა ორგანოები საუკეთესო შევსებას იღებენ პარტიული, კომკავშირული და საბჭოთა ორგანოებიდან. ჩვენთან სამუშაოდ მოდიან მშრომელები, წარმოების მოწინავენი, საბჭოთა არმიიდან დემობილიზებული ახალგაზრდები, უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულნი.

სამწუხაროდ, ყველა როდი შემოდის ჩვენს რიგებში კეთილშობილური განზრახვით. არიან ისეთებიც, რომლებმაც მილიციის მუშაკთა მუნდირი მხოლოდ თავიანთი პირადი ინტერესებისათვის ჩაიცვეს. სამინისტროს კოლეგია და პარტიული კომიტეტი გადამჭრელ ღონისძიებებს ახორციელებენ რათა უვნებელყოს ისინი. მარტო შარშან ორგანოებიდან დავითხოვეთ 497 სახელგატეხი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი თანამშრომელი, რამდენიმე კაცი მიცემულია სისხლის სამართლის პასუ-ხისგებაში. ეს მონაცემები შესაძლოა საგანგაშოდაც მოგვეჩვენოს, მაგრამ ამავე დროს დამაიმედებელია და ოპტიმისტურ განწყობილებას გვიქმნის, რაკი გვარწმუნებს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლექტივს აქვს სათანა-დო ძალა და ენერგია უკომპრომისო ბრძოლა გააჩაღოს როგორც ბოროტმოქმე-დებთან ,ისე საკუთარ რიგებში შემოპარულ მოღალატეებთანაც.

ჩეკისტს, როგორც ფ. ე. ძერჟინსკი ამბობდა, უნდა ჰქონდეს ნათელი გო-ნება, მხურვალე გული და სუფთა ხელები. მხოლოდ მაშინ შეძლებს იგი შე-ასრულოს ხალხის მიერ დაკისრებული დიდი მისია — იყოს სიმართლისა და სი-კეთის ქომაგი, ჩვენი სოციალისტური საზოგადოების საიმედო გუშაგი, ხოლო ორგანოს მუშაკის მიერ დაშვებულ ყოველ შეცდომას, მით უმეტეს შეგნებუ-ლად ჩადენილ დანაშაულს, შეუძლია ათასობით სხვა ბოროტებას გაუკაფოს გზა. ამიტომ არის, რომ უმთავრეს საზრუნავად მიგვაჩნია გამოვააშკარავოთ და ჩვენი რიგებიდან გავაძევოთ ფიცის გამტეხი თანამშრომლები.

რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკები კიდევ უფრო თავ-დადებულად იბრძოლებენ მომავალში იმ ამოცანების წარმატებით გადასაჭრე-ლად, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის აგვისტოს დადგენილებამ დაგვისახა.

იმედია, სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებისათვის ბრძოლის ამ კეთილშობილურ საქმეში ფართო საზოგადოების აქტიური მხარდაჭერაც არ მოგვაკლდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონი იცავს ბუნებას

ვ. კაპარავა,
საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე

ახლის შენებით, ბუნების ძალთა დათრგუნვა-დამორჩილებით გატაცებული ადამიანი ვერც კი ამჩნევდა, თუ რა მოულოდნელ და მალულ დარტყმას უმზადებდა მასთან შეზრდილი, მისი მარადიული მეგობარი — ბუნება.

მეწყერივით მოვარდნილ ამ საფრთხეს იგი ვერ დახვდა სრულ მზადყოფნაში...

სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს ჯერ-ჯერობით მხარს ვერ უბამს და საგრძნობლად ჩამორჩება ბუნების დაცვის მეცნიერება და ინდუსტრია. ეს სამსახური სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს, მომავლის წამყვან დარგად წარმოგვიდგება.

საბჭოთა საქართველომ, 1958 წელს ერთ-ერთმა პირველმა მიიღო კანონი „ბუნების დაცვის შესახებ", ხოლო 1975 წელს კი მთავრობამ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი დააარსა.

თავდაპირველად ახალ შექმნილი კომიტეტის პირველ, გაუბედავ ნაბიჯებს კეთილგანწყობით, თანაგრძნობით, მაგრამ ერთგვარი უნდობლობით შეხვდნენ. „კეთილი და მყუდრო", გაიგონებდით უწყინარ ხუმრობას. სხვა უწყებებში ზომაზე მეტად გადაღლილ მუშაკებს მალულად თვალი ეჭირათ ჩვენი კომიტეტისაკენ, აქაოდა, ცოტას მაინც დავისვენებთო, მაგრამ ამ ახალ სახელმწიფო ორგანოს სხვა ბედი ეწერა. მას თავიდანვე არ ჰქონდა იოლი ცხოვრების უფლება, რადგან ქვეყნის წინაშე მეტად პასუხსაგები გამოცდა უნდა ჩაებარებინა. ხალისით დაწყებული საქმე მალე გართულდა. მრავალი საფიქრალ-საზრუნავით აღივსო. კომიტეტის კარი პირველმა თვით ბუნებამ შემოაღო და მას შემდეგ იგია ჩვენი ავ-კარგის გამკითხავი, მრჩეველი, ჩვენი ხატება.

ჩვენ ვებრძვით ეროზიას, ვიცავთ წყალს და ჰაერს გაჩინძურებისაგან, ვპატრონობთ ტყეებს, მინებს, ნიადაგებს, ნიაღს, ცხოველთა სამყაროს, ვცდილობთ კომპლექსურად იქნეს გამოყენებული ნედლეული, დაინერგოს უნარჩენო წარმოების ტექნოლოგია, ვქმნით ახალ ლანდშაფტებს, ვაახლებთ ძველს, ვებრძვით ხმაურს...

რიწა და პალიასტომი, ხოსობი და ირემი, ტყე და ნაკრძალი, მტკვარი და რიონი, ყვირილა და გალიძგა, ჟინვალი და ენგური, მყინვარი და საძოვრები, ჭიკჭავი და მადნეული, ვარციხე და ნამახვანი, კასპი და რუსთავი, ზღვა და ხმელეთი — ყოველივე ეს ის არის, რაზეც ფიქრი არ გვასვენებს, რომელთა მიმართ ზრუნვასა და სიყვარულს გულით ვატარებთ, ვისი კარგად ყოფნითაც გაგვიხარია, ხოლო მარცხით გული გვტკენია.

გასული წლები საოცრად ახალგაზრდული აღტკინების და გატაცების, ცდისა და ექსპერიმენტის, ინიციატივისა და ენთუზიაზმის წლები გახლდათ. ვიგონებთ რესპუბლიკურ შეხვედრებს მრგვალ მაგიდასთან, სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებს, სიმპოზიუმებს, გაერთიანებულ სხდომებს, იუნესკოს სამთავრობათაშორისო კონფერენციას.

სახელმწიფო კომიტეტი მრავლად გზავნის მოსაწვევ ბარათებს და ყოველ მათგანზეა დევიზი: „სიწმინდე ატმოსფერულ ჰაერს — კაცობრიობის ფილტვებს", „სიწმინდე შავ ზღვას", „ბუნება — ოჯახი ჩვენი", „თევზი კაცით არის ულევი", „ბუნების დაცვა მამულის დაცვაა" და სხვ.

კარლ მარქსს ეკუთვნის სიტყვები: „შრომა მამაა სიმდიდრის, მინა კი დედა". თითქოს იმეორებს მათ ილია ჭავჭავაძის გლეხკაცი: „მინა დედაა, ის გვაწოვებს ძუძუსა, იმას დავხარით ღღე-ღამე, ჩვენი ქირიც და ლხინიც ის არის... გადაუხსნით დედამინას მადლიან გულსა, ჩავყრით შიგ თესლსა, მივალთ და ის დალოცვილი მინა თავის დღეში არ დაიღლება, ისე არ გაძუნწდება რომ მიბარებული ერთი ორად არ დაგვიბრუნოს"...

ერთში კი ცდებოდა მინის მოტრფიალე გლეხი, როცა ამბობდა „თავის დღეში არ დაიღლებაო". დაიღალა მინა და შველას ითხოვს.

ბუნებისდაცვითს კომპონენტთა შორის ჩვენთან პირველი ადგილი სწორედ მინას ეთმობა. სასოფლო-სამეურნეო სავარგული საქართველოში სულ 3 მილიონ ჰექტარს შეადგენს. სამწუხაროდ, წლითიწლობით საგრძნობი რაოდენობის მიწები სხვადასხვა მიზეზით გამოდის სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან. საკმარისია ითქვას, რომ 1950 წლიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახნავი მიწის ფართობი 220 ათასი ჰექტარით ანუ 32 პროცენტით შემცირდა. მიზეზი ბევრია, მთავარი კი ეროზიაა. ამ ნიადაგდამანგრეველმა მოვლენამ მწყობრიდან გამოიყვანა 400 ათასი ჰექტარი მიწის ფართობი.

თუ კი ეროზია აღარიბებს ნიადაგს, საკარიერო მეურნეობები მთლიანად შთანთქავენ მის ნაყოფიერ ფენას. ამ პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რეკულტივაციის სამუშაოების დროულად და ხარისხიანად ჩატარებას. ჩვენი ამოცანაა თვალყური ვადევნოთ და მკაცრად მოვთხოვოთ მიწათმოსარგებლე უწყება-ორგანიზაციებს, მიწათა დამუშავების შემდეგ სოფლის მეურნეობას უკან დაუბრუნონ მოწესრიგებული, რეკულტივირებული მიწები.

ვერა და ვერ აღიკვეთა რესპუბლიკაში 15 -ზე მეტი დახრილობის ფერდობებზე ერთწლიანი სათოხნი კულტურების ხვნა-თესვა, რაც დიდ ზარალს ინვევს. ნლების მანძილზე მოედინება წყალი ფერდობებზე, ხსნის და რეცხავს ნიადაგის ნაყოფიერ ფენას და თანდათანობით აშიშვლებს მიწას.

საქართველოში მიწების მოვლა-დაცვის საქმეში გარკვეული ძვრებია. გამოიყოფა თანხები, იგეგმება და შენდება მინდორსაცავი ტყის ზოლები, ტერასები, ჰიდროტექნიკური ნაგებობები, მაგრამ ხშირად ყველაფერი ეს უხარისხოდ, ურიგოდ კეთდება, რის გამოც ფულიც იკარგება და მიწაც.

ჯერ კიდევ ვერ მოგვარდა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შხამქიმიკატებისა და მინერალური სასუქების შენახვის, ტრანსპორტირებისა და გონივრულად გამოყენების საკითხი. ჩვენ გარშემო თავმოყრილია დიდძალი მომწამლავი ნივთიერებები. ბევრგან მოშლილია, ან საერთოდ არ არსებობს საწყობები და სასუქები და შხამქიმიკატები ღია ცის ქვეშ ყრია.

ასპინძისაკენ მიმავალი კაცი უთუოდ ნახავს ძველი საქართველოს ნასოფლარ და ნაქალაქევ ადგილებს და ტერასებს, მრავალი საუკუნის ცოცხალ ძეგლებს, დღესაც რომ მშვენივრად გამოიყურება. სამწუხაროდ, ამასვე ვერ ვიტყვით დღეს გაშენებულ ტერასებზე. ისინი იმდენად მალე და ისე ძლიერად ინგრევა და ირეცხება, რომ ხშირად ასობით ჰექტარი მიწა მომავლისათვის სრულიად გამოუსადეგარი ხდება და მათ საძოვრებად იყენებენ. არის საექსპლოატაციოდ დაუმთავრებელი ტერასების მიღების ფაქტები.

მიწებს საქართველოში თავისი ქომაგები ჰყავს. საქართველოს დამსახურებული ექიმი ალექსანდრე აბუთიძე დიდ სამსახურს უწევს მშობლიურ ამბროლაურის რაიონს, მამაპაპეული მწირი სამოსახლო მაღლობი, სადაც მხოლოდ ასკილი და კუნელი ხარობდა, ტერასებად დაყო და ნამდვილ ბაღნარად გადააქცია. ახლა იქ მსოფლიოს თხუთმეტი ქვეყნის დეკორატიული და ეგზოტიკური მცენარე ხარობს. რიონის პირას კლდის ძირში გაშენებული თუთის პლანტაციაც და სამი ჰექტარი ახალი ტყე მის სახელთან არის დაკავშირებული.

ახლა მიწის გულში ჩავიხედოთ, რომლის მიმართაც არანაკლებ დაინტერესებას იჩენს ადამიანი. რა არ მოიპოვება აქ: მანგანუმი, სპილენძი, ქვანახშირი, ბეტონიტის თიხები, პოლიმეტალები, ბარიტი, აქატი, დოლომიტი, მოსაპირკეთებელი ქვები, მინერალური და თერმული წყლების უდიდესი მარაგი და ბოლოს ნავთობი — კიდევ ერთი, ჩვენი მიწის ნიაღში ჩაფარული ფასდაუდებელი სიმდიდრე.

ზოგჯერ გაიგონებთ — ნავთობის ძიება და რეწვა საფრთხეს უქმნის გარემო ბუნებას, უმჯობესია ნავთობი სხვა რესპუბლიკაში ვეძებოთ, ჩვენში კი მას კარი გადავურაზოთ. ეს ასე არ არის.

ბუნების დაცვა არ ნიშნავს ბუნების უწინდელი სახით შენარჩუნებას. საქმე ისე უნდა წარიმართოს, რომ ბუნება ემსახუროს ადამიანს, მოუტანოს მას სიამოვნება. სასარგებლო ნიაღისეულის მოპოვება ტექნიკის გამოყენების, საჭირო სახსრების გაღების, ყველა აუცილებელი ბუნებისდაცვითი ღონისძიებების განხორციელების პირობებში კი არ დაარღვევს მიწის ზედაპირს, არამედ პირიქით თავიდან აგვაცილებს ამას, ვინაიდან ამოივსება კარიერები, გასწორდება ზედაპირი, ჰერმეტიზაცია ჩაუტარდება ძველ ჭაბურღილებს, რეკულტივაცია გარემოს გააცოცხლებს და კიდევ უფრო დაამშვენებს ლანდშაფტს. დღესდღეობით კი შესაბამისი სამინისტროები და უწყებები სარეკულტივაციო სამუშაოებს დამაკმაყოფილებლად ვერ ახორციელებენ. ირღვევა მიწის ნაკვეთების გამოყოფის, მათი გამოყენების, დამუშავებული კარიერების მოვლა-პატრონობისა და პირველადი მიწათმფლობელობისათვის დაბრუნების წესები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოში, სადაც მტკაველი მიწა ოქროდ ფასობს, ცოტა როდია ნიადაგები, რომლებსაც ადამიანთა ვერც ერთი და ვერც ათი თაობა ვერ დაგვიბრუნებს. ხოლო თუ ნიადაგების ნაყოფიერ ფენას გამოფიტვა ემუქრება, თავს ნუ მოვიტყუებთ, პირდაპირ ვთქვათ — საფრთხე მოელის თვით ადამიანის არსებობას.

გავიხსენოთ ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სიტყვები: „ნიადაგების დაცვა მთელი საზოგადოების საქმეა, ხოლო მიწის ნებისმიერი გაფუჭება კი უნდა განვიხილოთ, როგორც ანტისაზოგადოებრივი საქციელი" — დიახ ,არც მეტი არც ნაკლები, როგორც ანტისაზოგადოებრივი საქციელი.

მიწას თავს ევლება, შველის, კურნავს ჭიათურმანგანუმის სამთამადნო კომბინატის რეკულტივაციის სამსახურის უფროსი გრიგოლ გიორგაძე. ხუთი წლის მანძილზე მისი თავკაცობით აღდგენილ იქნა 333 ჰექტარი ნიადაგი, რომელიც საზოგადოებრივ მეურნეობას გადაეცა. განახლებულ მიწებზე დასახლდა ხალხი, მოჰყავთ უხვი მოსავალი.

ხალხს უთქვამს, „წყლის ძალა მოგვცეს ბუნებამაო". მართლაც, რა ძალა, რა გამძლეობა, რა მოთმინება აქვს ამ დალოცვილს.

რას წარმოიდგენდა ეს მშვენიერი, ანკარა, კრიალა, მოჩუხჩუხე და მოლივლივე ცხელი, გრილი თუ ცივი საოცრება ბუნებისა, მისი მკლავმოუღლელი, მარად მოძრავი, მარად მომუშავე ლაღი შვილი, რომ ადამიანი მას ამ დღეში ჩააგდებდა, ასე დატვირთავდა, ასე ბევრს დაავალებდა, ასე აამღვრევდა, მილიონობით ტონა საყოფაცხოვრებო, სასოფლო თუ სამრეწველო წარმოებათა ნარჩენებს ჩაუშვებდა მის ზვირთებსა თუ ტალღებში. გიკვირს, რას უძლებს ეს დალოცვილი, სად მიაქვს, როგორ ერევა, როგორ ახმობს, აშრობს, აორთქლებს, შლის, ანეიტრალებს მასში ჩაშვებულ სიბინძურეს.

ამ ბოლო წლებში წყალი, სიცოცხლის პირველწყარო, ჩვენი პლანეტის დაუცხრომელი-გამწმენდი სანიტარი, აქა-იქ თმობს თავის პოზიციებს, რითაც აქარწყლებს მითს მისი უძლეველობის და მარადიულობის შესახებ. დიახ, წყალიც აღარ არის უსასრულობის კუთვნილება.

დღეს ბევრი ჩვენგანი იმასაც კი ფოქრობს, ეყოფათ კი წყალი ჩვენს შვილებს და შვილიშვილებსაო? ეყოფათ, რა თქმა უნდა, თუკი კარგად წარვმართავთ და თავს დავადგავთ ამ საქმეს, თუკი რიონს და ჭოროხს არ გავაბინძურებთ, ყვირილას მდინარეს დავამსგავსებთ, რინის ტბას უკეთ მოვუვლით, თუკი რუსთავის ქიმიური და ზუგდიდის ქაღალდის კომბინატების მიერ მტკვარსა და ენგურში ბლომად ჩამდინარე შხამი უამრავ თევზს არ მოსპობს, თუკი სასმელ წყალს არ გამოვიყენებთ ტექნიკური მიზნებისათვის, თუ მოსახლეობაც არ დაკარგავს დიდძალი რაოდენობის სასმელ წყალს, თუკი ბოლოს მოვუღებთ ჩვენში წყლისადმი უდარდელ და უდიერ დამოკიდებულებას, გაეზრდით თითოეული ჩვენგანის პირად პასუხისმგებლობას ამ საქმისათვის.

დღესდღეობით ეს რომ ასე არ არის, ამაზე მეტყველებს ფილმი „მტკვარი შველას ითხოვს", რომელიც ჩვენ გადავიღეთ.

თითქოს ბევრი რამ კეთდება ზღვის გაჭუჭყიანებისაგან დაცვისათვის, მაგრამ თქმა იმისა, ეს გოლიათი „პაციენტი" ჯანმრთელიაო, არავის შეუძლია, ისიც უნდა ითქვას, რომ ბევრი სამინისტრო და უწყება, დაწესებულება და ორგანიზაცია, რომლებიც მონაწილეობენ ან განაგებენ წყლის დაცვის, განაწილების და გამოყენების საქმეს, არ ექვემდებარებიან ჩვენს კონტროლსა და ამ საქმისადმი ყოვლად მიუტევებელ შეუფასებლობას იჩენენ. მდგომარეობა კი სავალალოა.

გადავხედოთ წყლის ავ-კარგის ამსახველ პანორამას. მრავალ სასიხარულო მოვლენათა გვერდით ბევრგან იგრძნობა სასმელი წყლის ნაკლებობა, მას უმოწყალოდ ხარჯავენ, არის საირმის და ბორჯომის მინერალური წყლების საგრძნობი შემცირების ტენდენცია, წყალსადენის სათავე ნაგებობანი სავალალო მდგომარეობაშია. მოუწესრიგებელი რწყვა დიდძალ დანაკარგებს იწვევს, ნახევრად პარალიზებულია წყლის გამწმენდ ნაგებობათა სისტემა. გულისმომკვლელია ჭუჭყისაგან სიცოცხლედაკარგული მდინარეები, ტბები, ფერშეცვლილი ზღვის წყალი, ჩვენივე წყალობით მდინარეთა მიერ გაწბილებული და კვებას მოწყურებული შავი ზღვის ნირშეცვლილი, შელახული ნაპირები.

ამას იმიტომ ვუსვამთ ხაზს, რომ წყლის დაცვას სჭირდება მთელი მოსახლეობის ყურადღება, ბუნების ქომაგთა მადლიანი მარჯვენა, რომელსაც ბევრის გაკეთება შეუძლია. საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ წარმოების ნებისმიერი ხელმძღვანელი პასუხისმგებლობას გრძნობდეს წყლის მომჭირნეობით ხარჯვის, დაზოგვის, გაწმენდის საკითხისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მას სახელმწიფო საქმედ უნდა მიიჩნევდეს. იმ წარმოებაში, სადაც წყალს ქიმიური გაუჩნდება, ვფიქრობთ, ამ მხრივ მეტი წესრიგი დამყარდება.

პარტია და მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობენ წყლის დაცვა-გამოყენების პრობლემებს. ამ მხრივ დიდ მუშაობას ეწევიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მთავრობა.

მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია. ყვირილამ, ენგურმა, გალიძგამ დაკარგეს თევზსამეურნეო მნიშვნელობა, ზღვის სანაპირო კვლავ ბინძურდება. რესპუბლიკაში 82 ქალაქიდან და რაიონული ცენტრიდან ნაწილობრივ კანალიზებულია მხოლოდ 22. თუმცა ჩამდინარე გაჭუჭყიანებული წყლების რაოდენობა იზრდება, გამწმენდ ნაგებობათა მშენებლობის ტემპი და ხარისხი ფრიად არადამაკმაყოფილებელია, ხოლო მათი ექსპლოატაცია — სრულიად მოუწესრიგებელი.

უნდა აღინიშნოს, რომ წყლის დაცვა-გამოყენებისათვის გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებებს წარმოება-ორგანიზაციები წლითიწლობით ვერ ითვისებენ, ვერ იცავენ წყალგამწმენდ ნაგებობათა საექსპლოატაციოდ გადაცემის ვადებს. ბევრგან უშედეგოდ მიმდინარეობს პროგრესული ტექნოლოგიის, ბრუნვითი წყალმოხმარების და წყალმომარაგების ახალი სისტემის პრაქტიკაში დანერგვა, ნარჩენების უტილიზაცია და ა. შ.

დიდი რაოდენობის წყალი იკარგება რწყვის დროს, მაგისტრალური სისტემებისა და განსაკუთრებით შინაგანი ქსელის მოშლილობის გამო. სარწყავ მიწებზე მცირეა საშუალო ჰექტარობრივი მოსავალი.

დიდძალი წყალი იკარგება მომხმარებელთა მიერ საქალაქო და სამრეწველო ქსელში. ბრუნვითი წყლის გამოყენება რესპუბლიკაში საერთო წყალმოხმარების 22 პროცენტს შეადგენს, მაშინ როცა საშუალო საკავშირო მაჩვენებელი 60 პროცენტია.

საქართველოს სს რესპუბლიკა მდიდარია გეოთერმული სითბოს დაუშრეტელი რესურსებით. 33 სადაზვერვო-საექსპლოატაციო ჭაბურღილის თერმული წყლის ჯამური დებიტი 7 მილიონ კუბურ მეტრს შეადგენს, გამოყენებული კი მხოლოდ 50 პროცენტია.

რესპუბლიკაში არ არის სახარბიელო მდგომარეობა მინერალური წყლების დაცვისა და რაციონალური გამოყენების საქმეშიც. რა რესურსებს შეუძლია დააკმაყოფილოს ბორჯომის წყალზე მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილება, როცა ამ უძვირფასესი წყლის ჩამოსხმის საგეგმო დანაკარგი 25 პროცენტს შეადგენს, რაც 200 კუბური მეტრია დღეღამეში.

არც სასმელი წყლის პრობლემაა ბოლომდე გადაჭრილი. მთელ რიგ რაიონებში მოუწესრიგებელია წყალსადენის სათავე ნაგებობები.

თუმცა რესპუბლიკაში ყოველწლიურად შენდება და საექსპლოატაციოდ გადაეცემა ახალი წყლის საწმენდი ნაგებობები, ჩვენი მდინარეებისა და შავი ზღვის სანაპირო წყლების სანიტარიული მდგომარეობა მეტად სავალალოა და მისი გამოსწორების ტენდენცია, სამწუხაროდ, არ ისახება. უკეთეს შემთხვევაში გაბინძურებული წყლების საერთო რაოდენობის მხოლოდ 30 პროცენტი იწმინდება. დაახლოებით 1,5 მილიონი კუბური მეტრი გაბინძურებული წყალი დღე-ღამის განმავლობაში გაუწმენდავი ჩადის ჩვენს წყალსატევებში. რესპუბლიკაში არსებული 300 საწმენდი ნაგებობებიდან და ლოკალური მოწყობილობიდან უდიდესი ნაწილი ცუდად მუშაობს. ცუდად ვიკვლევთ და ვაპროექტებთ, კიდევ უფრო ცუდად ვაშენებთ და ექსპლოატაციას ვუწევთ გასაწმენდ ნაგებობებს.

აუცილებელია ამ პრობლემის გადასაწყვეტად რესპუბლიკაში შეიქმნას მძლავრი მეცნიერო-საწარმოო გაერთიანება.

ქალაქ პერმში არის ნავთობდამმუშავებელი ქარხანა, რომელიც ნაცვლად იმისა, რომ აბინძურებდეს წყალს, თავის წყალთან ერთად, წმენდს ქალაქის გამდინარე წყლების 99 პროცენტს. აქ ასეთი მეტამორფოზა მოხდა იმ დღიდან, როცა ქარხანაში დაიდგა უნიკალური საწმენდი ნაგებობა, დამკვიდრდა პრაქტიკა: საწარმოს მშენებლობის დროს გულუხვად გაიღონ თანხები გასაწმენდი ნაგებობებისათვის. ასეთი დანადგარების მშენებლობა ობიექტის კაპიტალური დაბანდების 40 პროცენტი ჯდება, ე. ი. თითქმის ნახევარი.

ზოგიერთი ჩვენი ადმინისტრაციული ორგანო წყლის დაცვისა და მოვლა-პატრონობის საქმეში ჯერ კიდევ არ დგას მოწოდების სიმაღლეზე.

მტკვარი მდინარე, რომელიც ცნობილი იყო მდიდარი იქტიოფაუნით, დღეს საზარლად ბინძურდება ქ. რუსთავის სამრეწველო საწარმოებიდან ჩამდინარე წყლებით, რასაც თან სდევს თევზის მასობრივი დაღუპვა. უკანასკნელი 10 წლის მანძილზე რუსთავის საწარმო-

ებმა რამდენიმე მილიონი მანეთის ზარალი მიაყენეს სახელმწიფოს. მერე რა მოიყვა ამის შედეგად? მხოლოდ ის, რომ რამდენჯერმე გათამაშდა დამნაშავეთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ინსცენირება. დაჯარიმების მოქმედი წესი აღარ ამართლებს თავის დანიშნულებას. დამნაშავე არ ისჯება, ზარალობს თვით სახელმწიფო, რომლის ჯიბიდან იხდიან ჯარიმას დამნაშავე პირები.

დედამიწაზე დღის წესრიგშია ჟანგბადის პრობლემა, ჟანგბადისა, რომლის დეფიციტი სწრაფად იზრდება ატმოსფეროში. გავეცნოთ ტოკიოს რადიოს ერთ-ერთ გადაცემას: „ვაფრთხილებთ მცხოვრებლებს, რომ ჰაერში იმატა მავნე ნივთიერებათა რაოდენობამ, ყურადღება! სასწრაფოდ შეწყვიტეთ სასკოლო მეცადინეობა ღია ჰაერზე, დააბრუნეთ მოსწავლეები კლასებში... ეცადეთ თავი აარიდოთ ქუჩაში ყოფნას... ისარგებლეთ ავტომანქანებით მხოლოდ უკიდურესი საჭიროებისას. ავადმყოფებმა გამოიყენეთ სათანადო სამედიცინო პრეპარატები!“ და ა. შ. ერთი წლის მანძილზე იაპონიის რადიომ და ტელევიზიამ 176 მსგავსი განცხადება გააკეთა.

საბჭოთა კავშირში ჰაერის გაჭუჭყიანების პრობლემას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. უდიდეს ელექტროსადგურებსა და თბოელექტროსადგურებზე მაღალეფექტიანი ელექტროფილტრების დაყენებით გაწმენდის პროცენტი 99 პროცენტს შეადგენს. მალე მწყობრში ჩადგება კავშირში პირველი ელექტროფილტრების ქარხანა.

მეცნიერები და ექიმ-ჰიგიენისტები ნაყოფიერად მუშაობენ ჩამკეტი ტექნოლოგიური ციკლის მქონე საწარმოთა შექმნაზე, მუშავდება ელექტროძრავაზე მომუშავე მსუბუქი სატვირთო მანქანების პროექტები. გამოვა მანქანები, რომლებიც ბენზინის ნაცვლად ბუნებრივ გაზს გამოიყენებენ, მანქანები, რომელთა ძრავების კვების წყაროდ ელექტროაკუმულატორი იქცევა, გაზტურბინის ძრავებიანი, ორთქლის ძრავებიანი, კომბინირებულ ძრავებიანი მანქანები და ა. შ.

ბაღებს და პარკებს ხშირად ქალაქის „ფილტვებს“ უწოდებენ. ჩვენს ქვეყანაში ბევრია ქალაქი, რომელთა მწვანე საბურველი სულ უფრო და უფრო მეტ სივრცეებს იპყრობს. ამ მხრივ, სამაგალითოა მოსკოვი, სადაც ყოველწლიურად ათასობით ხე ირგვება დედაქალაქის ძველი და ახალი დასახლების რაიონებში.

უკანასკნელი წლების მანძილზე საქართველოშიც ცოტა რამ როდი გაკეთდა ატმოსფეროს დაცვისათვის. მიმდინარეობს ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამშვები კერების და მტვერდამჭერი დანადგარების პასპორტიზაცია, მწყობრში შევიდა მტვერსაჭერი და გაზსანმენდი მძლავრი დანადგარები, დაწესდა ლაბორატორიული კონტროლი გაზის გამონაბოლქვების შემადგენლობის განსაზღვრისადმი, ხორციელდება რიგი ლოკალური ღონისძიებები ცალკეულ საწარმოში.

მაგრამ მდგომარეობა მაინც ჯერ კიდევ არასახარბიელოა, თბილისის, რუსთავის, ზესტაფონის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმისა და ტყვარჩელის თავზე კვლავ შებოლილია ზეცა.

თბილისში „ფოლად-თუჯსამსხმელო“, „პლასტმასის“, „ელექტროიზოლიტის“, კერამიკული და გაჯის ქარხნები, ბამბეულისა და სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატები, ტყავის ქარხანა და სხვა ძველებურად, თუ უფრო მეტად არა, აბინძურებენ ჰაერს.

რუსთავში 200-ზე მეტი საწარმო აჭუჭყიანებს ატმოსფეროს, ამათგან ნახევარზე მეტს საერთოდ არ გააჩნიათ მტვერსაჭერი და გაზსაჭერი დანადგარები. ამჟამად მოქმედ ნაგებობათა უმრავლესობა ან საერთოდ არ მუშაობს, ან მუშაობს, მაგრამ მეტისმეტად არაეფექტიანად.

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მიერ გამონაბოლქვი მავნე აირები, დასავლეთ საქართველოში არსებული ატმოსფეროს ჩაკეტილი ცირკულაციის გამო, კი არ იფანტება, არამედ ღღითი ღღე მატულობს, სოხუმამდე და გაგრამდეც კი ვრცელდება. შესაძლოა მანგანუმორუანგის მომწამვლელი ნარევი თვით დიდი სოჭის საზღვრებსაც აღწევდეს.

ამას წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მიერ გარემოს გაბინძურების საკითხი, მდგომარეობის გამოსასწორებლად დასახა საჭირო ღონისძიებანი, ხოლო ქარხნის ყოფილი დირექტორი კ. ცქიტიშვილი მოხსნა თანამდებობიდან და გარიცხა პარტიის რიგებიდან.

ძლიერ ბინძურდება ატმოსფერული ჰაერი ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვი გაზებით.

მეცნიერული კვლევის მეტად საჭირო შედეგებს გვაწვდიან ამიერკავკასიის მეტეოროლოგიის, გეოფიზიკის, სანიტარიისა და ჰიგიენის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის მეცნიერები. ჰაერის გაჭუჭყიანებისაგან ბრძოლაში საგრძნობი წვლილი შეაქვს რესპუბლიკის ჰიდრომეტსამსახურს, ბობოქრობს ჯანმრთელობის სამინისტროს სანიტარული სამსახური, ახალ „მწვანე ფილტვებს“ ავლენენ ბიოქიმიის ინსტიტუტში, ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანებას ებრძვიან უმაღლესი სასწავლებლების შესაბამისი კათედრები, ლაბორატორიები, რესპუბლიკური ავტოინსპექცია, მთელი რიგი საუწყებო ინსპექციები. ხედავთ რა ხდება? — ამდენი ხალხია ჩაბმული, თანხებიც დიდძალი იხარჯება, შედეგი კი, სასურველი შედეგი ჯერ არ ჩანს.

ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტიც არ დგას ჯეროვან სიმაღლეზე. ჩვენ გვაქვს დიდი უფლებები, ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკური მთავრობის მხარდაჭერა და აი, მიუხედავად ამისა, ამ უფლებებს, ამ ხელსაყრელ პირობებს ატმოსფეროს გაჭუჭყიანებისაგან დაცვის საქმეში ვერ ვიყენებთ.

ჰაერის უმოწყალო გაჭუჭყიანების, პროექტებში უხეში, ზოგჯერ დანაშაულებრივი შეცდომების დაშვების რამდენი ფაქტი გვაქვს, რამდენი უსულგულო მუშაკის წყალობით ინამლება გარემო, რამდენი უკანონო გადაწყვეტილება უბედურებად ატყდება თავს ბუნებას, ჩვენ კი არ ვიმაღლებთ ხმას, მთელი პრინციპულობით ვერ ვებრძვით ამ ბოროტებას.

ამას წინათ გამოქვეყნებულმა სსრ კავშირის კანონპროექტმა ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ კიდევ ერთხელ ნათლად დაგვანახვა, რომ ჰაერს, „კაცობრიობის ფილტვებს“ დაცვა სჭირდება და რომ იმ პირებს, ვისაც ბრალი მიუძღვით ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ კანონმდებლობის დარღვევაში, ეკისრებათ სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული ან სხვაგვარი პასუხისმგებლობა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები და მოქალაქენი მოვალენი არიან აანაზღაურონ ატმოსფეროსათვის მიყენებული ზარალი, ხოლო თანამდებობის პირებსა და სხვა მუშაკებს, რომელთა ბრალითაც საწარმომ, დაწესებულებამ და ორგანიზაციამ გაიღო ხარჯები ზარალის ასანაზღაურებლად, ეკისრებათ მატერიალური პასუხისმგებლობა დადგენილი წესით.

1990 წლისათვის რესპუბლიკის ელექტროენერგიაზე მოთხოვნილება 28 მილიარდ კილოვატსაათამდე გაიზრდება. ეს არის ძნელად შესასრულებელი ამოცანა, მაგრამ იგი უნდა შესრულდეს და სხვა ვარიანტი არ არსებობს. ჩვენი კომიტეტი იბრძვის და კვლავაც განაგრძობს პრინციპულ ბრძოლას იმისათვის, რომ ელექტროსადგურების მშენებლობამ ზიანი არ მიაყენოს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვა დარგებს, საქართველოს ბუნებას, რომ ჰესების მშენებლობამ ფოთის თუ ბიჭვინთის, გუდავის თუ ანაკლიის ნაპირები არ შეიწიროს.

მთავრობის არაერთი დადგენილების და ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის მიერ მიღებული ზომების მიუხედავად, ჯერ კიდევ გრძელდება შავი ზღვის სანაპიროდან და მისი აუზის მდინარეების კალაპოტებიდან ინერტული საშენი მასალის (ხრეშისა და ქვიშის) მტაცებლური ექსპლოატაცია.

საკითხავია, რატომ უნდა შეეწიროს ზღვის სანაპირო პლაჟები, კურორტები, სანაპიროზე განლაგებული სხვა ობიექტები ასეთ უგვანო მოქმედებას? სცოდავენ აჭარის ასსრ, აფხაზეთის ასსრ, ფოთის ბუნების დაცვის ზონალური ინსპექციები, რომლებიც მარტონი მუშაობენ, არ იყენებენ აქტივს, არ ქმნიან საზოგადოებრივ აზრს, არ იცნობენ ბუნების ქომაგებს, სრულად არ იყენებენ თავიანთ უფლებებს, არ სჯიან დამნაშავე პირებს.

ერთ-ერთი პრობლემაა შავი ზღვის სანაპიროს წარეცხვისაგან დაცვა. მადლიერების გრძნობით უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება რესპუბლიკაში ზღვის ნაირდაცვის მძლავრი სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების შექმნის შესახებ, რაც უთუოდ ხელს შეუწყობს უახლოეს წლებში ამ პრობლემის საბოლოო გადაწყვეტას.

ადამიანის ცხოვრების მუდმივი თანამგზავრია ხმაური. იგი ყველგან არის, ყოველთვის თან ახლავს ადამიანს: დედამიწაზე, ჰაერში, მინის ქვეშ, წყლის ქვეშ. დღეს მის მიმართ ადამიანი ნაკლებ ყურადღებას იჩენს, მაგრამ დადგება დრო, როცა ხმაური დამანგრეველი ქარიშხლის ძალით შემოიჭრება ჩვენს ცხოვრებაში და შეხედულება მის მიმართ ძირეულად შეიცვლება. მეცნიერები წინასწარმეტყველებენ, რომ მალე ადამიანი ისეთივე თაგვამეტებით იბრძოლებს ხმაურის წინააღმდეგ, როგორც ოდესაც ებრძოდნენ ჭირსა და ქოლერას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკვე დღეს ბევრია ხმაურით დაავადებული და დაღუპული ადამიანი. ხმაურიანი იყო წარსული, აწმყო „ხმაურობს" უფრო მეტად, ხოლო მომავალი გვიქადის კიდევ უფრო „ხმამაღალ" პერსპექტივებს. ვფიქრობ, ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რა ზიანი მოაქვს ადამიანისათვის ხმაურს. უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენში, ამ მხრივ, თითქმის არავითარი მუშაობა არ მიმდინარეობს.

საქართველოს ბუნების ფასდაუდებელ სიმდიდრეთა შორის ტყეს განსაკუთრებული ადგილი უკავია. ტყისდაცვითს ღონისძიებებში დიდი როლი ენიჭება ტყით სარგებლობის მოცულობის შემცირებას. თუკი 1967 წელს ტყის მერქნით სარგებლობის რაოდენობა 2 მილიონ კუბურ მეტრს შეადგენდა, 1976 წელს მან 535 ათას კუბურ მეტრამდე იკლო, ხოლო 1979 წელს 395 ათას კუბურ მეტრამდე შემცირდა. მხოლოდ ტყის ავ-კარგზე ჭეშმარიტ ზრუნვას შეეძლო ამ გზით წარემართა ტყის დაცვის პოლიტიკა საქართველოში. ეს **დიდი გამარჯვებაა**, ბუნებისდაცვითს ძალთა, მეტყევე-სპეციალისტთა, მთელი საზოგადოების **დიდი გამარჯვება**.

რესპუბლიკის ტყეების მოვლა-შენარჩუნებაში დიდი როლი ენიჭება მთავრობის მიერ მიღებულ დადგენილებას აფხაზეთში ხე-ტყის სამრეწველო დამზადების შეწყვეტის შესახებ. უკეთესი ხომ არ იქნება მსგავსი გადაწყვეტილება მიღებულ იქნეს ენგურის ხეობაზეც და სვანეთის ბუნება, მისი ულამაზესი ტყეები და მდიდარი ცხოველთა სამყარო, წარმოდგენილი იშვიათი სახეობის ფლორითა და ფაუნით, სახელმწიფო ნაკრძალად გამოცხადდეს. დღის წესრიგში დადგა სვანეთის ტყეების მოვლა-გადარჩენის საკითხი **და** იგი ჩვენგან ბევრად უფრო ენერგიულ ღონისძიებებს მოითხოვს.

სატყეო მეურნეობის სამინისტროსთან ჩვენმა ერთობლივმა მუშაობამ გარკვეული შედეგი გამოიღო: აკაფვას გადარჩა რიწის ნაკრძალში ტყის ერთი მონაკვეთი და ჭივჭავის მთის ფერდობზე მოშრიალე მუხნარი, შეჩერებული იქნა გაგრა-ალპური გზის მშენებლობასთან დაკავშირებული ტყის უმოწყალო გაჩანაგება, კურორტ გაგრის ასაქცევი გზის პროექტში გათვალისწინებული იქნა საუკეთესო მუხნარის კორომოსი შენარჩუნება და ა. შ. ბევრი რამ შესძლებია ერთობლივ მუშაობას.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვაწყდებით მთის ტყეების ექსპლოატაციის წესების უხეშ დარღვევებს, ყველგან ერთნაირი ეფექტიანობით არ სრულდება ტყის აღდგენითი სამუშაოები, ნაკლოვანებებია ე. წ. სანიტარიული ჭრის ორგანიზაციაში, საკალალო მდგომარეობაშია საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობის ტყეები. უკვე წელინადზე მეტია, რაც მთავრობამ მიიღო დადგენილება სახერხების რაოდენობის ერთ მესამედამდე შემცირების შესახებ, მაგრამ მაინც ვერ მიაღწიეს იმას, რომ ტყის გამანადგურებელი ეს დანადგარები საჭიროებისდა მიხედვით გამოვიყენოთ.

მეტი ღონისძიებები უნდა განხორციელდეს ტყის დაავადებათა წინააღმდეგ საბრძოლველად.

რესპუბლიკის მოსახლეობა, მთავრობა სამართლიანად გვისაყვედურებენ საქართველოში კაკლის ხეების გაუშენებლობას. დაპირებები, პროექტები, დისერტაციები, დადგენილებები ამ საკითხზე მრავლად არის, კაკალი კი არ ჩანს.

თანამედროვე ქალაქს ძნელად თუ წარმოვიდგენთ უბალპარკებოდ, უხეივნებოდ. ჩვენს **რესპუბლიკას**, სამხრეთის მცხუნვარე მზე რომ დაჰყურებს დღენიადაგ, მაცოცხლებელი წყალი მიწის გულს რომ უგრილებს, **რესპუბლიკას**, რომელსაც მიწაზე, ტყეზე, წყალზე მომუშავე ათასობით მეცნიერი და სპეციალისტი ჰყავს, ასე განსაჯეთ, აკლია მწვანე ფერი, ჟანგბადი, სილამაზე, მის ბუნებას კი ადამიანის მზრუნველი ხელი, ყველაფერს რომ ამკობს, ქარგავს, ამშვენებს და აცოცხლებს.

ალბათ, ბევრმა არ იცის, რომ საქართველოს ფინანსთა მინისტრი ფარნაოზ ანანიაშვილი ბუნების ქომაგია, რომ მას გატაცებით უყვარს ბუნება და ბევრს აკეთებს მისთვის. კაცი იფიქრებს, სად ფინანსები, მშრალი ციფრები, უსიცოცხლო და გაუთავებელი ცხრილები, უწყისები, ანგარიშები, ფინანსისტის შეუბრალებელი ინსტრუქციებითა და დადგენილებებით განსაზღვრულ-შეზღუდული და არსად არაფრის დამთმობი ხასიათი და სად კიდევ უსაზღვროდ კეთილი, ლაღი და მშვენიერი ბუნება, მისი ტრფიალი და გატაცება.

მოვიგონოთ ლეგენდარული, ფოლადისაგან ნაწრთობი, შეუდრეკელი და მრისხანე რობესპიერი, **რომელიც** მრავალ უნაზეს ლექსს წერდა ვარდ-ყვავილებზე, ჩიტების ულურტულზე, წყაროთა ჩუხჩუხზე...

როგორც ჩანს, ნიჭი შემოქმედებისა, შემართება მოღვაწე კაცისა, შრომა მეცნიერის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ დარგის ხელმძღვანელისა კარგად ერწყმის ბუნების ტრფიალსა და მისდამი ერთგულებას.

საქართველოში მწვანე მშენებლობის და მეყვავილეობის შემდგომი განვითარების ისეთი პროექტები, როგორიც ფ. ანანიაშვილმა წარმოადგინა, დღემდე არავის არ წარმოუდგენია. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, მას, როგორც ბუნების ქომაგს, მარტო მარტყოფის ღვთაების ახლად დაბადებული შემოგარენი ეყოფა. მისი პირადი ინიციატივით და მონაწილეობით გაჩნდა ახალდაქორწინებულთა, ბავშვთა, სამამულო ომში დაღუპულთა, გამოჩენილ ფინანსისტთა მშვენიერი ხეივნები, გაკეთდა წყაროები. შეიქმნა ულამაზესი ხელოვნური ლანდშაფტები. ბუნების სიყვარულმა წარმოშვა კოლექტივში ახალი, მშვენიერი ტრადიციები: გამარჯვების კოცონი, ბავშვთა დღე, შემოქმედებითი კოლექტივების გამოსვლები და ლიტერატურული საღამოები, მხატვრული გამოფენები, ყვავილთა კონკურსი-გამოფენა და სხვა. ასევე კეთილმოეწყო, გამწვანდა და დამშვენდა დასასვენებელი სახლები წყნეთსა და სიონში, დამხმარე მეურნეობა ლოჭინოში.

საოცრებაა პირდაპირ, როგორ ილტვიან ადამიანები ბუნებისადმი. გასულ წელს მოსკოვის მახლობლად ვისვენებდი, საკუთარი თვალით ვხედავდი, როგორი იყო მოსკოველთა სტუმრობა ბუნებასთან, სწორედ რომ ბუნების სტუმრები იყვნენ ისინი და არა სანატორიუმისა. უნდა გენახათ, რამდენს დადიოდნენ ტყეში, როგორ ღრმად, ხარბად სუნთქავდნენ ტყის ათასგვარი სურნელით აღსავსე თავბრუდამხვევ, დამათრობელ ჰაერს.

ზოგიერთი ფიქრობს, რომ ცეცხლით ამომწვარი და საუკუნოდ დაკარგული მტკაველი მიწა, შხამქიმიკატებით მოწამლული ერთი გოჯი მიწა, ეროზიისაგან ჰუმუსდაკარგული მისხალი მიწა, საშენ მასალად აღებული, მერე კი ქვესკნელად ქცეული მიწა, უკანონოდ მოჭრილი ათიოდე საღი სამასალე ხე, გაკაფული ბუჩქნარი, გაფერანებული მინდორი, მოკლული ირემი, ნაგვისაგან მიხრწნილი მიწის ნაკვეთი, ერთი შეხედვით, თითქოს არაფერია, არ იქცევა ქვეყანა, არ ილუპება ბუნება, უმოწყალო ნაკაწრია, მიკროსკოპიული წყლულია ბუნების გოლიათ სხეულზე, სხვა რომ არაფერი, ბოლოს და ბოლოს ყველაფერი და მათ შორის ბუნებაც ადამიანს უნდა ემსახუროს, ადამიანისათვის არსებობს. მწვადი თუ არ შეწვი ტყეში, ხოხობი თუ არ მოკალი, ხე თუ არ მოჭერი, რაღად გინდა ბუნება. დღეს ასეთი მსჯელობა არ გამოგვადგება. საქართველოს ბუნებაში ბევრმა მავნე მოვლენამ მოიკიდა ფეხი, საქმე შორს წავიდა, მოსალოდნელი ზიანი კარგს არაფერს გვიქადის და ამიტომ ზოგჯერ სიამოვნებაც, პირადი სიამოვნებაც, თუკი ამას ბუნების ინტერესები მოითხოვს, უნდა დავთმოთ, უნდა შეველიოთ მათ.

საქართველოში ალბათ ყველა დათმობდა რიწის ტბაზე ძრავიანი ნავით სეირნობით მინიჭებულ სიამოვნებას იმისათვის, რათა ამ ღვთაებრივად ლამაზი ტბისწყალი წმინდა იყოს.

რა თქმა უნდა, ჩვენს დროში ტექნიკური პროგრესის წინააღმდეგ გალაშქრება, მეტი რომ არ ვთქვათ, გულუბრყვილობა, წინდაუხედაობა და უმეცრებაა. საშიში ტექნიკური პროგრესი კი არ არის, არამედ მისი უმართებულოდ გამოყენებაა.

ჩვენი თაობის ადამიანი ისე შეეჩვია ტექნიკის და მეცნიერების სასწაულებს (კოსმოსში, მთვარეზე გაფრენა, ბირთვული იარაღის გამოგონება და სხვა) რომ ეს უკვე აღარ აღელვებს, არ აკვირვებს.

დღეს ადამიანებს უფრო მეტად აღელვებთ და აწუხებთ ის ცვლილებები, რომლებიც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგად ხდება დედამიწაზე, მის ცალკეულ საცხოვრებელ პუნქტებში, ბუნებაში.

საკმარისია რამდენიმე წელიწადს მოშორდე ნაცნობ ადგილებს, რომ დაბრუნებისთანავე გაოცდე, ველარ იცნო იქაურობა. „სადა ვარ, რა ხდება?“ — უთუოდ იკითხავთ, ცვლილება, რომელსაც წააწყდებით, უფრო ხშირად სინანულს, გულისტკივილს, გულისწყრომას იწვევს.

ვინ შეიძლება იყოს ქარხნების და ფაბრიკების, სკოლების და საავადმყოფოების, სანატორიუმების და პიონერთა ბანაკების მშენებლობის წინააღმდეგი. ყველაფერი ეს ხალხისათვის კეთდება. მაგრამ ბუნება? ბუნებაც ხომ ხალხისათვის არის და ის დალოცვილი თუ გამოგვეცალა ხელიდან, ჩირად ელირება ზოგიერთი დღეს ძვირადღირებული ფასეულობანი. ვის რად უნდა ბუნება, რომელიც დაკარგავს თავის მთავარ ღირსებებს, ბარაქას, სილამაზეს, ჰარმონიას, თავისთავადობას.

მაგალითისათვის ავიღოთ ჩვენი ნაკრძალები. ნაკრძალი ჩვენ შეგნებაში უნებლიეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკავშირდება ისეთ ცნებებს, როგორიც არის „მიუდგომელი", „ხელშეუხები", „ძვირფასი", „საოცნებო", „ულამაზესი", „საიმედოდ დაცული ადგილები". მე-19 საუკუნეში აღმოცენებულნი ნაკრძალები ნამდვილ ციხე-კოშკებად, ბუნების უძლეველ ბასტიონებად იქცნენ მოძალებული, ყოვლისშემძლე ტექნიკური ცივილიზაციის უსწრაფესი განვითარების გზაზე. მიუხედავად ამისა, კანონი ნაკრძალთა შესახებ ხშირად ირღვევა. დიახ, ჩვენი თაობა შეეჩვია ტექნიკურ პროგრესს, მის სასწაულებს, მაგრამ როგორ უნდა შევეჩვიოთ მის ჩრდილოვან მხარეებს, მის მახინჯ პირმშოს, ანდა საჭიროა კი შევეჩვიოთ მას?

მაგალითად, როდესაც ტექნიკური პროგრესი, მოსახლეობის ზრდა, მისი მატერიალური კეთილდღეობის ზრდა, მშრომელთა დასვენების ორგანიზაცია სტიქიურად მიმდინარეობს ეს ძალზე საშიშია, ეს არის საშინელება, რომელიც ხშირად საბედისწერო დაღს ასვამს ბუნებას. სხვა საქმეა, როცა ობიექტებს, კომპლექსებს ვგეგმავთ პერსპექტივაში, სპეციალისტთა, მეცნიერთა მიერ წინასწარი შესწავლის შემდეგ, მაგრამ ასე ხომ არ ხდება ყოველთვის.

ავიღოთ საპროექტო ორგანიზაციები. დასამალი როდია, რომ მრავალი წლის მანძილზე ისე ვაპროექტებდით, რომ ვივიწყებდით ბუნების დაცვას, ბუნების ავ-კარგს, მის ბედ-იღბალს. ჩვენ ნიჭიერ დამპროექტებელთა მთელი არმია გვყავს, ათობით საპროექტო დანესებულება გვაქვს. აქ იბადება ობიექტი, აქ იღებს დასაბამს სიახლე, ეკონომიკური წარმატება, მაგრამ დამპროექტებლებს ხშირად მხოლოდ საინჟინრო-ტექნოლოგიური გადაწყვეტა ახსოვთ, ხოლო თუ რა ელის ბუნებას, რა ეკოლოგიური ცვლილებებია მოსალოდნელი, ეს ნაკლებად აწუხებთ.

ტყესთან, ფლორასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ცხოველთა სამყარო, რომელიც გარკვეულ ბიოცენოზს ეგუება და ორგანულად არის მისგან დამოკიდებული.

დაკვირვება ცხადყოფს, რომ ცხოველთა სამყარო კლებულობს როგორც რაოდენობრივ ისე თვისებრივი მაჩვენებლების მიხედვით.

საქმეს ცოტა არ იყოს შველის საქართველოში შექმნილი 19 ნაკრძალი. აქ გარკვეული მუშაობა წარმოებს ფლორისა და ფაუნის შესწავლის მიზნით, ხორციელდება ღონისძიებები ცხოველთა სამყაროს და ფრინველთა გამრავლებისათვის. სამწუხაროდ, ნაკრძალებშიც ხდება სანაკრძალო რეჟიმის უხეში დარღვევა და ბრაკონიერობის არაერთი შემთხვევა, პირადი სარგებლობის მეურნეობის შექმნა, ხვნა-თესვა, სხვა მსგავსი უწესრიგობა.

სამონადირეო ცხოველთა შემცირება გამოწვეულია არა მარტო არარაციონალური და უსისტემო ნადირობით, არამედ უფრო მეტად ცხოველთა საბინაო ადგილების დარღვევით, ამ ტერიტორიების სასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის გამოყენებით.

ერთ დროს „ცული და ტყე" სრულიად შეუთავსებელი ცნებები გახლდათ. მაგრამ მეცნიერებმა, სპეციალისტებმა დაარწმუნეს საზოგადოებრიობა, რომ მეცნიერულად დასაბუთებული, აუცილებელი ჭრის გარეშე კარგ ტყეს ვერ მივიღებთ. დადუმდნენ, თვით ზედმიწევნით ორთოქსალური ტყისმოყვარულები, რომლებიც ტყეში ცულიანი კაცის შესვლას ბარბაროსობად თვლიდნენ. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვაკრიტიკებთ არა ტყის ჭრას საერთოდ, არამედ უპატრონო, უსისტემო, დამანგრეველ და დამღუპველ ჭრას, რაც შემდეგ ტოვებს უდაბნო ტყეკაფებს.

მაგრამ, თუ ცულიანი კაცი მაინც დაუშვეს ტყეში, თოფიანი კაცი დღესაც ოდიოზური ფიგურაა. ბევრი დღესაც პარადოქსალურად მიიჩნევს გამოთქმას „კულტურული ნადირობა", რა ხდება? ძნელია მათთვის შეუთავსონ გასროლა, სისხლი, ცოცხალ არსებათა ჟლეტა და ბუნების სიყვარული და ერთგულება.

მეფე გიორგი XIII-ს უთქვამს, „დევნა მხეცთა და პირუტყვთა შეაჩვევს ადამიანების მტრობას და მესისხლეობას, განაბოროტებს გულსაო".

დღესაც ადამიანთა უმრავლესობა ნადირობას მიიჩნევს ნადირ-ფრინველის გაღარიბება-განადგურების მიზეზად, ზოგიერთი სახეობის ცხოველთა მოსპობის მიზეზად. „თოფიანი კაცი" ცოცხალი ბუნების მტერია, ეგოისტური ინტერესების, პირადი სიამოვნების, მდაბალ სურვილთა განხორციელების გამო იგი სპობს სიცოცხლეს, შესაძლებლობას უკარგავს საზოგადოებას დატკბეს ცოცხალი ბუნების სილამაზით და მშვენიერებით. სამწუხაროდ, ეს მცდარი აზრი გაბატონებულია.

ისტორიიდან ცნობილია ბევრი მაგალითი იმისა, რომ თუ არა ადამიანის ჩარევა, თუ არა რაციონალური ნადირობა, პერიოდული, გონივრული გამოხშირვა, ბუნებას მეტად

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ზიანი დაადგებოდა. მართალი, პატიოსანი, ბუნების ერთგული და მოყვარული მონადირე ცოცხალი ბუნების მტერი კი არა, მისი უპირველესი დამცველი და მეგობარია.

სამწუხაროდ, მონადირეთა შორის ნახავთ მოცლილს, უსაქმურს, უგნურ და გულბოროტ ადამიანებსაც. ზოგი მათგანი მონადირეთა კავშირის წევრიც კი არის. ჩვენდა საბედნიეროდ, ფაუნას წყალობენ, პატრონობენ, იცავენ საქართველოს ბუნების ქომაგები. ერთი მათგანი ომელი მამალაძეა. თერთმეტი საბრძოლო ორდენისა და მედლის კავალერი ამჟამად ჩოხატაურის რაიონის მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოების უფროსი ეგერია. საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე წლებში იგი მტაცებლებზე ნადირობს და ბეწვეულს ამზადებს. წლების მანძილზე ანადგურებდა მგლებს, რომლებიც დიდ ზიანს აყენებდნენ სოფელს. იგი ბრაკონიერთა დაუძინებელი მტერია, ეგერად მუშაობის 9 წლის მანძილზე გამოავლინა 500-ზე მეტი ბრაკონიერი და ამავე დროს გამოზარდა ბუნების ერთგულ მონადირეთა მთელი თაობა.

მალე საქართველოში გამოვა „წითელი წიგნი". მისი გამოცემის ინიციატორი და სულისჩამდგმელია აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი. წიგნის მოსამზადებლად დიდი შრომა გასწიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკისა და ზოოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების მეცნიერმა მუშაკებმა.

„წითელი წიგნის" გამოცემა მნიშვნელოვანი მოვლენაა. მას მოელიან მეცნიერები, სპეციალისტები, მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობა, მაგრამ ეს წიგნი ჩვენში ბუნების გამარჯვებას როდი მოასწავებს. ეს არის წიგნი-გაფრთხილება, მოწოდება, პროტესტი, ბუნების საშველად გაწვდილი ხელი.

სწავლას, აღზრდას, განათლებას ბუნების დაცვის დარგში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. როდესაც „იუნესკოს" სამთავრობათაშორისო კონფერენცია გავმართეთ თბილისში, დავრწმუნდით, რომ ყველა სხვა ნებისმიერ ბუნებისდაცვითს ღონისძიებაზე უფრო საჭირო, უფრო აუცილებელი, უფრო გადამწყვეტია ბუნებისდაცვითი სწავლა-აღზრდა და განათლება. ერთია მხოლოდ, რომ შედეგებს მოვიმკით არა ხვალ და ზეგ, არამედ შესაძლოა ძალიან დიდი ხნის შემდეგ. ამას კი დრო და მოთმინება სჭირდება. დღესაც ბევრ ჩვენგანს, ჯარიმის ქვითრების გამოწერა საქმედ მიაჩნია, ხოლო ბუნებისდაცვითს სწავლა-აღზრდაზე დახარჯული დრო — დაკარგულად.

ბუნებას, სიცოცხლის წყაროს, სიკვდილი არ უწერია, მაგრამ დღეს ველარც უკვდავებას ამოიკითხავთ მის მშვენიერ გულმკერდზე. მისდა კაცობრიობა, რომ ბუნება უძირო ჭა არ არის, უკიდეგანო და უსასრულო არ არის, რომ შეიძლება, თურმე, დათრგუნო, მოდრიკო, დააკნინო ეს ათასი ხმისა და ფერის მქონე გოლიათი და ამით სიცოცხლე მოუსწრაფო მას.

აქ არაფერია გადაჭარბებული, მოვლას და შველას ითხოვს ჰაერი, ზღვა, ხმელეთი.

ბუნებას, მის განუმეორებელ სილამაზეს ყოველთვის თავს ევლებოდნენ მწერლები, ხელოვნების მუშაკები, რადგან ბუნება იყო მათი შთაგონების უშრეტი წყარო. არაერთხელ უთქვამთ, რომ ბუნებას აქვს თავისი სული, თავისუფლება, სამართალი, სიყვარული, თავისი ენა მარადიული და გაუხუნარი.

ქართველ მწერლებთან ჩვენი ერთობლივი მუშაობის სულ მცირე შედეგი პირველი წიგნია: „ბუნება ქართულ პოეზიაში".

1980 წელს გამომცემლობა „ხელოვნებასთან" ერთად, ვფიქრობთ, გამოვცეთ ალბომი „საქართველოს ბუნება ქართველ მხატვართა შემოქმედებაში".

გამოვიდა ბუნებისდაცვითი შინაარსის მქონე შესანიშნავი მხატვრული ფილმები „ესკულაპის მონაფე" და „ლუკა ჩოხელი". კმაყოფილი ვართ ქრონიკულ-დოკუმენტური სტუდიისა, რომელმაც ჩვენი შეკვეთით მოკლე დროში ხუთი მეტად საინტერესო ფილმი შექმნა ბუნების დაცვის საკითხებზე.

ჟურნალი „საქართველოს ბუნება", მისი პატარა კოლექტივი უკანასკნელ დროს განსაკუთრებული ძალით შეეხმიანა ბუნებას, გულუხვად დაუთმო ადგილი თავის ისედაც მცირე საარსებო სივრცეში. ჩვენ გვწამს, რომ ეს ჟურნალი გახდება ბუნების ჭეშმარიტი ქომაგი, მოიპოვებს უფრო მეტ ნდობას და პატივისცემას.

ჩვენი პრესის მედროშე, ჩვენი სიამაყე გაზეთი „პრავდა" თითქმის ყოველ ნომერში ეხმაურება ბუნების დაცვის თემას. ვკითხულობთ პრავდისეული სიღრმით, კონკრეტულობით, კრიტიკული შემართებით დაწერილ ბუნების ავ-კარგის ამსახველ მრავალფეროვან სტატიებს, ნარკვევებს, კრიტიკულ წერილებს, ინფორმაციებს. თავი გავანებოთ ამ პრობლემურ ბუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებისდაცვითს საკითხებს, რომლებსაც მრავლად აყენებს გაზეთი. ვიღაცამ საუკუნოვან ხეს დაჰკრა ცული და წააქცია, შორს ქვეყნის ჩრდილოეთში დათვებს აღრიცხავს მონადირეთა კავშირი, ლიტვაში მოსავლის აღების დროს ბარტყი და მისი მრავალი თანამოძმე მოჰყვა კომბაინის ქვეშ — ასეთი და ვინ იცის კიდევ რამდენი მსგავსი ამბავი იბეჭდება გაზეთში, ხოლო რაკი „პრავდა“ ბეჭდავს, რაკი „პრავდა“ ნახულობს ადგილს ასეთი მასალისათვის, ჩვენმა რესპუბლიკურმა პრესამ მით უმეტეს უნდა მიაქციოს ამ საკითხებს გაცილებით მეტი ყურადღება, ვიდრე დღეს აქცევს.

1978 წლის ოქტომბერში თბილისში საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით გაიმართა რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია გარემოს კომპლექსურ პრობლემებსა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებაზე.

კონფერენცია, რომელიც რესპუბლიკისათვის მნიშვნელოვანი და არაჩვეულებრივი მოვლენა იყო, შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ. მოხსენება გააკეთა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. ა. პატარიძემ.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ ისეთი დიდი მეცნიერები, სპეციალისტები, სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოღვაწეები, როგორიც არიან სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ა. ვ. სიდორენკო, სსრ კავშირის ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემო ბუნებისადმი კონტროლის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ი. ა. იზრაელი. ზოგადი გენეტიკის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი ნ. პ. დუბინინი, აკადემიკოსი ბ. ი. ლასკორინი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ე. ჩერქეზია, პროფესორი ვ. პ. ზენკოვიჩი, სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის განყოფილების უფროსი ვ. გ. სოკოლოვსკი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები ვ. ზ. გულისაშვილი, ლ. კ. გაბუნია და ბევრი სხვა.

კონფერენციამ მიიღო რეკომენდაციები, რომლებიც განიხილა და დაამტკიცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმმა.

კონფერენციის მასალები, რომლებიც დიდად საინტერესოა ბუნებისდაცვითი მეცნიერებისა და პრაქტიკისათვის, ცალკე კრებულად გამოიცემა.

რესპუბლიკაში წლითიწლობით იზრდება ბუნების დაცვის სამსახური, ძალ-ღონეს იკრებს, გამოცდილებას იძენს, ახალი შინაარსით ივსება. ბუნების დაცვის ზონალურმა ინსპექციებმა ხუთი წლის მანძილზე, დღიდან მათი შექმნისა, დადგენა-დაფუძნების, გაცნობა-აღიარების ძნელი, სრულიად უცნობი გზა განვლეს. ახლაც იქმნება მათი ტრადიცია, იძერწება სახე, ყალიბდება ხელწერა. იქმნება ახალი ტიპი მუშაკისა, თავდაბალი, ერთი შეხედვით, უწყინარი, შეუმჩნეველი და უპრეტენზიო, რომელიც ბუნების დაცვის პრინციპული, შეურიგებელი მებრძოლია.

ჩვენს კომიტეტს დიდი პასუხსაგები ამოცანების გადაწყვეტა ელის. ახლა მისი დრო დადგა, მისი ჯერია აჩვენოს მშობლიურ პარტიას, ხალხს, თუ რისი გაკეთება ძალუძს. იგი მომავლის კომიტეტია და თუ გადახედავთ მის დღევანდელ საქმეებს, ნათლად ამოვიკითხავთ და დავინახავთ ჩვენი წარმტაცი ბუნების ხვალინდელ დღეს, მის ნათელ დილას, მწვანეში გახვეულ ველ-მინდვრებს, ანკარა წყლებსა და ბროლივით გამჭვირვალე ჰაერს.

წინ ძნელი გზა გვიდევს, მაგრამ ვიდრე უჭირს ბუნებას, ვიდრე არსებობს ბუნების დაცვის სახელმწიფო სამსახური, სიძნელეთა დაძლევა, უწყებრიობასთან, მხოლოდ დღევანდელ დღეზე ფიქრით შეპყრობილ ადამიანთა უგუნურობასთან ბრძოლა ჩვენი მუდმივი ხვედრი და თანამგზავრია.

ამბობენ მებაღე სიცოცხლეს მის მიერ დარგულ ხეებში განაგრძობს, მხატვარი — მის მიერ შექმნილ ტილოებში, მწერალი — მის მიერ შექმნილ ნაწარმოებებში, მასწავლებელი — მის მიერ აღზრდილ მოსწავლეებში. ალბათ ჩვენი დარგის თავდადებული მუშაკებიც დღეგრძელნი არიან, ისინიც განაგრძობენ სიცოცხლეს და უკვდავყოფენ თავის სახელს მომავალ თაობათა მადლიერებით სავსე გულებში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი

გ. ერემოვი,

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქ. სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე

სკკპ XXV ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა: „..საკითხი, რომელსაც შეუნელებულ ყურადღებას ვაქცევდით, ეს არის ჩვენი კანონმდებლობის სრულყოფის, სოციალისტური მართლწესრიგის განმტკიცების საკითხი“[1].

ცნობილია, რომ სსრ კავშირის 1977 წლის კონსტიტუციის მე-9 მუხლი მოითხოვს ჩვენს ქვეყანაში „სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლის განმტკიცებას“.

ამ პრინციპული დებულების შესაბამისად ბევრი რამ კეთდება, რათა სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოთა ფუნქციები საკანონმდებლო წესით დადგინდეს. ამის თვალსაჩინო მაგალითია კანონი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესახებ, კანონი სსრ კავშირის მოქალაქეობის შესახებ, კანონები სახალხო დეპუტატთა სასოფლო და სადაბო, სარაიონო, საქალაქო და ქალაქის რაიონული საბჭოების შესახებ და ა. შ. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი აქტი, რომელიც სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველმა სესიამ მიიღო 1979 წლის 19 აპრილს, არის „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მიღება გათვალისწინებულია სსრ კავშირის 1977 წლის კონსტიტუციის 127-ე მუხლით, რომლის ეხედვითაც „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და მისი ორგანოების საქმიანობის წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი და სსრ კავშირის სხვა კანონები, რომლებიც სსრ კავშირის კონსტიტუციის საფუძველზე გამოიცემა“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი მთელი ჩვენი სახელმწიფოს ისტორიის მანძილზე პირველად არის მიღებული. მას უდიდესი მნიშვნელობა ქვს საბჭოთა პარლამენტის მუშაობის სწორი ორგანიზაციისათვის, სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარებისათვის.

სსრ კავშირის კონსტიტუციის შემდეგ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი ყველაზე დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომელიც განსაზღვრავს უმაღლესი საბჭოს საქმიანობას. როგორც სსრ კავშირის კონსტიტუციაშია ათქვამი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის გარდა უმაღლესი საბჭოს მუშაობის ორგანიზაციას აწესრიგებენ აგრეთვე „სსრ კავშირის სხვა კანონებიც, რომლებიც სსრ კავშირის კონსტიტუციის საფუძველზე გამოიცემა“ (მუხ. 127).

---

1 „სკკპ XXV ყრილობის მასალები“, 1976, გვ. 111.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთოდ, რეგლამენტი —ეს არის სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა, რომელიც დეტალურად აწესრიგებს სახელმწიფოს რომელიმე ორგანოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის მუშაობას, ამ შემთხვევაში უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს საქმიანობის პირობებს და წესებს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიების მოწვევის, მისი გახსნისა და მიმდინარეობის, სიტყვით გამოსვლის და ხანგრძლივობის, აქტების მიღების წესებს, იმ ორგანოთა შექმნის წესს, რომლითაც ირჩევს ან ქმნის უმაღლესი საბჭო და ა. შ.

აქამდე სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ახალი მოწვევის უმაღლესი საბჭოები პირველსავე სესიაზე ღებულობდნენ მოკლე რეგლამენტს, რაც მოცემული მოწვევის უმაღლესი საბჭოს ყველა სესიისათვის იყო გათვალისწინებული. ამ მხრივ იყო ერთადერთი გამონაკლისი; კერძოდ, 1959 წლის 16 მარტს ლატვიის სსრ უმაღლესმა საბჭომ მიიღო ლატვიის სსრ უმაღლესი საბჭოს ვრცელი რეგლამენტი[2].

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის შემუშავება გააადვილა სსრ კავშირის განვლილმა ცხრა მოწვევის უმაღლესი საბჭოს მუშაობის, აგრეთვე უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, მისი მუდმივი კომისიების მუშაობის წინა ათწლეულების დიდმა გამოცდილებამ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი შედგება 12 თავისა და 70 მუხლისაგან.

რა ძირითად საკითხებს წყვეტს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი?

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი პირველყოვლისა აზუსტებს უმაღლესი საბჭოს ორგანიზაციული მუშაობის ფორმებს. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი თავის მოხსენებაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტის შესახებ სესიაზე აღნიშნავდა: „ჩვენი პარტია საბჭოების სისტემის განვითარების ყველა ეტაპზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და ანიჭებს მათი მუშაობის ორგანიზაციული ფორმების, სტილის, მეთოდებისა და წესის სრულყოფას. ამ მიმართულებით დიდმნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის დამტკიცება“[3].

რეგლამენტის პირველი თავი შედგება ზოგადი დებულებებისაგან. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო დახასიათებულია როგორც ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, „...რომელიც უფლებამოსილია გადაწყვიტოს ყველა საკითხი, რომლებიც სსრ კავშირის კონსტიტუციით სსრ კავშირის გამგებლობას განეკუთვნება“ (მუხ. 1). აქვე განსაზღვრულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სტრუქტურა, მისი ორპალატიანი სისტემა, უმაღლესი საბჭოს დეპუტატის საქმიანობა და მისი უფლებამოსილების იურიდიული საფუძვლები.

რეგლამენტის მეორე თავის 4-16 მუხლები აწესრიგებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ორგანიზაციული მუშაობის ძირითად ფორმას — სესიების საქმიანობას. რეგლამენტით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი წელიწადში ორჯერ იწვევს. რიგგარეშე სესიებსაც იწვევს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი საკუთა-

---

[2] См. «Ведомости Верховного Совета и Правительства Латвийской ССР», 1959 г., № 12.

[3] გაზ. „კომუნისტი“, 1979 წლის 20 აპრილი, გვ. 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი ინიციატივით, მოკავშირე რესპუბლიკის მოთხოვნით ან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთი პალატის წევრთა სულ ცოტა მესამედის მოთხოვნით.

სესიების მოწვევის თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება ქვეყნდება არაუგვიანეს 30 დღისა მის გახსნამდე. სესია იხსნება და იხურება პალატების ცალ-ცალკე ან გაერთიანებულ სხდომებზე. რაც შეეხება ახალი მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიას, იგი იხსნება აუცილებლად პალატების ცალ-ცალკე სხდომებზე.

ახალი მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიას იწვევს წინა მოწვევის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი არჩევნებიდან არაუგვიანეს ორი თვისა. სესიის გახსნამდე თითოეული პალატა იწვევს უხუცესთა საბჭოს, მისი არჩევისა და მუშაობის მიზანია სესიის დღის წესრიგის, მისი მუშაობის წესის და, საერთოდ, უმაღლესი საბჭოს სესიის ორგანიზაციასთან დაკავშირებული სხვა საკითხების წინასწარი განხილვა.

სსრ კავშირის ახალი მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე პირველ სხდომას თითოეულ პალატაში უხუცესთა საბჭოს დავალებით ჩსნის ერთ-ერთი უხუცესი დეპუტატთაგანი, რომელიც უძღვება სესიას პალატის თავმჯდომარის არჩევამდე. თითოეული პალატა ირჩევს 1 თავმჯდომარესა და მის 4 მოადგილეს, რომელთა ფუნქციებსაც ითვალისწინებს რეგლამენტის მე-9 მუხლი.

რეგლამენტით ორივე პალატის უხუცესთა საბჭოს შემადგენლობაში დაახლოებით თანასწორი ოდენობის დეპუტატებს ირჩევენ.

კავშირის საბჭოს უხუცესთა საბჭოს შემადგენლობას ირჩევენ დეპუტატთა ჯგუფების წარმომადგენელთაგან — 10 დეპუტატი ირჩევს 1 წარმომადგენელს, 10-ზე მეტ დეპუტატთაგან 2 წარმომადგენელს და 20-ზე მეტ დეპუტატთაგან 3 წარმომადგენელს.

ეროვნებათა საბჭოს უხუცესთა საბჭოში იგზავნებიან წარმომადგენელნი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ერთეულების მიხედვით — თითოეული მოკავშირე რესპუბლიკისაგან 6 წარმომადგენელი, ავტონომიური რესპუბლიკისაგან 2 წარმომადგენელი, ავტონომიური ოლქებისაგან თითო წარმომადგენელი, ასევე ავტონომიურ ოკრუგებში არჩეული დეპუტატები.

უხუცესთა საბჭოების პირველ სხდომებს აწყობს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, ხოლო მომდევნო სხდომებს — პალატების თავმჯდომარეები.

დღემდე ბევრი რამ, რაც ახალი მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის და უხუცესთა საბჭოს საქმიანობასთან იყო დაკავშირებული, მოქმედებდა კონსტიტუციური ადათის სახით. ამჟამად რეგლამენტით ყველა დეტალია დადგენილი.

უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით კიდევ უფრო განმტკიცებულია სოციალისტური დემოკრატიზმის პრინციპები. პალატების ცალ-ცალკე და გაერთიანებული სხდომები შეიძლება მოეწყოს, თუ მათ ესწრება შესაბამისი პალატების დეპუტატთა საერთო რიცხვის უმრავლესობა. დეპუტატთა რაოდენობის დაზუსტება სესიის წინ წარმოებს დეპუტატთა რეგისტრაციით. დეპუტატები შესაბამის პალატის სხდომაზე სარგებლობენ გადამწყვეტი ხმის უფლებით. იგივე დეპუტატებს მეორე პალატის სხდომაზე მხოლოდ სათათბირო ხმის უფლება აქვთ. პალატების სხდომებზე იწვევენ სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების, პრესის, ტელევიზიის, რადიოს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა წარმომადგენლებს, რომლებსაც სესიაზე აგრეთვე სათათბირო ხმის უფლება აქვთ.

ახალი მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე აუცილებლად ირჩევენ სამანდატო კომისიას. დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ ცხადდება შესვენება. მუშაობის განახლებისას თითოეული პალატა ისმენს სამანდატო კომისიის თავმჯდომარეთა მოხსენებას. სამანდატო კომისია ამოწმებს დეპუტატის რწმუნებას. როგორც რეგლამენტის მე-9 მუხლშია მითითებული, პალატები „...სამანდატო კომისიების წარდგენით იღებენ გადაწყვეტილებას დეპუტატთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ, ხოლო არჩევნების კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში — ცალკეულ დეპუტატთა არჩევის ბათილად ცნობის შესახებ“.

პალატის სხდომები ღიაა. პალატების გადაწყვეტილებით შეიძლება კაიმართოს დახურული სხდომა.

რეგლამენტის მე-12 და მე-14 მუხლებით განსაზღვრულია დღის განმავლობაში პალატების სხდომათა რაოდენობა და კამათში გამოსვლისათვის საჭირო დრო.

რეგლამენტის მესამე თავში „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი“ ლაპარაკია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის არჩევის წესსა და შემადგენლობაზე, უფლებებსა და სათანადო აქტების მიღების წესზე. მე-20 მუხლით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი გადაწყვეტილებას იღებს პრეზიდიუმის საერთო შემადგენლობის უმრავლესობით. რეგლამენტით პირველად არის დადგენილი, რომ განსახილველ საკითხებზე წინადადებების მოსამზადებლად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი საჭიროების შემთხვევაში ქმნის მუდმივ და დროებით კომისიებს (მუხ. 21). კომისიების შემადგენლობაში შედიან როგორც უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, ისე არადეპუტატებიც (სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების, სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენელნი).

მომდევნო მუხლები ითვალისწინებს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის უფლებებსა და მოვალეობებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიების მომზადებასა და ჩატარებასთან, უმაღლესი საბჭოს პალატების მუდმივი კომისიების მუშაობის კოორდინაციასთან და უმაღლესი საბჭოს დეპუტატების მიერ თავიანთ უფლებამოსილების ეფექტიან განხორციელებასთან დაკავშირებით.

რეგლამენტში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია უმაღლესი საბჭოს პალატების მუდმივ კომისიებს (თავი IV). მათ გარდა უმაღლეს საბჭოს შეუძლია შექმნას ერთობლივი კომისიები პარიტეტულ საწყისებზე, აგრეთვე საგამოძიებო, სარევიზიო და სხვა დროებითი კომისიები. მუდმივ კომისიებს აქვთ თავიანთი დებულება. დროებითი კომისიების სამოქმედო წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო მათი შექმნისას.

მუდმივი კომისიების თავმჯდომარეებისა და წევრების შემადგენლობას პალატების მიხედვით ირჩევენ ახალი მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე. თვით კომისიები პირველ სხდომებზე ირჩევენ თავმჯდომარის მოადგილეს და მდივანს. კომისიების წევრთა საერთო რაოდენობას განსაზღვრავენ პალატები. უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ვადის განმავლობაში პალატებს შეუძლიათ შექმნან ახალი მუდმივი კომისიები და ცვლილებები შეიტანონ არსებული მუდმივი კომისიების შემადგენლობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგლამენტის 27-ე მუხლის მიხედვით, მუდმივი კომისიების შემადგენლობაში არ შეიძლება აირჩიონ პალატების თავმჯდომარეები, მათი მოადგილეები, აგრეთვე დეპუტატები, რომლებიც შედიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობაში, სსრ კავშირის გენერალური პროკურორი.

პალატების თავმჯდომარეები დახმარებას უწევენ მუდმივ კომისიებს მუშაობის ორგანიზაციაში. თავის მხრივ, მუდმივი კომისიები პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებული არიან შესაბამისი პალატის წინაშე.

პალატების მუდმივი კომისიები ცალკეული ორგანოებისადმი კონტროლის განხორციელებისას „...შეიმუშავებენ წინადადებებს და იღებენ რეკომენდაციებს, რომლებიც აუცილებლად უნდა განიხილონ შესაბამისმა სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანოებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა" (მუხ. 65).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში სამი (31-33) მუხლი აქვს დათმობილი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს — სსრ კავშირის მთავრობას (თავი V). მისი შექმნის წესს. რეგლამენტის 31-ე მუხლით სსრ კავშირის მთავრობას ქმნის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე.

სსრ კავშირის ახალი მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე, მას შემდეგ, რაც დამტკიცდება სესიის დღის წესრიგი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო იხსნის თავის უფლებამოსილებას უმაღლესი საბჭოს წინაშე. ამის თაობაზე განცხადებას წერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე პალატების გაერთიანებული სხდომის თავმჯდომარის სახელზე. უმაღლესი საბჭო ამ განცხადების განხილვის შემდეგ ნიშნავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, რომელსაც ავალებს, წარუდგინოს უმაღლეს საბჭოს თავისი წინადადებანი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პერსონალური შემადგენლობის შესახებ. უმაღლესი საბჭო, სანამ მიიღებდეს დადგენილებას ახალი შემადგენლობის მინისტრთა საბჭოს შექმნის შესახებ, წყვეტს საკითხს, რომ ძველი შემადგენლობის მინისტრთა საბჭომ განაგრძოს თავისი მოვალეობათა შესრულება. მთავრობის ახალი შემადგენლობის შექმნამდე.

სესიათა შორის მთავრობის შემადგენლობაში ცვლილებათა შეტანა შეუძლია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, რისთვისაც იგი გამოსცემს ბრძანებულებებს, რომლებიც აუცილებლად იქნება შეტანილი უმაღლეს საბჭოს მორიგ სესიაზე დასამტკიცებლად.

რეგლამენტი განსაზღვრავს, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო ქმნის სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტს, ირჩევს სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს და ნიშნავს სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს. მათ შესახებ სსრ კავშირის ახალი მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია ორივე პალატის გაერთიანებულ სხდომაზე ღებულობს დადგენილებებს.

სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტი იქმნება კომიტეტის თავმჯდომარის, თავმჯდომარის პირველი მოადგილის, თავმჯდომარის მოადგილეებისა და წევრების შემადგენლობით.

სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს კი ირჩევენ უმაღლესი სასამართ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილეების, წევრებისა და სახალხო მსაჯულთა შემადგენლობით.

ამ ორგანოთა შემადგენლობაში კანდიდატურებზე ეწყობა კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს დეპუტატთა საერთო კენჭისყრა თითოეულ კანდიდატუარზე, ან ერთდროულად ყველა კანდიდატურაზე, ან სხვა წესით, როგორც ამას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო გადაწყვეტს.

სსრ კავშირის გენერალური პროკურორის დანიშვნისათვის ეწყობა კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს დეპუტატთა კენჭისყრა.

სსრ კავშირის კონსტიტუციით, სახალხო კონტროლის ორგანოთა (მუხ. 126), უმაღლესი სასამართლოს (მუხ. 153) და პროკურატურის ორგანოთა (მუხ. 163) „საქმიანობის ორგანიზაციასა და წესს განსაზღვრავს კანონი". სსრ კავშირის კონსტიტუციაში იგივეა ნათქვამი სახელმწიფო არბიტრაჟის შესახებაც (მუხ. 163).

რეგლამენტის მეშვიდე თავი აწესრიგებს სსრ კავშირის კანონთა პროექტებისა და სხვა საკითხების განხილვის (მუხ. 38-50) წესს.

სსრ კავშირის ახალმა კონსტიტუციამ და მის შესაბამისად „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტმა" კიდევ უფრო გააფართოვა სოციალისტური დემოკრატიზმი კანონებისა და სხვა აქტების პროექტების განხილვა-დამტკიცების პროცესში.

აქტების პროექტები, რომლებიც სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს განსახილველად არის შეტანილი, უნდა წარადგინონ იმ ორგანოებმა, ორგანიზაციებმა და პირებმა, რომელთაც აქვთ საკანონმდებლო ინიციატივის უფლება. ასეთ ორგანოთა, ორგანიზაციათა თუ პირთა საკანონმდებლო ინიციატივის უფლებას განსაზღვრავს სსრ კავშირის მოქმედი კონსტიტუციის 113-ე მუხლი.

პროექტის ტექსტის უკეთესად განხილვის უზრუნველსაყოფად უმაღლესი საბჭოს ცალკეულ პალატებს ან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს შეუძლიათ იგი გადასცენ პალატების ერთ ან რამდენიმე მუდმივ კომისიას; ეს უკანასკნელნი თავიანთ დასკვნებს გადასცემენ უმაღლესი საბჭოს პალატებს ან უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს ან მის პრეზიდიუმს საჭიროებისამებრ შეუძლიათ მოსთხოვონ დასკვნები კანონის ან სხვა აქტების პროექტის თაობაზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ან სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამის სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებსა და ორგანიზაციებს. დასასრულ, მათ შეუძლიათ თავიანთი ინიციატივით ან მოკავშირე რესპუბლიკების წინადადებით კანონთა პროექტები და სახელმწიფო ცხოვრების სხვა ყველაზე დიდმნიშვნელოვანი საკითხები გამოიტანონ საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის, რომლის შედეგებსაც მოახსენებენ სესიას.

კანონპროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის წესი ხალხის მასების ნების გამოვლენის საუკეთესო ფორმაა. ამის თვალსაჩინო მაგალითია უახლოეს წარსულში სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური სს რესპუბლიკების კონსტიტუციათა პროექტების განხილვა და მისი შედეგების შეჯამება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში გათვალისწინებულია საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე ორგანოს ან ორგანიზაციის ვალდებულება, რომ განსაზღვროს მომხსენებელი უმაღლეს საბჭოში წარმოდგენილი პროექტის ირგვლივ. პალატების შესაბამისი მუდმივი კომისიები ან უმაღ-

ლესი საბჭოს კომისიები კი გამოყოფენ თანამომხსენებლებს, რაც სესიისწინა-პერიოდში ეცნობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, სესიის დროს კი პალატების თავმჯდომარეებს.

საკანონმდებლო აქტების პროექტებსა და მათ თაობაზე კომისიათა დასკვნებს ნაბეჭდი სახით დროულად გადასცემენ დეპუტატებს. თუ პროექტის ტექსტი დეპუტატებს არ გადასცემიათ, მათ წაიკითხავენ სესიაზე კენჭისყრის წინ. რეგლამენტის 47-ე მუხლში გათვალისწინებულია კანონის ან სხვა აქტის პროექტის კენჭისყრის წესი — მთლიანად ან ჯერ მუხლობრივად, კარების, თავების მიხედვით, შემდეგ კი მთლიანად.

რეგლამენტით დადგენილია კანონის დამტკიცების წესი. იგი მიღებულად ითვლება, თუ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თითოეულ პალატაში მას ხმას მისცემს პალატის დეპუტატთა საერთო რიცხვის უმრავლესობა. რაც შეეხება კანონს სსრ კავშირის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ, მიღებულად ითვლება, თუ მას ხმას მისცემს თითოეულ პალატაში დეპუტატთა საერთო რიცხვის სულ ცოტა ორი მესამედი.

კანონისაგან განსხვავებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო დადგენილებებსა და სხვა აქტებს იღებს უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა საერთო რიცხვის ხმების უმრავლესობით.

როგორც ცნობილია, სსრ კავშირის 1977 წლის კონსტიტუციის 108-ე მუხლი აწესებს კანონის მიღების ორ წესს. მათი მიხედვით სსრ კავშირის კანონები მიიღება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ ან საყოველთაო სახალხო კენჭისყრით (რეფერენდუმით). სწორედ რეფერენდუმის შესახებ არის ნათქვამი რეგლამენტის 49-ე მუხლში; იგი მოეწყობა სახელმწიფო ცხოვრების ყველაზე დიდმნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებით.

რეგლამენტის 50-ე მუხლი იმეორებს სსრ კავშირის კონსტიტუციის 115-ე მუხლის შინაარსს, სადაც ლაპარაკია ისეთ შემთხვევაზე, როცა კანონის დამტკიცებისას წინააღმდეგობაა პალატათა შორის, ე. ი. ერთი პალატა მას ამტკიცებს, ხოლო მეორე კი — არა. სოციალისტური დემოკრატიზმი ამჟამად ისე ამაღლდა, რომ ასეთ შემთხვევაში პალატების დათხოვნისა და მათი ხელახალი არჩევის ნაცვლად, რაც გათვალისწინებული იყო სსრ კავშირის 1936 წლის კონსტიტუციით, ახალი კონსტიტუციით საკითხს გაიტანენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს შემდგომი სესიის განსახილველად ან უმაღლესი საბჭო გადასცემს ამ საკითხს საყოველთაო-სახალხო კენჭისყრისათვის (რეფერენდუმისათვის).

შემდეგი საკითხები, რომლებსაც აწესრიგებს რეგლემენტი, ეს არის სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების, სახელმწიფო გეგმების, სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტისა და მათი შესრულების ანგარიშების (თავი VIII), საგარეო პოლიტიკური საკითხების განხილვა (თავი IX), აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ თავისი საკონტროლო უფლებამოსილების განხორციელების საკითხები.

განვითარებული სოციალისტური საზოგადოებისათვის დამახასიათებელია წარმომადგენლობითი ორგანოების როლის ზრდა. მათ შორის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების საკონტროლო ფუნქციების გააქტიურება სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ სსრ კავშირის კონსტიტუციის, სსრ კავშირის კანონებისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხვა გადაწყვეტილე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბათა დაცვისა და განხორციელებისადმი, სახელმწიფო გეგმებისა და ბიუჯეტის შესრულებისადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინაშე ყველა ანგარიშვალდებული სახელმწიფო ორგანოს საქმიანობისადმი.

რეგლამენტი აწესებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის მინისტრებისა და სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეების ანგარიშგებას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინაშე, სესიათა შორის პერიოდში კი — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე (მუხ. 60).

რეგლამენტის 61-ე და 62-ე მუხლებით დადგენილია, რომ სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლომ და სსრ კავშირის გენერალურმა პროკურორმა უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების პერიოდში ერთხელ მაინც წარუდგინონ ანგარიში თავიანთი საქმიანობის შესახებ. რაც შეეხება სესიათა შორის პერიოდს, ისინი თავიანთი საქმიანობის შესახებ სისტემატურად მოახსენებენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

აღმასრულებელ-განმკარგულებელ ორგანოთა კონტროლის მნიშვნელოვანი ფორმაა უმაღლესი საბჭოს დეპუტატის შეკითხვა. შეკითხვის წარდგენა სესიაზე შეიძლება წერილობითაც და ზეპირი სახითაც. ვის სახელზეც შეკითხვა იქნება მიმართული, იგი ვალდებულია არა უგვიანეს სამი დღის ვადაში ზეპირი ან წერილობითი პასუხი გასცეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ამ სესიას. როგორც რეგლამენტშია მითითებული, „შეკითხვაზე გაცემული პასუხის თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო იღებს დადგენილებას“ (მუხ. 63)[4].

უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის ბოლო თავები შეეხება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს აქტების გამოქვეყნების წესს (თავი XI) და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აპარატს (თავი XII). აქ მითითებულია, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აპარატის დებულებას, აპარატის სტრუქტურასა და შტატებს ამტკიცებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ორგანიზაციული საქმიანობა სამართლებრივი ნორმების საფუძველზე ხელს შეუწყობს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს როლისა და ავტორიტეტის ამაღლებას.

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია და მის საფუძველზე მიღებული საკანონმდებლო აქტები მნიშვნელოვანი იურიდიული ბაზაა განვითარებული სოციალისტური საზოგადოების წარმომადგენლობითი ორგანოების შემდგომი ნაყოფიერი მუშაობისა კომუნიზმის მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს X მოწვევის პირველმა სესიამ 1980 წლის 28 მარტს მიიღო საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი, რომელიც შედგება 12 თავისა და 66 მუხლისაგან.

ანალოგიურ აქტებს მალე მიიღებენ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოები.

---

[4] სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის ტექსტი იხ „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1979 წ., № 17 (1987), მუხ. 272.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წილის გამოყოფა როგორც საერთო საკუთრების მოსპობის საფუძველი

დ. სუხიტაშვილი

სხვადასხვა ურთიერთობის საფუძველზე ქონება შეიძლება საერთო საკუთრების უფლებით ეკუთვნოდეს ორ ან რამდენიმე პირს. საერთო საკუთრებისათვის დამახასიათებელია, ერთი მხრივ, ობიექტის ერთიანობა, რაც ნიშნავს, რომ საერთო საკუთრების ყველა მონაწილე თავის უფლებებს ერთიანად ახორციელებს მთლიან ობიექტზე და არა მის რომელიმე რეალურ ნაწილზე დამოუკიდებლად, ხოლო, მეორე მხრივ, საერთო საკუთრებისათვის დამახასიათებელია სუბიექტთა სიმრავლე. მოცემულ შემთხვევაში სუბიექტთა სიმრავლე უნდა განვასხვაოთ კოლექტიური სიმრავლისაგან — კოლმეურნეობის, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საკუთრებისაგან, რომლებიც დამოუკიდებლად გვევლინებიან საკუთრების სამართლის ერთიან სუბიექტებად.

სამოქალაქო კანონმდებლობა განასხვავებს ორი სახის საერთო საკუთრებას — წილთა განსაზღვრით (წილად საკუთრებას) და წილთა განუსაზღვრელად (თანასაკუთრებას). მათ შორის განსხვავება ის არის, რომ წილადი საკუთრების დროს თითოეულ მესაკუთრეს აქვს მკაცრად განსაზღვრული წილი, რომელზეც საერთო საკუთრების მონაწილე ახორციელებს თავის უფლებამოსილებას სხვა მესაკუთრეებთან შეთანხმებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რამდენადაც საერთო საკუთრებისათვის დამახასიათებელია ობიექტის ერთიანობა, წილადი საკუთრება გამოიხატება არითმეტიკული და არა ქონების ნატურალური წილით. წილადი საკუთრებისაგან განსხვავებით თანასაკუთრების სუბიექტები მესაკუთრის უფლებამოსილებას ახორციელებენ მთლიან ქონებაზე თანაბრად.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 112-ე მუხლით ირკვევა, რომ საერთო საკუთრების სუბიექტებად სახელმწიფოს, კოლმეურნეობის, კოოპერატივისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების გარდა არიან მოქალაქეებიც. თანასაკუთრების სუბიექტებად კი მარტოოდენ მოქალაქეები შეიძლება იყვნენ, რადგანაც ამგვარ საერთო საკუთრებას საფუძვლად უდევს საოჯახო შრომითი ურთიერთობა — მეუღლეთა მიერ ერთად ცხოვრების პერიოდში შეძენილი ქონება და საკოლმეურნეო კომლის ქონება.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, საერთო საკუთრების მონაწილე მოქალაქენი ხშირად დაინტერესებული არიან საერთო საკუთრებიდან მათი წილი საკუთრების განცალკევებითა და მათდამი ინდივიდუალური კონტროლის დაწესებით, და ეს მით უფრო ხშირია, თუ მათ შორის საერთო საკუთრება წარმოშობილია არასახელშეკრულებო ურთიერთობიდან, მაგალითად, მემკვიდრეობიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთო საკუთრების მოსპობას ძირითადად საფუძვლად უდევს იგივე საშუალებანი, რაც პირადი საკუთრების მოსპობას: ყიდვა-გაყიდვა, გაცვლა, ჩუქება და სხვ. მაგრამ ამასთან ერთად საერთო საკუთრების მოსპობა ზემოაღნიშნული საშუალებების გარდა შეიძლება მოხდეს მისთვის დამახასიათებელი სპეციალური საშუალებებით — წილის უპირატესი შესყიდვისა და წილის გამოყოფის გზით. წილის უპირატესი შესყიდვის უფლება ჩვეულებრივი ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების ნაირსახეობაა და, ზოგიერთი თავისებურების გარდა, მის მიმართ გამოიყენება ყველა ის წესი, რაც ყიდვა-გაყიდვისათვის, ამიტომ მასზე სპეციალურად არ შევჩერდებით.

არცთუ იშვიათად პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როდესაც თვით ტერმინი „გამოყოფა" უმართებულოდ იხმარება როგორც მისი ეტიმოლოგიური, ისე სპეციალური, ე. ი. სამართლებრივი გაგებით. ასევე მოქალაქეთა შორის საერთო საკუთრების მოსპობა დიდ დავას იწვევს მაშინაც, თუ საერთო საკუთრებას შეადგენს ისეთი ნივთი (ქონება), რომლის გაყოფა ნატურად ტექნიკურ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ასეთი სირთულე ხშირად გამოწვეულია საცხოვრებელი სახლიდან წილის ნატურად გამოყოფისას და ჩვენც აღნიშნულ საკითხს განვიხილავთ საცხოვრებელი სახლის მაგალითზე.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის თანახმად, საერთო წილადი საკუთრების ყოველ მონაწილეს უფლება აქვს, მოითხოვოს თავისი წილის გამოყოფა ნატურად. იმ შემთხვევაში, თუ საერთო საკუთრების სხვა მონაწილეებთან ვერ იქნება მიღწეული შეთანხმება, საკითხს გადაწყვეტს სასამართლო. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ამავე ნორმით სასამართლოს დაკისრებული აქვს ვალდებულება დავის გადაჭრა წილის ნატურით გამოყოფის საშუალებით ან მოსარჩელისათვის ფულადი კომპენსაციის განსაზღვრა; მაგრამ ამ უკანასკნელს, ე. ი. ფულად კომპენსაციას სასამართლო გამოიყენებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წილის ნატურად გამოყოფა შეუძლებელია.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის შესაბამისად ქონება გაიყოფა ნატურად, თუ ამით ქონებას მისი სამეურნეო დანიშნულების მიხედვით არათანაზომიერი ზიანი არ მიადგება. ბუნებრივია, „არათანაზომიერი ზიანის" მიყენების საშიშროება დადგება მაშინ, როდესაც გასაყოფი სახლი საჭიროებს სხვანაირ დაგეგმარებას (გადაკეთებას), რომლის დროსაც დაცული უნდა იყოს შესაბამისი სამშენებლო ნორმები და წესები. მაგალითად, სახლის სხვანაირად გადაკეთება წილის გამოყოფის მიზნით არ დაიშვება, თუ 1) შემცირდება მზიდი კონსტრუქციების მდგრადობა, 2) სიძველის გამო გადაკეთება იწვევს სახლის დანგრევის საშიშროებას, 3) გადაკეთებით საცხოვრებელი ან დამხმარე სათავსები მინიმალურ ნორმაზე მეტად მცირდება და სხვა. სახლის გადაკეთებისას (სხვანაირად დაგეგმარებისას) გათვალისწინებული უნდა იყოს ასევე სანიტარული და სახანძრო დაცვის წესები. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლოს, მივა რა იმ დასკვნამდე, რომ გამოყოფა შეუძლებელია, მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია, გამოიტანოს გადაწყვეტილება გამოსაყოფი მესაკუთრისათვის ფულადი კომპენსაციის მიცემის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ წილის ნატურად გამოყოფა არ შეიძლება აგრეთვე, თუ სახლის გაყოფა გამოიწვევს სხვა მესაკუთრეებისათვის საცხოვრებელი ფართობით სარგებლობის უფლების შეზღუდვას ან არათანაზომიერ ხარჯებს მესაკუთრეთა შორისო[1]. ვფიქრობთ, ასეთი მოსაზრებები სწორი არ არის და არ შეიძლება სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველი გახდეს, რადგან ეს სულ სხვა სამოქალაქო ურთიერთობაა. მაგალითად, პირველ შემთხვევაში, თუ წილის გამოყოფა იწვევს სხვა მესაკუთრის სარგებლობაში მყოფი საცხოვრებელი ფართობის შემცირებას და ამით ზღუდავს მის უფლებებს, დავა უნდა გადაწყდეს სამოქალაქო კოდექსის ოცდამეშვიდე თავით და მისი მიხედვით შეუნარჩუნდეს ან ჩამოერთვას წინათ დაკავებული საცხოვრებელი ფართობით სარგებლობის უფლება, მაგრამ ამ საფუძვლით წილის ნატურად გამოყოფაზე უარის თქმა მესაკუთრის უფლებების უხეში ხელყოფა იქნებოდა.

დაუშვებელია აგრეთვე სასამართლოს მიერ წილის ნატურად გამოყოფაზე უარის თქმა იმ საფუძვლით, რომ სახლის გადაკეთება გამოიწვევს მესაკუთრეთა შორის არათანაბარ ხარჯებს. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 114-ე მუხლის თანახმად, სხვა მესაკუთრეებს ევალებათ მხოლოდ სახლის მართვისა და შენახვის სავალდებულო ხარჯების გადახდა, ამიტომ, თუ მესაკუთრეთა შორის არ იქნება მიღწეული შეთანხმება ხარჯების განაწილების თაობაზე, გადაკეთებასთან დაკავშირებულ ხარჯებს აანაზღაურებს თვით მოსარჩელე, რადგან ეს ხარჯები გამოწვეულია მისი სარჩელით და არ მიეკუთვნება სახლის მართვისა და შენახვის ხარჯებს. მოსარჩელეს წილის გამოყოფასთან დაკავშირებული ხარჯების გადახდა ევალება ასევე ბრალეულობის პრინციპის საფუძველზე. ამრიგად, წილის ნატურად გამოყოფასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება არ ეკისრებათ მოპასუხეებს (საერთო საკუთრების სხვა მონაწილეებს) და არც საფუძველი უნდა იყოს სარჩელზე უარის თქმისათვის.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, წილის ნატურად გამოყოფის შეუძლებლობის შემთხვევაში სასამართლოს უფლება აქვს გამოიტანოს გადაწყვეტილება მოსარჩელისათვის ფულადი კომპენსაციის მიცემის შესახებ. საერთო წილადი საკუთრებიდან წილის გამოყოფის ამგვარ საშუალებას ის თავისებურება ახასიათებს, რომ სახლზე საკუთრების უფლება იცვლება სხვა ქონებაზე, მოცემულ შემთხვევაში ფულზე საკუთრების უფლების მოპოვებით. ამ უფლების შეცვლა კი, როგორც ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების ნაირსახეობა, ნებელობითი აქტია და, ვფიქრობთ, თუ ორივე მხარე თანახმა არ არის, სასამართლოს არ შეუძლია განიხილოს ფულადი კომპენსაციის საკითხი. აღნიშნულის გამო, როდესაც სასამართლო იმ დასკვნამდე მივა, რომ წილის ნატურად გამოყოფა შეუძლებელია, უნდა აუხსნას მხარეებს, რომ შესაძლებელია ფულადი კომპენსაცია და თუ მოსარჩელე ან მოპასუხე მხარე წინააღმდეგია ფულადი კომპენსაციისა, სასამართლომ უარი უნდა უთხრას მოსარჩელეს საერთო საკუთრებიდან წილის გამოყოფაზე.

ეს დებულება ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ მოსარჩელემ (გამო-

[1] См. Г. П. Батуров, «Разрешение судом споров о праве собственности на жилое строение», Москва — 1978 г. стр. 102.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყოფმა მესაკუთრემ) კონკრეტულად უნდა ჩამოაყალიბოს საერთო საკუთრების მოსპობის საშუალება — წილის ნატურად გამოყოფის ან ფულადი კომპენსაციის სახით, რადგან ისეთი ზოგადი ცნებები, როგორიც არის „იდეალურიდან რეალური წილის გამოყოფა", ვერ ასახავს სრულყოფილად მოსარჩელის მოთხოვნას.

წილის ნატურად გამოყოფის ტექნიკური შესაძლებლობის საფუძველზე სასამართლოებმა შეიძლება გამოიყენონ აგრეთვე ნაწილობრივ ფულადი კომპენსაცია, მაგრამ ყოველგვარ პირობებში ერთი სახლიდან, როგორც საერთო საკუთრების ობიექტიდან, შეუძლებელია წილის გამოყოფა ისე, რომ მთლიანად მოისპოს საერთო საკუთრება. საერთო საკუთრებაში მაინც დარჩება სახლის გარკვეული დეტალები და კონსტრუქციები — საძირკველი, სახურავი, კედელი, რომლითაც გაემიჯნენ მესაკუთრენი ერთმანეთს და სხვ.

სულ სხვა ტექნიკურ და სამართლებრივ შედეგებთან გვაქვს საქმე, როდესაც საერთო საკუთრებას შეადგენს არა ერთიანი სახლი, არამედ ცალკე დამოუკიდებელი საცხოვრებელი ნაგებობები. ეჭვგარეშეა, საცხოვრებელი სახლიდან წილის გამოყოფა მით უფრო მოხერხებულია, თუ მოქალაქეებს საერთო საკუთრებაში აქვთ ორი ურთიერთდამოუკიდებელი საცხოვრებელი სახლი და მათი ხვედრი წილის ნატურად გამოყოფა თითოეულისათვის შეიძლება ცალკე დამოუკიდებელი სახლის სახით. ასეთ დროს საერთო საკუთრება მოისპობა მთლიანად და გამოყოფასთან დაკავშირებული ტექნიკური სირთულეებიც მოიხსნება. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი შემთხვევები არცთუ ისე ხშირია, მაგრამ პრაქტიკაში მაინც ვხვდებით. მაგალითად, ქ. თბილისში ვ. ფშაველას ქ. № 2-ში (იქროყანა) მდებარე ორი დამოუკიდებელი სახლი აღრიცხულია ალექსანდრე ესტატეს ძე ცხოვრებაშვილზე და მიხეილ ალექსანდრეს ძე ცხოვრებაშვილზე წილის განუსაზღვრელად. წილის განუსაზღვრელად, ე. ი. თანასაკუთრების უფლებით მათზე ქონების აღრიცხვა თუმცა უკანონოა, რადგან ისინი საოჯახო-შრომითს ურთიერთობაში არ იმყოფებიან ერთმანეთთან, მაგრამ თანასაკუთრებით აღრიცხვა ამ შემთხვევაში ფორმალურია და საერთო საკუთრების სუბიექტებისათვის გარკვეულია წილის ოდენობა — თითოეულს ეკუთვნის ის წილი, რა წილსაც შეადგენს ცალკეული სახლი მთლიან საკუთრებაში, ამიტომ წილის გამოყოფისას თითოეულ მესაკუთრეს, მათივე ნებით, გამოეყოფა ცალკე დამოუკიდებელი სახლი მიწის ნაკვეთთან ერთად და საერთო საკუთრება მოისპობა მთლიანად.

საქართველოს სსრ სასამართლო ორგანოების პრაქტიკა იცნობს წილის გამოყოფის ისეთ წესს, როდესაც საერთო საკუთრება ისპობა მთლიანად, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საერთო საკუთრების მთლიანი მოსპობა თითქმის შეუძლებელია საერთო საკუთრებაში არსებული ერთი საცხოვრებელი ნაგებობიდან წილის გამოყოფისას. ამიტომ, მართალია, სასამართლო ორგანოები ადგენენ ერთი სახლმფლობელობიდან „იდეალურიდან რეალური წილის გამოყოფას", მაგრამ საერთო საკუთრების მოსპობის ფაქტი სხვაგან არსად არ აღირიცხება და არც „გამოყოფის" შესაბამისი იურიდიული შედეგი მოსდევს. ეს კი გამოწვეულია ძირითადად ორი მიზეზით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1) სანოტარო და ტექნიკური ინვენტარიზაციის ორგანოები არ ცნობენ ერთი სახლმფლობელობის საერთო საკუთრებიდან წილის ნატურად გამოყოფას ან ფულადი კომპენსაციის წესით საერთო საკუთრების ნაწილობრივ მოსპობას. რატომღაც სრულიად ღაუსაბუთებლად ზემოაღნიშნულ ორგანოებში მიჩნეულია ,რომ ასეთ შემთხვევებში მხარეთა შორის ურთიერთობა ფორმდება იმ წესით, რომელიც გათვალისწინებულია წილადი მესაკუთრეებისათვის, მაშინ როდესაც გარკვეულ წილზე მისი ნატურად გამოყოფის შემდეგ უნდა მოისპოს საერთო საკუთრება. სანოტარო და ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროების ასეთი მოქმედება, ვფიქრობთ, ნაწილობრივ განპირობებულია იმითაც, რომ თვით სასამართლოები ნაკლებად ზრუნავენ ამ მხრივ თავიანთი გადაწყვეტილებების სისრულეში მოყვანისათვის.

2) სასამართლო ორგანოები თავიანთ გადაწყვეტილებებში სარგებლობენ მცდარი და უზუსტო ტერმინოლოგიით. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 117-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგის დადგომისათვის უნდა იხმარებოდეს „...წილის ნატურად გამოყოფა“, სასამართლო პრაქტიკაში ჩვეულებრივ გვხვდება „იდეალურიდან რეალური წილის გამოყოფა“ და ისედაც ამ დაუზუსტებელ გამოთქმაში სასამართლო ფართო შინაარსს დებს და პრაქტიკულად მოქალაქისათვის მიუღწეველი რჩება ის, რისთვისაც მიმართა სასამართლოს. აი ეს უზუსტობაც.

მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 117-ე მუხლში ლაპარაკია მარტოოდენ წილის ნატურად „გამოყოფაზე“ და განსაზღვრულია გამოყოფის წესი, იგი ერთნაირად ეხება წილის ნატურად „გაყოფასაც“, რამდენადაც „გაყოფასა“ და „გამოყოფას“ ერთი და იგივე ეტიმოლოგიური საფუძველი აქვთ. მათ შორის განსხვავება მხოლოდ საერთო საკუთრების სუბიექტების სიმრავლეა — სამი და მეტი სუბიექტის არსებობისას თითოეული მათგანი ახდენს წილის გამოყოფას, ხოლო ყველა ერთად — გაყოფას. ასევე, ორი მესაკუთრის არსებობისას ხდება ქონების გაყოფა. სამართლებრივი თვალსაზრისითაც „გაყოფასა“ და „გამოყოფას“ აქვს ერთი მიზანი — სახლის (ქონების) გარკვეულ წილზე დამოუკიდებელი მართვისა და განკარგვის წარმოშობა ანუ საერთო საკუთრების მოსპობა.

ამრიგად, ტერმინებს „გაყოფა“ — „გამოყოფას“ მკაცრად განსაზღვრული მნიშვნელობა აქვს და უნდა იხმარებოდეს საერთო საკუთრების მოსპობის გამოსახატავად. პრაქტიკაში კი უმეტესად გვხვდება ისეთი ტერმინები, როგორიც არის „იდეალურიდან რეალური წილის გამოყოფა“, რომელიც ერონაირად შეიძლება იყოს გაგებული როგორც საერთო საკუთრებიდან წილის გამოყოფისას, ე. ი. საერთო საკუთრების მოსპობისას, ისე — საერთო წილად საკუთრებაში სარგებლობის წესის განსაზღვრისას; ან როგორც თანასაკუთრებიდან წილად საკუთრებაში გადასვლისას, ისე საერთო წილადი საკუთრებიდან გარკვეულ წილზე პირადი საკუთრების უფლების მოპოვებისთვისაც. ყოველივე ამას კი მათთვის დამახასიათებელი იურიდიული შედეგი მოჰყვება. ამიტომ ასეთი ზოგადი ტერმინის ხმარება დაუშვებელია. „იდეალური და რეალური“ ფილოსოფიური კატეგორიების — „ზოგადისა და ერთეულის“ შესაბამისი გამომხატველი ცნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბებია და ისევე როგორც ზოგადი და ერთეული იდეალური და რეალური სხვა სიდიდეებთან ურთიერთობაში არ არის მუდმივად მოცემული უცვლელი სიდიდეები. მაგალითად, წილადი საერთო საკუთრება თანასაკუთრების მიმართ უფრო კონკრეტულია, ერთეულია, ხოლო წილის ნატურად გამოყოფილი ქონებისადმი — ზოგადია. ამიტომ ტერმინის „იდეალურიდან რეალური" წილის გამოყოფის ხმარება არ არის სწორი, მით უმეტეს, რომ დღეისათვის მან უზომოდ განვრცობითი ხასიათი მიიღო და, როგორც უკვე ითქვა, იხმარება საერთო საკუთრებაში არსებული სახლის სარგებლობის წესის განსაზღვრის გამოსახატავადაც. აღნიშნულის გამო ხშირად თვით სასამართლო ორგანოების დადგენილებებშიც კი გაურკვეველია, დავა ეხება სარგებლობის წესის განსაზღვრას, თუ საერთო საკუთრების მოსპობას. ამიტომ, ამ მხრივ, გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, საჭიროა, სწორად იყოს გამოყენებული საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 113-ე და 117-ე მუხლების ტერმინოლოგია.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 113-ე და 117-ე მუხლების ერთმანეთში არევა არ არის შემთხვევითი. 113-ე მუხლით გათვალისწინებულია საერთო წილად მესაკუთრეთა შორის „სარგებლობის წესის განსაზღვრა", 117-ე მუხლით კი — „წილის ნატურად გამოყოფა". ტექნიკური თვალსაზრისით ორივე შემთხვევაში რეალურად გამოცალკევდება მთლიანი ობიექტიდან რაღაც განსაზღვრული წილი და ზედაპირულად ცალკე ობიექტად წარმოგვიდგება. იურიდიულად კი, თუ მოხდა სარგებლობის წესის განსაზღვრა, მთელი სახლი ერთ ობიექტად დარჩება; წილის ნატურად გამოყოფისას კი ორ დამოუკიდებელ საკუთრების ობიექტად გადაიქცევა. ამდენად, მათი გამიჯვნისათვის უნდა ვიხელმძღვანელოთ არა ტექნიკური, არამედ იურიდიული კრიტერიუმით.

ხშირად მოსარჩელეები შეუცნობლად მოითხოვენ წილის ნატურად გამოყოფას და მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც გაიგებენ, რომ საერთო საკუთრების მოსპობით კარგავენ წილის უპირატესი შესყიდვის უფლებას, ასევე საერთო საკუთრების უპირატესობას, რომ მათი წილის დაღუპვის შემთხვევაში კვლავ ინარჩუნებენ საკუთრების უფლებას საერთო საკუთრების ობიექტზე და სხვა, მიდიან იმ დასკვნამდე, რომ წილის ნატურად გამოყოფის ნაცვლად მოითხოვენ სარგებლობის წესის განსაზღვრას. ამიტომ სასამართლომ სარჩელის საგნის გაგებისათვის უნდა გაარკვიოს მოსარჩელის იურიდიული მიზანი.

საქართველოს სსრ ქალაქებში, მუშათა, სააგარაკო და საკურორტო დაბებში შენობების რეგისტრაციის შესახებ ინსტრუქციის 27-ე პარაგრაფის თანახმად, სასამართლოს გადაწყვეტილება წილის ნატურად გამოყოფის შესახებ საფუძველია მისი ცალკე, დამოუკიდებელ საკუთრების ობიექტად აღრიცხვისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პასუხისმგებლობა საპასპორტო წესების დარღვევისათვის

„პარტიული, საბჭოთა, სამართალდამცავი ორგანოების, სხვა სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინაშე დასახულია ამოცანები, რომ .. გააქტიურონ ბრძოლა მუქთახორობისა და სპეკულაციის წინააღმდეგ. უზრუნველყონ იმ პირთა დროული გამოვლინება, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას. მიაღწიონ კოლექტივებში მათს შრომითს მოწყობასა და შენარჩუნებას, მიიღონ კანონით გათვალისწინებული ზემოქმედების ზომები იმათ მიმართ, ვისაც ჯიუტად არ სურს შრომა“[1].

„...გადამწყვეტი ბრძოლა უნდა გავაჩაღოთ პარაზიტიზმის ფაქტების წინააღმდეგ... თუმცა მუქთახორობაზე ზემოქმედებისა ადმინისტრაციული ღონისძიებანი რამდენადმე გაძლიერდა, ბდგომარეობა კვლავ ძალზე შემაშფოთებელია“[2].

პარაზიტიზმის წინააღმდეგ, და საერთოდ ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლის წარმატებას მრავალი სოციალური, ეკონომიკური, ორგანიზაციული, კულტურული თუ ფსიქოლოგიური ფაქტორი განსაზღვრავს. მათ შორის ერთ-ერთია საპასპორტო დისციპლინა. იმაზე, თუ რამდენად თანმიმდევრულად განხორციელდება საპასპორტო პოლიტიკა, დიდად არის დამოკიდებული, რომ კონტროლი გაეწიოს ზოგიერთი უსაქმურის საეჭვო ცხოვრებასა და საქმიანობას. აქტიურად ჩავებათ ისინი სოციალისტური აღმშენებლობის პროცესში.

ჩვენს ქვეყანაში დადგენილია საპასპორტო წესების ერთიანი სისტემა. მათი დარღვევა იმდენად ხერიოზულ საშიშროებას წარმოადგენს საზოგადოებრიობისთვის, რომ ზოგჯერ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასაც კი იწვევს. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 217-ე მუხლში ნათქვამია:

„იმ პირის უპასპორტოდ ცხოვრება, რომელიც კანონით ვალდებულია ჰქონდეს პასპორტი, ჩადენილი ერთის წლის განმავლობაში ასეთივე დარღვევისათვის ადმინისტრაციული სასჯელის დადების შემდეგ, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, ან ჯარიმით ორმოცდაათ მანეთამდე.

უპასპორტო პირის, აგრეთვე პასპორტის მქონე პირის ჩაუწერლად ცხოვრება ისეთ ადგილას, სადაც შემოღებულია საპასპორტო რეჟიმი, მას შემდეგ, რაც მილიციის დაწესებულებამ განმეორებით წერილობით გააფრთხილა იგი გასვლის შესახებ, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთის ვადით ერთ წლამდე“.

სსსრ სამართლის კანონი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სპეციალური წესების დარღვევისათვის, რომელთა უმრავლესობა დადგენილია დებულებით სსრ კავშირში საპასპორტო სისტემის შესახებ (დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ 1974 წლის 28 აგვისტოს). კანონის ნორმა შედგება ორი ნაწილისაგან. პირველი ნაწილით განსაზღვრულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საერთო პირობები უპასპორტოდ ცხოვრებისათვის, ხოლო მეორე ნაწილი აწესებს გაძლიერებულ პასუხისმგებლობას კანონით განსაზღვრულ ადგილას საპასპორტო რეჟიმის საგანგებო წესების დარღვევისათვის.

დებულებით სსრ კავშირში საპასპორტო სისტემის შესახებ ყველა საბჭოთა მოქალაქე, რომელსაც 16 წელი შეუსრულდა, ვალდებულია ჰქონდეს სსრ კავშირის მოქალაქის პასპორტი. უპასპორტოდ ცხოვრება შეიძლება გამოიხატოს იმით, რომ თავს არიდებენ პასპორტის მიღებას, აქვთ ვადაგადასული პასპორტი და ა. შ.

ის პირი, რომელიც პასპორტს დაკარგავს ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აც-

---

[1] სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „მართლწესრიგის დასაცავად და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად მიმდინარე მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“.

[2] ე. ა. შევარდნაძის მოხსენება საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო ორგანიზაციის XXXVII კონფერენციაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნობოს ეს მილიციის ორგანოებს. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობაც უპასპორტოდ ცხოვრების შემთხვევებს განეკუთვნება.

უპასპორტოდ ცხოვრებად არ ჩაითვლება საპასპორტო წესების ისეთი დარღვევა, როგორიც არის, მაგალითად, პასპორტის საწინდრის სახით გადაცემა, აგრეთვე პასპორტის მქონე პირის ჩაუწერლად ცხოვრება და სხვა.

თუ უპასპორტოდ ცხოვრება პირველად არის ჩადენილი, მოქალაქეს ადმინისტრაციული სასჯელი დაედება, მისი განმეორებით ჩადენის შემდეგ კი იგი პასუხს აგებს სისხლის სამართლის კოდექსის 217-ე მუხლის პირველი ნაწილით. ასეთი პასუხისმგებლობა დასაშვებია მხოლოდ იმ პირობით, თუ ადმინისტრაციული სასჯელის დადების დღიდან არ არის გასული ერთი წელი. ამ ვადის გასვლისთანავე ადმინისტრაციული სასჯელი ავტომატურად ქარწყლდება და ამიერიდან მოქალაქე აღარ ჩაითვლება ადმინისტრაციული სასჯელის მქონედ.

არ არის აუცილებელი, მაინცდამაინც ერთი და იმავე წესის დარღვევა მეორდებოდეს. საკმარისია, რომ ადმინისტრაციული სასჯელის დადების შემდეგ ერთი წლის განმავლობაში დამნაშავემ ნებისმიერი თანამიმდევრობით გაიმეოროს 217-ე მუხლით გათვალისწინებული რაიმე წესის დარღვევა. ამის მაგალითად გამოდგება შემთხვევა, როდესაც მოქალაქე არ აცნობებს მილიციის ორგანოებს პასპორტის დაკარგვის ამბავს, მას შემდეგ, რაც ერთხელ უკვე დაჯილიყო ადმინისტრაციული წესით პასპორტის მიღებისაგან თავის არიდების გამო.

არც იმას აქვს მნიშვნელობა, ერთსა და იმავე რესპუბლიკაში, ან დასახლებულ პუნქტში გრძელდებოდა ან განმეორდა დარღვევა, თუ სხვადასხვა ადგილას. ჩვენში არსებობს ერთიანი საპასპორტო სისტემა, რომელიც მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვის ერთ საერთო-სახელმწიფოებრივ საქმეს ემსახურება. ამიტომ საპასპორტო წესების ყველა დარღვევა თანაბარი საფუძველია პასუხისმგებლობისათვის, იმისდა მიუხედავად, თუ სად განხორციელდა ის და როგორი იყო მათი თანმიმდევრობა განმეორების შემთხვევაში.

ადმინისტრაციული სასჯელის დადებას უპასპორტოდ ცხოვრების გამო მხოლოდ მაშინ შეიძლება მიეცეს სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა, თუ იგი განხორციელებულია კომპეტენტური ორგანოების მიერ. საერთო წესისამებრ, ასეთ კომპეტენტურ ორგანოებად მიჩნეულია სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების ადმინისტრაციული კომისიები. გამონაკლის შემთხვევებში საპასპორტო წესების ცალკეული დარღვევისათვის ადმინისტრაციული ჯარიმების დადების უფლება აქვთ სახალხო დეპუტატთა სასოფლო და სადაბო საბჭოს აღმასკომებს. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 8 მარტის ბრძანებულებით ასეთი უფლება მინიჭებული აქვს აგრეთვე ზოგიერთი დიდი ქალაქისა და ოლქის მილიციის ორგანოებს (მაგალითად, მოსკოვისა და მოსკოვის ოლქისა), რომელთაც შეუძლია ეს უფლება განახორციელონ ადმინისტრაციულ კომისიებთან შეუთანხმებლად. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ზუსტად უნდა დადგინდეს, ვინ დასაჯა პირველად ადმინისტრაციული წესით მოქალაქე და იყო თუ არა იგი კომპეტენტური ორგანო, რომლის სასჯელს მნიშვნელობა აქვს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის. ისიც დასადგენია, სწორად დაისაჯა თუ არა მოქალაქე ადმინისტრაციული წესით საპასპორტო წესების უწინდელი დარღვევის გამო.[3]

217-ე მუხლის მეორე ნაწილი მოქალაქეთა ორ ჯგუფზე ვრცელდება: ესენი არიან მოქალაქეები, რომლებიც უპასპორტოდ ცხოვრობენ საგანგებო საპასპორტო რეჟიმის ადგილას და პასპორტიანი მოქალაქეები, რომლებიც ჩაუწერლად ცხოვრობენ იმავე ადგილას.

საპასპორტო რეჟიმის ადგილას უპასპორტოდ ცხოვრების კვალიფიკაციისათვის 217-ე მუხლის მეორე ნაწილით ძირითადად ის წესები გამოიყენება, რომლებიც ვრცელდება 217-ე მუხლის პირველ ნაწილზე. გასათვალისწინებელია მხოლოდ ერთი სხვაობა, სახელდობრ: თუ ჩვეულებრივ შემთხვევებში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის აუცილებელია, რომ უპასპორტოდ ცხოვრება განმეორებით იყოს ჩადენილი ერთი წლის განმავლობაში, ასეთი დარღვევისათვის ადმინისტრაციული სასჯელის დადების შემდეგ, საპასპორტო რეჟიმის ად-

---

3 სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1973 წლის 28 ივნისის № 10 დადგენილება (სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1976 წლის 3 სექტემბრის № 13 დადგენილებით შეტანილი ცვლილებებითა და დამატებებით) „ივ საქმეთა სასამართლო პრაქტიკის შესახებ, რომელიც შეეხება საპასპორტო წესების დარღვევას, სისტემატურ მაწანწალობას ან მათხოვრობას, აგრეთვე პირთა მიერ ხანგრძლივი დროის განმავლობაში სხვაგვარ პარაზიტულ ცხოვრებას“ (იხ. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებათა კრებული 1924-1977 წ. მ. 1978 წ. გვ. 312).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გილას უპასპორტოდ ცხოვრების გამო მოქალაქე პასუხს აგებს მას შემდეგ, რაც მილიციის დაწესებულებამ განმეორებით წერილობით გააფრთხილა იგი გასვლის შესახებ. ამასთან პასუხისმგებლობა შეზღუდული არ არის მილიციის გაფრთხილების შემდეგ გასული რაიმე ვადით. ამგვარად, მილიციის წერილობითი განმეორებით გაფრთხილებაც კი საკმარისი პირობაა, რათა ამის შემდეგ უპასპორტოდ ცხოვრებისათვის მოქალაქემ პასუხი აგოს 217-ე მუხლის მეორე ნაწილით. მით უფრო მეტი საფუძველია საამისოდ უპასპორტოდ ცხოვრება საპასპორტო რეჟიმის ადგილას ასეთივე დარღვევისათვის ადმინისტრაციული სასჯელის დადების შემდეგ.

217-ე მუხლის მეორე ნაწილის გამოსაყენებლად საპასპორტო რეჟიმის ადგილას პასპორტიანი პირის ჩაუწერლად ცხოვრება უნდა დადგინდეს ჩაწერის წესების შესაბამისად, რომლებიც გათვალისწინებულია დებულებით სსრ კავშირში საპასპორტო სისტემის შესახებ. ამ წესების თანახმად, მოქალაქენი, რომლებიც ერთი ადგილიდან მეორე ადგილას თვენახევარზე მეტი ვადით ჩამოვიდნენ საცხოვრებლად, ან ერთი და იმავე დასახლებული პუნქტის ფარგლებში გამოიცვალეს საცხოვრებელი მისამართი, ან ახლად მიიღეს ან გამოცვალეს პასპორტი, ვალდებულნი არიან სამი დღე-ღამის ვადაში ჩააბარონ პასპორტი ჩაწერისათვის პასუხისმგებელ პირებს მილიციის ორგანოებში წარსადგენად. პირი, რომელსაც ამა თუ ამ მიზეზით უარი ეთქვა ჩაწერაზე, ვალდებულია 7 დღე-ღამის განმავლობაში დატოვოს დასახლებული პუნქტი, რაც მას ეცნობება ხელწერილის ჩამორთმევით. ჩაწერის მოვალეობა ზოგჯერ ისეთ მოქალაქეებსაც აკისრიათ, რომლებიც არ არიან მოვალენი იქონიონ პასპორტი (მაგალითად, პოლიტიკური ლტოლვილი, მოქალაქეობის არმქონე პირი).

217-ე მუხლის მეორე ნაწილით ქმედობის კვალიფიკაციისათვის საკმარისია, თუ ზემოთ აღნიშნული მოვალეობებიდან ერთ-ერთი მაინც არ იქნა შესრულებული, მხოლოდ იმ პირობით, რომ წინათ მოქალაქე ორჯერ უნდა იყოს წერილობით გაფრთხილებული გასვლის შესახებ.

საბრალდებო დასკვნით ბ-ს ბრალი ედებოდა საქართველოს სსრ სსკ-ის 234-ე მუხლის მეორე ნაწილით და 217-ე მუხლის მეორე ნაწილით.

ქ. ბათუმის სახალხო სასამართლომ 1979 წლის 13 თებერვლის სამსჯავრო სხდომაზე გაარკვია, რომ საპასპორტო რეჟიმის დარღვევისათვის ბ-ა მხოლოდ ერთხელ იქნა გაფრთხილებული წერილობით და მილიციის განყოფილების მიერ იგი განმეორებით წერილობით გაფრთხილებული არ ყოფილა. ამიტომ მართებულად მოიქცა სახალხო სასამართლო, როდესაც ბან მოუხსნა ბ. ა-ს 217-ე მუხლის მეორე ნაწილით წარდგენილი ბრალდება.

დანაშაულის ჩადენის ადგილს პრინციპული მნიშვნელობა აქვს 217-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის იურიდიული შეფასებისათვის. კანონის თანახმად, უფრო მკაცრი სასჯელია დაწესებული იმ მოქალაქეთათვის, რომლებიც უპასპორტოდ, ან პასპორტით მაგრამ ჩაუწერლად ცხოვრობენ „ისეთ ადგილას, სადაც შემოღებულია საპასპორტო რეჟიმი". ამიტომ მიხედვით 217-ე მუხლის მეორე ნაწილი მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს მონათესავე ნორმებისაგან. უმნიშვნელოვანესია ორი ასეთი ნორმა: პირველი, 217-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც აგრეთვე კრძალავს უპასპორტოდ ცხოვრებას, მაგრამ დანაშაულის ჩადენის ადგილისაგან დამოუკიდებლად და მეორე, 216-ე მუხლი, რომელიც, მართალია, კრძალავს ჩაუწერლად ცხოვრებას, მაგრამ სასაზღვრო ზოლში ან სასაზღვრო ზონაში.

პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტისას საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებს მართებთ გულმოდგინედ გამოარკვიონ, ხომ არ იყო საპასპორტო წესების დარღვევა გამოწვეული დაუძლეველი ძალით, უკიდურესი აუცილებლობით ან სხვა მისატევებელი გარემოებით, რომლის თავიდან აცილება აღემატებოდა დამრღვევის ძალ-ღონეს. მაგალითად, თუ მოქალაქემ მძიმე ავადმყოფობის გამო ვერ შეძლო დადგენილ ვადაში ჩაწერილიყო, იგი უნდა გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან.

დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როდესაც უპასპორტოდ ცხოვრებისათვის პირს დაედო ადმინისტრაციული სასჯელი, მაგრამ ერთი წლის განმავლობაში კვლავ ჩადინა ისეთივე დარღვევა, ან კიდევ, საპასპორტო რეჟიმის ადგილას უპასპორტოდ ან ჩაუწერლად ცხოვრებისათვის ორჯერ იყო გაფრთხილებული და კვლავ ჩადინა ასეთი დარღვევა. ამ დარღვევებით გამოწვეულ შედეგებს დანაშაულის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს, თუმცა შეუძლია გავლენა მოახდინოს სასჯელის ზომაზე.

განსახილველი დანაშაულის სუბიექტური მხარე პირდაპირი განზრახვით გამოიხატება. დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ არღვევს საპასპორტო წესებს და სურს ეს დარღვევა. ის გარემოება, რომ დამნაშავე იმეორებს ან განაგრძობს საპასპორტო წესების დარღვევას ადმინისტრაციული წესით დასჯის ან გაფრთხილების შემდეგ, იმის მაუწყებელია, რომ იგი აქტიურად

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმართავს თავის ნებას დაკისრებულ მოვალეობათა საწინააღმდეგოდ. ამიტომ გაუფრთხილებლობითი ბრალი გამორიცხულია, თუნდაც უწინდელი დარღვევა მოქალაქეს დაუდევრობით ჰქონდეს განხორციელებული.

დანაშაულის ჩადენის მოტივს კვალიფიკაციისათვის ნნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ მხედველობაში მიიღება სასჯელის დანიშვნის დროს.

თუ საპასპორტო წესების დარღვევის მიზანი იყო შემდგომი ანტისაბჭოური საქმიანობა, მაშინ, მიზნის შინაარსის მიხედვით, ქმედობა შეიძლება დაკვალიფიცირდეს როგორც საშშობლოს ღალატის, დივერსიის ან მავნებლობის მოშზადება (17 და 65, 17 და 69, ან 17 და 79 მუხლები) და სხვ.

საპასპორტო წესების დარღვევისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება შერაცხად პირს, რომელსაც 16 წელი შეუსრულდა. თანამდებობის პირები, რომლებსაც მათი სამსახურებრივი მდგომარეობით სპეციალურად აკისრია ჩაწერის ან ამოწერის მოვალეობა (სახლმმართველი, საერთო საცხოვრებლის კომენდანტი, სასტუმროს, სანატორიუმის, დასასვენებელი სახლის, ბავშვთა ან ინვალიდთა სახლის დირექტორი და სხვ.), სათანადო წესამძღვრების არსებობისას, პასუხს აგებენ შესაბამისი თანამდებობრივი დანაშაულისათვის 186-ე, 187-ე, 188-ე, 191-ე ან სხვა მუხლებით.

რედაქციაში წერილი მოვიდა

ჟურნალის რედაქციის სახელზე გამოგზავნილ საჩივარში თბილისელი მასწავლებელი მარინე ლ-ი გვატყობინებდა, რომ აღმასრულებელ შ. ბრეგვაძეს ექვსი თვე უმოქმედოდ ედო მისი განცხადება ყოფილი მეუღლისგან ალიმენტის კადახდის შესახებ. ამასთან, აღმასრულებელი არათუ არავითარ ზომებს არ იღებდა სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებისათვის, არამედ სასამართლოში მისულ ბედაგოგს აბუჩადაც იგდებდა აიტყვიერ შეუოაცხყოფას აყენებდა, არ ზრუნავდა ბავშვის კუთვნილ ალიმენტის კადახდევინებაზე. განაწყენებულმა აღმასრულებელმა, რომელსაც მარინე ლ-მ სასამართლოს თავმჯდომარესთან უჩივლა, ექვსი თვის შემდეგ სააღსრულებლო ფურცელი გამოგზონილი მიზეზით ახალ რაიონში გადაგზავნა და საქმე ამით მოთავა.

ჟურნალის რედაქციამ შეიტყვლა საჩივარი. მასში მოყვანილი ფაქტები მთლიანად დადასტურდა. აღმასრულებელ შ. ბრეგვაძის მიერ საქმისადმი უსულგულო დამოკიდებულებამ ნამდვილად გამოიწვია დედისა და ბავშვის კანონიერი უფლებების შელახვა, არ დაისაჯა ალიმენტის ურჩი გადამხდელი, ბავშვმა ვერ მიიღო კუთვნილი თანხა. როგორც მოსალოდნელი იყო, აღნიშნული სააღსრულებლო საქმე, სრულიად კანონიერად, კვლავ დაუბრუნდა ოქტომბრის რაიონის ახალხო სასამართლოს.

ამ ფაქტთან დაკავშირებით მკაცრად იმსჯელა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ მებრძოლმა კომისიამ და ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელ შ. ბრეგვაძეს გამოეცხადა სასტიკი პასუხისმგებლობა უკანასკნელი გაფრთხილებით. მასვე ჩამოერთვა ალიმენტის ურჩი გადამხდელის კ. კეკელიძის სააღსრულებლო საქმე და იგი გადაეცა ამავე სასამართლოს სხვა აღმასრულებელს.

ᲕᲐᲚᲛᲝᲬᲓᲘᲚᲔᲑᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ—Ვ. ᲞᲐᲞᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ

1941 წლის 26 იენისს, დიდი სამამულო ომის დაწყების მეოთხე დღეს, მოსკოვში, სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს სამხედრო ტრიბუნალების სამმართველოში, ენერგიულ და მკვირცხლ ახალგაზრდას ვლადიმერ ვასილის ძე პაპიტაშვილს, რომელსაც მალე იურისტის დიპლომი უნდა მიეღო, ჩააბარეს ბრძანება შინაგან საქმეთა ჯარების სამხედრო ტრიბუნალის წევრად დანიშვნის შესახებ. იქვე მას მოკლედ აუხსნეს რომ საომარი ვითარება მეტად დაძაბული იყო და წინადადება მისცეს დაუყოვნებლივ, იმავე დღეს გამგზავრებულიყო დანიშნულების ადგილას, სასაზღვრო ზონაში მოქმედ წითელი არმიის ერთ-ერთ შენაერთში. ასე დაიწყო ვ. პაპიტაშვილისათვის ძნელი, ხიფათით აღსავსე საფრონტო გზა... აქ მას რთული ცხოვრებისეული გამოცდა ელოდა და ვ. პაპიტაშვილმა ღირსეულად, ვაჟკაცურად ჩააბარა ეს გამოცდა. მაშინ მას ოცდასამი წელი შეუსრულდა და როგორც დღეს უკვე ზუსტად, დოკუმენტურად არის დადგენილი, ყველაზე ახალგაზრდა სამხედრო მოსამართლე იყო საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე.

ოცდაათი წელი დაჰყო ვ. პაპიტაშვილმა სამხედრო მოსამართლის საპატიო პოსტზე, მთელი ომი მან ფრონტზე, მოქმედ არმიაში გაატარა და თავისი წვლილი შეიტანა მტრის განადგურებაში საბჭოთა სამხედრო იუსტიციის წინსვლა-განვითარებაში. ისევე როგორც სამხედრო იურისტების დიდ უმრავლესობას, ვ. პაპიტაშვილსაც ომის დროს შექმნილი სიტუაციის გამო, არაერთხელ, უშუალოდ მიუღია მონაწილეობა ბრძოლებში. და აი, 1961 წელს, ჭარმაგი, ღვაწლმოსილი იურისტი, ჩვიდმეტი საბრძოლო ორდენისა და მედლის კავალერი, თბილისის გარნიზონის სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი, პოლკოვნიკი ვ. პაპიტაშვილი ასაკის გამო პენსიაზე გავიდა. მას შემდეგ მთელ თავის ძალებს იგი ახმარს ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტულ აღზრდას, კეთილსინდისიერად შრომობს ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღმავლობისათვის.

ცხოვრების საინტერესო გზა განვლო ვ. პაპიტაშვილმა. მისი მამა, ვასილ პაპიტაშვილი, რომელიც წარმომობით გორიდან იყო, სიცოცხლის ბოლოს უკვე საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი, მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლისათვის 1912 ხელს ციმბირში გადაასახლეს. იქვე, ქ. ტიუმენში, დაიბადა ვ. პაპიტაშვილი 1918 წელს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ოჯახი თბილისში დაბრუნდა. 1933 წელს ვ. პაპიტაშვილს კომკავშირის რიგებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

იღებენ, 1937 წელს კი იგი უმაღლესი განათლების მისაღებად მოსკოვს მიემგზავრება და შედის მოსკოვის იურიდიულ ინსტიტუტში. აქ მას ლექციებს უკითხავდნენ გამოჩენილი საბჭოთა სნავლული იურისტები პერეტერსკი ,არსენიევი, კლეინმანი და სხვ. 1940 წელს ვ. პაპიტაშვილს კომუნისტური პარტიის რიგებში იღებენ 1941 წელს კი ინიშნება საქართველოს სსრ სამხედრო პროკურორის თანაშემწედ, მაგრამ ომის დაწყების შემდეგ მისი ცხოვრება სულ სხვაგვარად წარიმართა.

ომის დამთავრებისთანავე ვ. პაპიტაშვილი ჯარის ნაწილებთან ერთად იგზავნება ჩრდილოეთ კავკასიაში მთავრობის სპეციალური დავალების შესასრულებლად, რათა ეს რეგიონი გაეწმინდათ შეიარღებული ბანდიტებისაგან და გამოემჟღავნებინათ ის პირები, რომლებიც ომის დროს გერმანელ ფაშისტებთან თანამშრომლობდნენ.

1945-1948 წლებში ვ. პაპიტაშვილი მუშაობს მოსკოვში შინსახკომის ჯარების სამხედრო ტრიბუნალის სამმართველოში ინსპექტორად, უფროს ინსპექტორად, ხოლო შემდეგ კადრების განყოფილების უფროსად. 1948 წელს ინიშნება შორეული აღმოსავლეთის ოლქის შინსახკომის ჯარების ტრიბუნალის თავმჯდომარის მოადგილედ, სადაც 1953 წლამდე მუშაობს. 1953 წელს იგი დაინიშნა კარპატისპირეთის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარის მოადგილედ, მალე კი ბალტიისპირეთის სამხედრო ოლქის ვილნიუსის გარნიზონის სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარედ, საიდანაც გადმოჰყავთ ქ. თბილისში. სამხედრო იუსტიციის ორგანოებში მუშაობის ოცდაათი წლის მანძილზე ვ. პაპიტაშვილი მუშაობდა ან ხანგრძლივი მივლინებით იმყოფებოდა საბჭოთა კავშირის 86 ქალაქში.

სამხედრო მოსამართლის მოვალეობის შესრულებასთან ერთად ვ. პაპიტაშვილი ეწოდა სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას. სხვადასხვა დროს იგი კითხულობდა ლექციებს ხაბაროვსკის იურიდიულ სკოლაში, უშიშროების კომიტეტისა და მილიციის სკოლებში, სადაც მიჰყავდა სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის პროცესის კურსები. მისი სტატიები, მხატვრული ნაწარმოებები ახლაც ხშირად იბეჭდება საკავშირო და რესპუბლიკურ პერიოდიკაში, მათ შორის ჟურნალ „საბჭოთა სამართალში". ვ. პაპიტაშვილი იყო ხაბაროვსკის საქალაქო კომიტეტის წევრი.

1969 წლიდან 1978 წლამდე შრომით საქმიანობას განაგრძობს რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტში, სადაც მუშაობს პასუხსაგებ თანამდებობაზე. ამჟამად იგი რესპუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს კოლეგიის წევრი და საორგანიზაციო სამმართველოს უფროსია.

დღესაც ვ. პაპიტაშვილი სიცოცხლით სავსეა, ამთავრებს ვრცელ მხატვრულ ნაწარმოებს „სასამართლოს დარბაზიდან", რომელშიც ასახულია მართლმსაჯულების ორგანოების რთული საქმიანობა. მკითხველი საზოგადოება მალე გაეცნობა ამ საინტერესო წიგნს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხედრო მოსამართლე და პროკურორი
პ. ე. ბერძენიშვილი

იუსტიციის პოდპოლკოვნიკის პავლე ეპიფანეს ძე ბერძენიშვილის ნამსახურობის ნუსხის ამონაწერი: ოც წელზე მეტია, ომის დაწყების პირველი თვიდანვე არმიაში მსახურობს; აქვს უმაღლესი განათლება; 1940-1941 წლებში — ამიერკავკასიის სამხედრო ტრიბუნალის კომენდანტის თანაშემწე; 1941—1942 წლებში — 151-ე და 406-ე მსროლელი დივიზიების სამხედრო ტრიბუნალის წევრი, 1943 წელი — ამიერკავკასიის სამხედრო ტრიბუნალის კომენდანტი, 1943-1944 — თბილისის გარნიზონის სამხედრო ტრიბუნალის წევრი. 1944—1948 წლები—თბილისის გარნიზონის სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარის მოადგილე; 1949-1954 — მსახურობს პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, უნგრეთში, ბულგარეთში განლაგებულ საბჭოთა ჯარების ჯგუფების სამხედრო ტრიბუნალის წევრად და თავმჯდომარის მოადგილედ; მრავალჯერ არის არჩეული ტრიბუნალების პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნად; დაჯილდოვებულია წითელი ვარსკვლავის ორდენით და 11 საბრძოლო მედლით; ომის დროს და ომისშემდგომ წლებში სარდლობის მიერ არაერთხელ იყო წახალისებული და გამოეცხადა მადლობა.

პ. ე. ბერძენიშვილი ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია სამხედრო იურისტთა თაობისა, რომლებიც დიდი სამამულო ომის წლებში წყვეტდნენ არმიაში დისციპლინისა და კანონიერების განმტკიცების უმნიშვნელოვანეს ამოცანებს. უშუალო სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან ერთად, სამხედრო შენაერთების მეომრების მსარდამხარ მათ არაერთგზის მიუღიათ მონაწილეობა ფიცხელ ბრძოლებში, გამოუჩენიათ სიმამაცე, სამშობლოს უსაზღვრო ერთგულება და თავდადება.

სამხედრო პროკურატურაში სამსახურის უკანასკნელ წლებში იგი ასრულებს მეტად პასუხსაგებ და კეთილშობილურ დავალებას, სათანადო საქმეების და საბუთების გაცნობის შემდეგ წერს დასკვნებს იმ პირთა უდანაშაულობის შესახებ, რომლებიც უსამართლოდ იქნენ მსჯავრდადებულნი და რეპრესირებულნი ომამდელ წლებში. მისი დასკვნებისა და პროტესტების საფუძველზე მთლიანად იქნა რეაბილიტირებული და პატიოსანი კაცის სახელი დაუბრუნდა მრავალ უდანაშაულო ადამიანს, მათ შორის ცნობილ მოღვაწეებს გერმანე მგალობლიშვილს, მალაქია ტოროშელიძეს, ბესარიონ ჭიჭინაძეს, ნიკოლო მიწიშვილს, შალვა ელიავასა და ბევრ სხვას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა ზემოთ მითითებული ნამსახურობის ნუსხის ამონაწერი გადასცეს, პავლე ბერძენიშვილი უკვე ორმოცდაათ წელს იყო მიტანებული. ომგადახდილი, მრავალჭირგამოვლილი ოფიცერი ქვეცნობიერად უკვე ემზადებოდა თადარიგში გასასვლელად და ალბათ ფიქრობდა კიდეც შედარებით იოლი საქმისათვის მოეკიდა ხელი, მაგრამ სულ მალე მისი ცხოვრება სხვაგვარად წარიმართა. პოდპოლკოვნიკი პ. ბერძენიშვილი თადარიგში კი გაუშვეს, მაგრამ ურთულესი უბანი ჩააბარეს — პარტიამ იგი რესპუბლიკის პროკურორის პოსტზე დანიშნა. პ. ბერძენიშვილმა ომამდე სულ ერთი წელი იმუშავა საქართველოს სსრ პროკურატურის ორგანოებში, იყო ლენინის რაიონის პროკურორის თანაშემწე, რაიონის პროკურორი და, აი, ოცი წლის შემდეგ იგი არსებითად ახალი სამუშაოს შესრულებას შეუდგა.

რესპუბლიკის პროკურორის პოსტზე კიდევ უფრო სრულად გამოვლინდა პ. ბერძენიშვილის ნიჭი და უნარი. შრომისმოყვარეობამ, პრინციპულობამ, საქმისათვის თავდადებამ მას უდიდესი პატივისცემა და სიყვარული მოუხვეჭა თანამშრომლებსა და რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკთა შორის. სწორედ იმ წლებში დაიწყო უკომპრომისო ბრძოლა სახელმწიფო ქონების დამტაცებელთა წინააღმდეგ. პ. ბერძენიშვილი, როგორც რესპუბლიკის პროკურორი, სათავეში ედგა და წარმართავდა ადმინისტრაციული ორგანოების მთელ ამ მუშაობას, დღენიადაგ ზრუნავდა სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცებისათვის. მიუხედავად დიდი მოუცლელობისა, იგი, როგორც ომის მონაწილე, დიდ ყურადღებას იჩენდა ომის ინვალიდებისა და მათი ოჯახის წევრებისადმი, აკონტროლებდა თანამდებობის პირებს, რათა არ დაერღვიათ კანონმდებლობა, რომელიც ითვალისწინებდა შეღავათებს ამ ვალმოხდილი ადამიანებისათვის.

1970 წლიდან პ. ბერძენიშვილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იურიდიული განყოფილების გამგეა. აქაც ჩვეული ენერგიით მოღვაწეობს რესპუბლიკის ახალი საკანონმდებლო აქტების მომზადებასა და უკვე გამოცემული კანონების დახვეწა-სრულყოფაში. დიდი ცხოვრებისეული გამოცდილების, უაღრესად მაღალი კვალიფიკაციის ნყალობით იგი დღესაც ნაყოფიერად უძღვება ამ საქმეს.

...შინ გვიან, დაღლილი ბრუნდება, მაგრამ დასვენებას ვერც აქ ახერხებს. ანდა რა მოასვენებს, როცა ბევრი საკითხია გადასაჭრელი, ათობით კითხვას უნდა გაეცეს პასუხი... მაგრამ, როცა კაცს შინ ოჯახური მყუდროება გხვდება, შეუძლებელს შეძლებ, ეს კი მისი მეუღლის, ვაჟიშვილის, რძლისა და, რაც მთავარია, შვილიშვილების დამსახურებაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხედრო გამომძიებელი და პროკურორი—ვ. ჟვანია

მოსამართლეობა თავისთავად საამაყოა ადამიანისათვის და თუ მას თან ახლავს განსწავლულობა და საფუძვლიანი ცოდნა —ეს დიდი სიკეთეა საზოგადოებისათვის.

ვახტანგ ჟვანია თითქმის ოთხი ათეული წელია ერთგულად იღვწის მართლმსაჯულების განხორციელებისათვის, მასთან შეხვედრა და მცირე ხნით საუბარი, მისი განვლილი ცხოვრების გზის ერთი თვალის გადავლებაც უმალ გარწმუნებთ, რომ ვ. ჟვანია საინტერესო პიროვნებაა როგორც მოსამართლე და მეცნიერი.

ჩვენი სამშობლოსათვის დიდი განსაცდელის ჟამს — 1941 წელს დაამთავრა მან სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. ახალბედა იურისტი 1942 წელს არმიაში გაიწვიეს და სამხედრო გამომძიებლად დანიშნეს.

ომის წლებმა გაამძაფრა მასში მოვლენების ფხიზელი აღქმის უნარი, ამ პერიოდმა დიდი პროფესიული და ცხოვრებისეული გამოცდილება შესძინა. 1947-48 წლებში საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი იყო, შემდეგ კი რესპუბლიკის პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების უფროსად გადაიყვანეს. 1950 წელს პოდპოლკოვნიკ ვ. ჟვანიას ამიერკავკასიის სამხედრო პროკურორის თანაშემწედ ნიშნავენ, ხოლო 1957 წლიდან დღემდე მოსამართლეა.

ვ. ჟვანია საოცრად მოუცლელია, წუთობით აქვს გაანგარიშებული ყოველი დღე. თათბირზე, კონფერენციაზე, იურისტთა თავყრილობებზე ხშირადაც ისმის მისი ხმა. ვ. ჟვანია მეტად ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობას ეწევა. 1953 წელს დაიცვა დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. ორი ათეული წელია შეთავსებით მოღვაწეობს პუშკინის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში დოცენტის თანამდებობაზე, სადაც კითხულობს სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების კურსს. მისი ინიციატივით ინსტიტუტის საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტზე ჩამოყალიბდა „სამართალმცოდნეობის“ განყოფილება და სტუდენტები ეუფლებიან მეორე პროფესიას.

ვ. ჟვანია საქართველოს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგადოების ახალგაზრდობის სამართლებრივი აღზრდის სექციის თავმჯდომარეა. სექციის თაოსნობით გამოცემულ იქნა კრებული „სამართლებრივი ცოდნის საფუძვლები“, რომელიც დიდ დახმარებას უწევს საშუალო სკოლის პედაგოგებსა და აღსაზრდელებს საბჭოთა კანონმდებლობის საფუძვლების შესწავლაში.

მან შექმნა ციკლი შრომებისა ქართველ მწერალთა იურიდიული მოღვაწეობისა და აზროვნების შესახებ .ბოლო პერიოდის მისი გატაცებაა სამართლის ფილოსოფიის ერთ-ერთი ფუძემდებლის, გამოჩენილი პოლონელი მეცნიერის ლეონ პეტრაჟიცკის სამეცნიერო მოღვაწეობა. დიდ მუშაობას ეწევა საბჭოთა კანონების პროპაგანდის საქმეში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანიმუშო მოქალაქე და მოღვაწე

საქართველოს პროფესიული ადვოკატურის ერთ-ერთ შესანიშნავ წარმომადგენელს, სანიმუშო მოქალაქესა და მამულიშვილს ბენიამინ (ბენო) ხომერიკს სამოცდაათი წელი შეუსრულდა. თითქმის ნახევარი საუკუნეა იგი ერთგულად, მთელი შემართებით ეწევა ადვოკატის მძიმე ჭაპანს და თავისი წვლილი შეაქვს საბჭოთა მართლმსაჯულების განხორციელებაში. ბ. ხომერიკი შრომისმოყვარეობის, განსწავლულობის, მგზნებარე ორატორული ნიჭის წყალობით. ნამდვილად რომ ამშვენებს ჩვენი რესპუბლიკის ადვოკატთა გაერთიანებას.

საჟურნალო სტატიაში შეუძლებელია ამომწურავად ითქვას, თუ რა დამსახურება მიუძღვის ბენო ხომერიკს საქართველოს ადვოკატთა ახალგაზრდა კადრების აღზრდასა და დაოსტატებაში. მარტოოდენ მისი უშუალო ხელმძღვანელობით ადვოკატის პროფესიას ეზიარა ოცდახუთი სტაჟიორი. და ვინ იცის რაოდენ დროულად ნაშველებია ბენო ხომერიკი თავისი მადლიანი, გამამხნევებელი სიტყვით ადვოკატის პროფესიაზე უკვე ხელჩაქნეულ ახალბედა იურისტს. ხანდაზმული ადვოკატი დღესაც საზოგადოებრივი საქმეებით არის დაკავებული, სათავეში უდგას 26 კომისრის რაიონის იურიდიულ კონსულტაციასთან შექმნილ ადვოკატთა საქმიანობის ხარისხის შემმოწმებელ ჯგუფს, არის რესპუბლიკის ადვოკატთა სააატესტაციო კომისიის წევრი.

ბენო ხომერიკი უპრეტენზიო, გულწრფელი და ტკბილმოუბარი კაცია. იგი მთლიანი პიროვნებაა და მას კარგად ეხერხება თავისი პოზიციის დაცვა არა მარტო სამსჯავრო პროცესზე, არამედ ყველგან.

— ჯერ კიდევ ადვოკატობის დაწყებამდე, — ამბობს ბატონი ბენო, — უკვე მქონდა ჩამოყალიბებული საკუთარი რწმენა მომავალი პროფესიისადმი. მიუტევებელი შეცდომაა წინასწარ უარყოფითად განეწყო დამნაშავე პიროვნების მიმართ. როგორც ბუნებაში არ არის აბსოლუტურად უარყოფითი მოვლენა, ასევე არ არსებობს ისეთი წყალწაღებული დამნაშავე, რომლის ხელახლა აღზრდა და გამოსწორება არ შეიძლებოდეს. საჭიროა მასში ჯანსაღი საწყისის მოძებნა და მისი სწორად განვითარება. დამნაშავეს ბოროტი ზრახვების გარდა აქვს რაღაც სხვაც — მისწრაფება, მოწოდებაც კი, მას უყვარს ვილაც, სურს, რომ უთანა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძნონ, გაუგონ, ირწმუნონ მისი, უწინარესად კი მოითხოვს, რომ მასაც ადამიანურად მოეპყრონ. ვინ მოთვლის, ასეთი მიდგომით რამდენი გზასაცდენილი პირი დაბრუნებია ოჯახს, საზოგადოებას, რამდენი სამართალში მიცემული გაუმართლებია სასამართლოს.

ბენო ხომერიკი დაიბადა ლანჩხუთის რაიონის სოფელ სუფსაში. დაწყებითი განათლება მიიღო მშობლიურ სოფელში. 1923—1926 წლებში სწავლობდა ბათუმის II შრომის სკოლაში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1927 წელს. იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტის სტუდენტად. 1929 წელს იურიდიული ფაკულტეტი გამოეყო უნივერსიტეტს და შეიქმნა საბჭოთა მშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტი. ბენო ხომერიკი აქ აგრძელებს სწავლას და 1931 წელს ამთავრებს ინსტიტუტის კურსს. იმავე წელს მუშაობა დაიწყო სარეწაო კოოპერაციის საბჭოში იურისკონსულტად, 1933 წლიდან უფროსი იურისკონსულტია, მალე კი — იურიდიული ბიუროს გამგე. ამ დროს განეკუთვნება მისი ერთი ინიციატივა, რომლითაც დაინტერესდა აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი. შემონახულია წერილი, რომლითაც ბ. ხომერიკი თხოვნით მიმართავს დიდ მეცნიერს, ისტორიული მიმოხილვის სახით დაეწერა შესავალი ნ. ბახტაძის წიგნისათვის სარეწაო კოოპერაციის საბჭოს შესახებ. აქედან დაედო სათავე დიდ საქმეს — მრავალტომეულის შექმნას, რომელშიც ასახულია ქართული ხელოსნობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია. ბ. ხომერიკის დამსახურება სათანადოდ არის აღნიშნული ლიტერატურაში.

1976 წელს „მეცნიერებამ" ვ. ჯაფარიძის საერთო რედაქციით გამოსცა I ტომი წიგნისა „საქართველოს შინამრეწველობის და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის". ამ შრომის შესავალში რედაქტორი წერს: „ი. ჯავახიშვილი თავის ერთ წერილში პროფ. ვ. დონდუასადმი აღნიშნავს, რომ მისი მუდმივი ოცნება იყო შეეკრიბა ქართველი ხალხის ყოფასა და მეხსიერებაში შემორჩენილი მასალები და ცნობები შინამრეწველობის და წვრილი ხელოსნობის სხვადასხვა დარგის შესასწავლად, რაც ამავე დროს წარმოადგენდა „წარსულის მდიდარი კულტურის უკანასკნელ ანარეკლს".

ამ დიდი საქმისათვის, ბუნებრივია, საჭირო იყო სათანდო სახსრები და მომზადებული მუშაკები, რომლებიც წარმატებით შეძლებდნენ ხალხში მუშაობას.

ამ ოცნების განხორციელება მოხერხდა 1935 წელს, როდესაც წინასწარი მოლაპარაკების შედეგად ივ. ჯავახიშვილმა საქართველოს სარეწაო კოოპერაციის პრეზიდიუმისაგან მიიღო სათანადო სახსრები ექსპედიციისათვის, რომელიც შეკრებდა ზემოაღნიშნულ მასალებს მთელ საქართველოში.

ამ საქმის ერთ-ერთი თაოსანი ბ. ხომერიკი იგონებს:

„1934 წელს „სარეწაო საბჭოს" პრეზიდიუმის თავმჯდომარის და ჩემი ინიციატივით დაისვა საკითხი შინამრეწველობის და წვრილი ხელოსნობის ისტორიის შექმნის შესახებ. პრეზიდიუმმა მოიწონა წინადადება და გადაწყვიტა მოლაპარაკება გაგვემართა პროფ. ი. ჯავახიშვილთან. მალე პრეზიდიუმის სხდომაზე მოვიწვიეთ ბატონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივანე. მასთან შეთანხმებით შედგა ხელშეკრულების პროექტი, რომლითაც პროფ. ი. ჯავახიშვილმა ისტორიის დაწერის მიზნით იტვირთა მომზადება იმ სახით და იმ გეგმით, როგორც ეს მას ჰქონდა ჩაფიქრებული. მასვე შემდგომ უნდა დაეწერა ვრცელი მონოგრაფია. ამასთან დაკავშირებით ბედნიერება მქონდა არაერთხელ შევხვედროდი ბატონ ივანეს როგორც მის ბინაზე, ისე სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1935 წელს გაზაფხულზე და ზაფხულში საქართველოს სხვადასხვა რაიონში გაიგზავნა რამდენიმე ექსპედიცია 25 მეცნიერი მუშაკის და სპეციალისტის შემადგენლობით. ყველანი ვგრძნობდით, რომ საფუძველი ჩაეყარა დიდ, საშვილიშვილო საქმეს. პირადად მე ბედნიერად ვგრძნობდი თავს იმით, რომ საშუალება მქონდა არაერთხელ შევხვედროდი ბატონ ივანეს, რომლის დიდი თაყვანისმცემელიც ვიყავი. ერთ თავის წერილში ბატონი ივანე გვწერდა, მოხარული ვარ, ჩემი მუდმივი ნატვრა და ოცნება ამისრულდაო. იმავე წერილში ბატონი ივანე გვპირდებოდა, რომ ამ საქმის წამომწყებთ და ინიციატორებს, მათ ღვაწლსა და დამსახურებას იგი მოიხსენიებდა „საქართველოს შინამრეწველობის და წვრილი ხელოსნობის ისტორიის წინასიტყვაობაში“.

ბ. ხომერიკი 1945-1949 წლებში იყო ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის წევრი. მას მრავალჯერ აქვს მიღებული სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა რესპუბლიკური კომიტეტის საპატიო სიგელები, არაერთხელ არის წახალისებული სანიმუშო სამსახურის და მოსახლეობაში სამართლის პროპაგანდის დარგში გაწეული მუშაობისათვის.

ხანდაზმული ადვოკატი დღესაც ძველებურად მხნედ გრძნობს თავს და ენერგიულად ემსახურება თავის საყვარელ საქმეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ პროკურატურის კოლეგიაზე

თბილისის ტრანსპორტის პროკურორის ანგარიში

საქართველოს სსრ პროკურატურის კოლეგიამ განიხილა თბილისის ტრანსპორტის პროკურორის ვ. ასიეშვილის ანგარიში — „ტრანსპორტზე სამართალდარღვევებთან ბრძოლის ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 2 აგვისტოსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1979 წლის 17 იანვრის დადგენილებათა შესაბამისად".

ანგარიშის განხილვაში მონაწილეობდნენ: თბილისის ტრანსპორტის პროკურორის თანაშემწე ი. მიქაუტაძე, რესპუბლიკის პროკურორის პირველი მოადგილე ვ. ჭილაშვილი, რესპუბლიკის პროკურორის მოადგილეები ვ. იოსელიანი, ვ. შარაშენიძე.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულებმა აღნიშნეს, რომ თბილისის ტრანსპორტის პროკურატურამ, რომელიც ხელმძღვანელობს სსრ კავშირის გენერალური პროკურორის 1977 წლის № 9 ბრძანებით „ტრანსპორტის პროკურატურების მუშაობის შესახებ", უკანასკნელ სამ წელიწადში სამოქალაქო ავიაციის რესპუბლიკურ სამმართველოსთან და ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილებასთან ერთად განახორციელა კონკრეტული ღონისძიებები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 2 აგვისტოს და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1979 წლის 17 იანვრის დადგენილებათა შესრულების უზრუნველსაყოფად, დამნაშავეობასთან ბრძოლის შემდგომი გაძლიერებისა და სამართალდარღვევების თავიდან აცილების მიზნით.

საერთო ზედამხედველობის ხაზით შემოწმდა, თუ როგორ სრულდება მოძრაობის, რკინიგზის ტრანსპორტის ექსპლოატაციის, ფრენის წესები და უსაფრთხოების პირობები, მოქმედი კანონმდებლობა ტრანსპორტზე სახალხო-სამეურნეო ტვირთის დაცვის და დატაცებებთან ბრძოლის, სახელმწიფოსათვის ქურდობით, დანაკლისებით, ტვირთის გაფუჭებით, უყაირათობით, გაფლანგვით, სატრანსპორტო საშუალებათა დაზიანებითა და მოცდენით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების შესახებ. სამართალდარღვევების ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების აღმოფხვრის მიზნით ტრანსპორტის პროკურორის მიერ გზის სამმართველოს ხელმძღვანელობის სახელზე შეტანილია 15 წარდგინება, აღძრულია 6 სისხლის სამართლის საქმე.

განხორციელებული ღონისძიების შედეგად განმტკიცდა კანონიერება, ამაღლდა შრომის დისციპლინის დონე საჰაერო ტრანსპორტზე. შემცირდა სატრანსპორტო შემთხვევები, დიდი ყურადღება ეთმობა რკინიგზის ტრანსპორტის ექსპლოატაციისა და უსაფრთხო მოძრაობის წესების დაცვას.

ტრანსპორტის პროკურორის მიერ საერთო ზედამხედველობის ხაზით მოწყობილ შემოწმებებით გამოვლინდა იმის არაერთი ფაქტი, რომ ტვირთის დატაცების აღმოჩენისას რკინიგზის სადგურის უფროსები არ ადგენენ კომერციულ აქტებს, ხოლო თუ ადგენენ, არ გზავნიან საგამოძიებო ორგანოებში. დადგენილია, რომ ტვირთს იტაცებდნენ თვით ტრანსპორტის მუშაკები. ასეთი შემთხვევები მოხდა სადგურებში: თბილისის დამხარისხებელი, თბილისის საკვანძო, თბილისის სატვირთო და სხვა. გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრის მიზნით შეტანილია შესაბამისი წარდგინებები, მაგრამ მიღებული ზომები ჯერ კიდევ ნაკლებ ეფექტიანია. ამით აიხნება, რომ ტვირთის დაუცველად გადაზიდვისას ქურდობითა და დაზიანებით მიყენებული მატერიალური ზარალი მნიშვნელოვნად გაიზარდა.

კოლეგიაზე ხაზგასმით ითქვა, რომ კანონიერების განმტკიცების მიუხედავად ტრანსპორტზე მაინც ხშირია სამართალდარღვევები. ბევრია მძიმე დანაშაულის, მათ შორის მკვლელობის, გაუპატიურების, ძარცვის, ხულიგნობის შემთხვევები. ტრანსპორტის სამართალდამცველი ორგანოების გამაფრთხილებელ-პროფილაქტიკური საქმიანობა ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს მთლიანად წაყენებულ მოთხოვნებს.

სერიოზული ნაკლოვანებებია საგამოძიებო მუშაობაშიც. გამომძიებლები ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფენ გამოძიების სათანადო ხარისხს, რის გამოც მილიციის სახაზო განყოფილებების გამომძიებლებს დამატებითი გამოძიებისათვის დაუბრუნდა 10 საქმე, ტრანსპორტის პროკურატურის გამომძიებლებს — 2 საქმე. გამოძიება ზოგიერთი საქმის გამო გაუმართლებლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიანურდება. ყოველი მესამე საქმე პროკურატურას დამთავრებული აქვს საგამოძიებო ვადის დარღვევით. ტრანსპორტის მილიციის გამომძიებლები ყოველ მეხუთე საქმეს ვადის დარღვევით ამთავრებენ, აღმოფხვრილი არ არის მოქალაქეთა უსაფუძვლოდ დაპატიმრების ფაქტები. ტრანსპორტის მილიციის მუშაკების მხრივ ადგილი ჰქონდა დანაშაულის აღრიცხვის მიჩქმალვის შემთხვევებს.

კოლეგიაზე ითქვა, რომ არის სხვა ნაკლოვანებებიც, კერძოდ ეს შეეხება სამართალდარღვევებთან ბრძოლისა და მართლწესრიგის დაცვის მიზნით მუშაობის ორგანიზაციას, რასაც თბილისის ტრანსპორტის პროკურორის განსაკუთრებული ყურადღება მიექცა. კოლეგიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში დასახულია კონკრეტული ღონისძიებები. რკინიგზისა და საჰაერო ტრანსპორტზე სამართალდღვევებთან ბრძოლისადმი და კანონიერების განმტკიცებისადმი საპროკურორო ზედამხედველობის გახაძლიერებლად.

ტრანსპორტის პროკურორის ყურადღება მიექცა იმის აუცილებლობას, რომ საჭიროა აწაღლდეს პროკურატურის როლი. ტრანსპორტის სამართალდაცვითი ორგანოების მოქმედების კოორდინაციაში, გაიზარდოს საწარმოებისა და ორგანიზაციების თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობა იმისათვის, თუ როგორ იცავენ სახელმწიფო დისციპლინას მოძრავი შემადგენლობის გამოყენებისას. ტრანსპორტის პროკურორმა უნდა განახორციელოს მუდმივი ზედამხედველობა იმისადმი, თუ როგორ იცავენ კანონებს ტრანსპორტის შინაგან საქმეთა ორგანოები ტვირთის დატაცებისა და სხვა სამართალდარღვევების შესახებ განცხადებებისა და შეტყობინებების განხილვის დროს, აგრეთვე დროულად აღიძვრება თუ არა სისხლის სამართლის საქმეები და რამდენად კვალიფიციურად წარმოებს მათი გამოძიება, სრულად და ყოველმხრივ თუ ავლენენ დანაშაულის ხელშემწყობ მიზეზებსა და პირობებს. ზედამხედველობის განხორციელებისას საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სახელმწიფოსათვის დატაცებით, უყაირათობით, სახელმწიფო დისციპლინის დარღვევით მიყენებული ნატერიალური ზარალის სრულ ანაზღაურებას. ტრანსპორტის პროკურატურას დაევალა გააძლიეროს სამართლებრივი პროპაგანდა.

ამ ღონისძიებათა განხორციელება ხელს შეუწყობს იმ ამოცანების შესრულებს, რომლებიც დასახულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 2 აგვისტოს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1979 წლის 17 იანვრის, აგრეთვე პარტიისა და მთავრობის მიერ ამ ოტა ხნის წინათ მიღებული დადგენილებებით რკინიგზისა და საჰაერო ტრანსპორტზე სახალხო-სამეურნეო ტვირთის დაცვის უზრუნველყოფის და დატაცებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲠᲔᲖᲘᲛᲔ

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მორიგი პლენუმი, რომელსაც თავმჯდომარეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე პ.ა. კარანაძე.

მოხსენება „რესპუბლიკის სახალხო სასამართლოებისა და უმაღლესი სასამართლოს ამოცანები „მართლწესრიგის დაცვისათვის მუშაობის გაუმჯობესებისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მიხედვით“ გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ პ.ა. კარანაძემ.

რესპუბლიკის სახალხო სასამართლოებმა, თქვა მომხსენებელმა, სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებების, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის დებულებების შესაბამისად, სათანადო მუშაობა გასწიეს მართლმსაჯულების განხორციელების, სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების, სახელმწიფო ინტერესებისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვისათვის. სასამართლოები ბოლო ხანს ნაკლებ შეცდომებს უშვებენ საქმეთა განხილვისა და განაჩენების დადგენისას, სწორად იყენებენ მოქმედ კანონმდებლობას. ამის შედეგად მნიშვნელოვნად ამაღლდა სასამართლოს საქმიანობის გამფრთხილებელი ზემოქმედება.

მაგრამ რესპუბლიკის სახალხო სასამარლოები ჯერ კიდევ სრულად ვერ აკმაყოფილებენ გაზრდილ მოთხოვნებს. მათს მუშაობაში შეიმჩნევა სერიოზული ხარვეზები და ნაკლოვანებები, რის გამოც სასამართლოების წინაშე მართლწესრიგის განმტკიცების ხაზით მდგომი ამოცანები ყოველთვის ეფექტიანად ვერ სრულდება, დაბალია სასამართლო პროცესების ხარისხი და კულტურა. მთლიანად არ არის აღმოფხვრილი გაუმართლებელი, მსუბუქი სასჯელების დანიშვნის შემთხვევები იმ პირთა მიმართ, რომლებმაც მძიმე დანაშაული ჩაიდინეს, წარსულში არაერთხელ იყვნენ ნასამართლევი და ჯიუტად არ სურთ დაადგნენ გამოსწორების გზას, კვლავ ეწევიან ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას. სასამართლო პრაქტიკაში არის მოქალაქეთა უსაფუძვლოდ მსჯავრდადების შემთხვევებიც და იმის ფაქტებიც, როდესაც ისინი დაუსაბუთებლად ათავისუფლებენ თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან შრომაში სავალდებულო ჩაბმით მსჯავრდებულებს, საქმიდან კი არ ჩანს მათი შრომისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება და სანიმუშო ქცევა, გარკვეული არ არის, მტკიცედ დაადგნენ თუ არა ისინი გამოსწორების გზას.

კონკრეტულ საქმეთა განხილვის დროს, განაგრძო მომხსენებელმა, სასამართლოები ყოველთვის სრულყოფილად და ამომწურავად ვერ იკვლევენ დანაშაულის გარემოებებს, იმ მიზეზებსა და პირობებს, რომლებმაც განაპირობა მისი ჩადენა. ჯეროვან მომთხოვნელობას არ იჩენენ წინასწარი გამოძიებების ხარისხისადმი, არ იღებენ ზომებს გამოძიების პროცესში დაშვებული შეცდომებისა და ხარვეზების გამოსასწორებლად. დამაკმაყოფილებლად არ ხდება დატაცებით, უყაირათობით, გაფლანგვით, სახელმწიფოს მოტყუებით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურება, სასამართლოები ყოველთვის ზუსტად არ ასრულებენ კანონის იმ მოთხოვნებს, რომელთა მიზანია შრომითი და საწარმოო დისციპლინის დარღვევების, მოქალაქეთა ანტისაზოგადოებრივი ქცევის, ბავშვების აღზრდის საქმეში მშობელთა მიერ თავიანთი მოვალეობების შეუსრულებლობის შემთხვევების აღმოფხვრა.

დამნაშავეობის თავიდან აცილებისა და მისი პროფილაქტიკის ხაზით სასამართლოების საქმიანობაში სერიოზული ნაკლოვანებებია. არ არის მიღწეული ამ დარგში სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებთან ჯეროვანი კოორდინაცია, გასაუმჯობესებელია სასამართლოების კავშირურთიერთობა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, მშრომელთა კოლექტივებთან.

დანაშაულის ხელშემწყობი მიზეზების აღკვეთისა და თავიდან აცილების მიზნით სასამართლოები ფართოდ ვერ იყენებენ ისეთ ნაცად პროცესუალურ საშუალებას, როგორიც არის კერძო განჩინება, რომელიც უნდა იყოს ქმედითი, მიზნობრივი და ხელს უწყობდეს დანაშაულის ხელშემწყობი კონკრეტული მიზეზებისა და პირობების აღმოფხვრას.

შემდეგ პლენუმმა მოისმინა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის ვ. ედიშერაშვილის მოხსენება „სასამართლოების მიერ სასჯელის დანიშვნის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგადი საწყისების გამოყენების პრაქტიკის თაობაზე" „სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1979 წლის 29 ივნისის № 3 დადგენილების შესრულების ღონისძიების შესახებ". თანამოსენება გაიკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრმა ა. ხონიაკინამ.

მართლმსაჯულების დონის ამაღლების მიზნით, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1979 წლის 29 ივნისის № 3 დადგენილების შესაბამისად, თქვა მომხსენებელმა, რესპუბლიკის სასამართლოებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს. სასამართლო პრაქტიკის შესწავლა და განზოგადება მოწმობს, რომ სასამართლოები დიდ ყურადღებას უთმობენ სასჯელის სწორ განსაზღვრას.

მიუხედავად ამისა, ზოგიერთი სასამართლოს მუშაობაში არის ნაკლოვანებები. შეიმჩნევა, რომ ისინი არ ასრულებენ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 37-ე მუხლის მოთხოვნას.

პრაქტიკაში არის იმის ფაქტები, როდესაც მძიმე დანაშაულის ჩამდენ პირებს, რეციდივისტებს, რომელთაც არ სურთ გამოსწორების გზაზე დადგომა, სასამართლოები უსაფუძვლოდ უნიშნავენ მსუბუქ სასჯელებს, ხოლო იმ დანაშაულთა საქმეების გამო, რომლებიც არ შეიცავს დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას და რომელთა გამო თავისუფლების აღკვეთასთან ერთად კანონი ადგენს არასაპატიმრო სასჯელებს, დამნაშავეებს ზოგჯერ დაუსაბუთებლად უფარდებენ თავისუფლების აღკვეთას.

საშიშ დამნაშავეებს, ჩვეულებრივ, ენიშნებათ თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ ცალკეულ საქმეთა გამო მაინც არის შეუსაბამოდ ლმობიერი სასჯელების გამოტანის შემთხვევები. ზოგიერთი სასამართლო შეღავათებს აძლევენ ისეთი დანაშაულის დროს, როგორიც არის სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დიდი ოდენობით და განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცება, ბოროტი ხულიგნობა, დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი სპეკულაცია და სხვ. ამგვარი დარღვევები შეიმჩნევა ქალაქების რუსთავის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, ზუგდიდის, ცხინვალის, ფოთის, აგრეთვე ცხაკაიას, ზესტაფონის, ცხრეთის, ამბროლაურის და ზოგიერთ სხვა რაიონის სახალხო სასამართლოებში.

განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი იმ გარემოებას, თქვა მომხსენებელმა, რომ ჯერ კიდევ ინიშნება ჩადენილ დანაშაულთან და მსჯავრდადებულის პიროვნებასთან შეუსაბამო, მკაცრი სასჯელები. შარშან გასაჩივრებული 148 საქმიდან ამ მიზეზით განაჩენი 66 პირს შეეცვალა. საკმაოდ დიდი აგრეთვე იმ მსჯავრდადებულთა რიცხვი, რომელთაც, მართალია, არ მიუსაჯეს თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ სასამართლოებმა ისინი არ გადასცეს მშრომელთა კოლექტივებს მათი გამოსწორებისა და შემდგომი აღზრდისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ უმაღლესმა სასამართლოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლომ და თბილისის საქალაქო სასამართლომ კიდევ უფრო უნდა გააძლიერონ ზედამხედველობა სახალხო სასამართლოებისადმი სასჯელის დანიშვნის დროს სისხლის სამართლის კანონის ყველა მოთხოვნათა სწორი გამოყენებისა და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1979 წლის 29 ივნისის № 3 დადგენილების შესასრულებლად, გააანალიზონ სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო და ზედამხედველობის წესით განხილვის დროს გამოვლინებული ყველა დარღვევა სასჯელის დანიშვნის თაობაზე და მიიღონ ზომები ასეთი დარღვევების აღსაკვეთად.

მოხსენებათა გამო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე გ. დევდარიანი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი ე. ხითარიშვილი, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე მ. არღუნი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი ი. ჟორდანია, აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე დ. თამაზაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი თ. გერსამია, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ვ. ფარასტაევი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი დ. მახარაძე, საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების უფროსი უ. კოზიაშვილი.

პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილებები.

პლენუმმა განიხილა აგრეთვე პროტესტები სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის კონკრეტულ საქმეთა გამო.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ პროკურორის მოვალეობის შემსრულებელი ვ. იოსელიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისა და სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდის დეკადა ქუთაისში

ჩვენს ქვეყანაში თანმიმდევრულად ხორციელდება სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების კურსი, ღონისძიებები, რომლებიც ხელს უწყობს კანონმდებლობის სრულყოფას, სამართალდამცველი ორგანოების საქმიანობის გაუმჯობესებას, საზოგადოებრიობის როლის ამაღლებას მართლწესრიგის დაცვაში.

მართლწესრიგის დაცვისათვის მუშაობის გაუმჯობესებისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საკითხებს მიეძღვნა სკკპ ცენტრალური კომიტეტი 1979 წლის 2 აგვისტოს დადგენილება, რომელმაც დიდი ამოცანები დაუსახა ადმინისტრაციულ ორგანოებს და მთელ საზოგადოებრიობას. მათი განხორციელება ხელს შეუწყობს სამართალდარღვევათა პროფილაქტიკას, დანაშაულებრივ და სხვა ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას, ყველა მოქალაქისა და თანამდებობის პირის მიერ საბჭოთა კანონების განუხრელ დაცვას. ამ უმნიშვნელოვანეს საპროგრამო დოკუმენტში ნათქვამია, რომ საჭიროა დანაშაულობათა წინააღმდეგ შემდგომი გააქტიურება, რადგან ამ საქმეში ჯერ კიდევ სრულად არ არის გამოყენებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი ზემოქმედებისა და აღზრდის საშუალებანი. ხშირად ამ საქმიანობას აკლია მიზანდასახულობა. კომპლექსური მიდგომა, პარტიული, სახელმწიფო, სამეურნეო, კომკავშირული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთსულოვანი მოქმედება, ამ მიზანს ემსახურებოდა საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისა და სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდის დეკადა, რომელიც გაიმართა საქართველოს კომპარტიის ქუთაისის ორგანიზაციის, ლენინის რაიონული კომიტეტის ინიციატივით და რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს სსრ პროკურატურის, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს და გაზეთ „ქუთაისის“ რედაქციის თანამშრომლები.

სამართალდარღვევათა აღკვეთის საქმეში საზოგადოებრიობის ბრძოლის გაძლიერება, სოციალისტური მართლწესრიგის სწავლებისა და დაცვის პროპაგანდა, არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულობათა მიზეზების აღმოფხვრის, მათი აღზრდისათვის ბრძოლის ახალი გზებისა და ფორმების გამოძებნა, პროფილაქტიკური მუშაობა, კანონის დამცველთა მორალური წახალისება და მათი ავტორიტეტის გაზრდა — აი ზოგიერთი მიზანი, რომლებიც დეკადის პროგრამაში აისახა.

დეკადას წინ უძღოდა დიდი მოსამზადებელი მუშაობა. გააანალიზდა რაიონის საწარმოო და სასწავლო დაწესებულებებში შექმნილი მდგომარეობა, გამოვლენილ სამართალდარღვევათა ხასიათი, მათი წარმომშობი მიზეზები, შემუშავდა რეკომენდაციები და ოპერატიული მოქმედების ფორმები, რომლებიც რაიონის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული აქტივის წევრებს დაურიგდათ. მოსახლეობა ფართოდ იყო ინფორმირებული სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდის დეკადის მიზნებსა და ამოცანებზე.

დეკადა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ქუთაისის ლენინის რაიკომის პირველმა მდივანმა მ. ფანუაშვილმა. მოხსენებები გააკეთეს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ შ. გორგოძემ, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სამართლებრივი პროპაგანდის სამმართველოს უფროსმა ა. გუდალაშვილმა და რესპუბლიკის პროკურატურის განყოფილების უფროსის მოადგილემ ლ. ქუთათელაძემ. მომხსენებლებმა ვრცლად მიმოიხილეს რესპუბლიკასა და ქალაქ ქუთაისში საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის გაწეული წარმატებები. აღინიშნა, რომ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და ადმინისტრაციული ორგანოები უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ საზოგადოებრივი წესრიგისა და საბჭოთა კანონიერების განმტკიცებას, შესამჩნევად გაიზარდა ამ საქმეში საზოგადოებრიობის აქტიურობა.

მაგრამ იმის გამო, რომ ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია სოციალისტური კანონიერების განხორციელებაში, მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში, მათ შორის ქ. ქუთაისშიც, დამნაშავეობის დონე კვლავ მაღალია.

მომხსენებლებმა ილუსტრაციად დამნაშავეობის კონკრეტულ ფაქტებზე, რომლებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაც ხალხის, პატიოსანი მშრომელების კანონიერი აღშფოთება გამოიწვია, სამართალდარღვევების თავიდან აცილება და პროფილაქტიკა, თქვეს მომხსენებლებმა, ადმინისტრაციული ორგანოების გენერალური ხაზი უნდა იყოს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ორატორები შეეხნენ ჩვენს რესპუბლიკაში ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის აქტუალურ საკითხებს. დღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ადმინისტრაციული ორგანოებისგან მოითხოვს მუშაობის ძირფესვიან გარდაქმნას. მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს დამნაშავეობის თავიდან აცილებას და პროფილაქტიკას. სამწუხაროდ, ეს მუშაობა ზოგჯერ მიმდინარეობს არაგეგმაზომიერად, ეპიზოდურად, საფუძვლიანი ანალიზისა და გააზრებული სისტემის, გადამწყვეტ მიმართულებათა მკვეთრად განსაზღვრის გარეშე.

საზოგადოებრიობა გადაჭრით მოითხოვს იმ მიზეზების აღმოფხვრას, რომლებიც განაპირობებს სამართალდარღვევებს. დეკადის დღეებში გამოყენებული იყო სამართლებრივი აღზრდის ისეთი ნაცადი ღონისძიებანი, როგორიც არის კითხვა-პასუხის საღამოები საბჭოთა კანონმდებლობის საკითხებზე, დისპუტები, ვიქტორინები, შეხვედრები ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკებთან, ამხანაგური სასამართლოებისა და მათი წევრების თათბირ-სემინარი, გაიმართა საბჭოთა სამართლის საფუძვლების მასწავლებელთა რაიონული შეკრება და სხვა.

სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისა და მათი პროფილაქტიკის საკითხებს მიეძღვნა ადგილობრივი მრეწველობის კულტურის სახლში გამართული ხალხური რაზმელთა რაიონული შეკრება თემაზე — „სამართალდარღვევათა აღკვეთა-აცილება და პროფილაქტიკის საქმეში ხალხური რაზმელთა მონაწილეობა“, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების და საყოფაცხოვრებო მომსახურეობის გაუმჯობესების მიზნით გამართულმა თემატურმა საღამომ კი ჩაიარა დევიზით: „მომსახურეობის მაღალი კულტურისა და კანონიერების დაცვისთვის“. აქ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პროფილაქტიკური მუშაობის ისეთ დიდმნიშვნელოვან მიმართულებას, როგორიც არის ბრძოლა მუქთახორობის წინააღმდეგ. საუბარი შეეხო აგრეთვე ლოთობას, რაც დანაშაულის ჩადენის ერთ-ერთი პირობაა საჯარო და საზოგადოებრივი კვების ობიექტებზე ვაჭრობის წესების დამრღვევთა, კინოთეატრებსა და საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებში საეჭვო პირთა გამოვლენას, საყოფაცხოვრებო ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულობებს, რასაც იწვევს ოჯახური, მეზობლური და სხვა საყოფაცხოვრებო კონფლიქტებისადმი ინერტული დამოკიდებულება და სხვა.

დეკადის პროგრამის თანახმად, დიდი ყურადღება დაეთმო არასრულწლოვანთა შორის დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საკითხებს. ამ მიზნით ქალაქის მეთორმეტე საშუალო სკოლის საქტო დარბაზში მოეწყო კითხვა-პასუხის საღამო თემაზე „ახალგაზრდობა და კანონი“. აქ საინტერესო საუბარი გაიმართა ისეთ საკითხებზე, როგორიც არის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, დანაშაულობათა სახეები და საზოგადოებრიობისთვის საშიში ქმედობანი, აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებანი, იმაზე, თუ როგორ ვიმუშავოთ ძნელად აღსაზრდელ არასრულწლოვნებთან და სხვა .

კომკავშირის რაიონულ კომიტეტში მოეწყო შეხვედრა ძნელადაღსაზრდელ მოსწავლეებთან და მათი ინტერესების გათვალისწინებით არასრულწლოვანებს დაენიშნათ საზოგადოებრივი აღმზრდელები. ამავე პერიოდში შინაგან საქმეთა ლენინის რაიონულმა განყოფილებამ და სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა აქტიური მონაწილეობით მოაწყვეს მრავალმხრივი პროფილაქტიკურ-ოპერატიული ღონისძიებები.

დეკადის პერიოდში რაიონში ყოველდღიურად მორიგეობდა 160 აქტივისტი. ისინი ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკებთან ერთად აწყობდნენ პროფილაქტიკურ ღონისძიებებს, რეიდებს, ავლენდნენ დროებით უმუშევარ და დაუსაქმებელ პირებს.

კომკავშირის რაიონული კომიტეტის ოპერატიული შტაბი ხელმძღვანელობდა რაიონის ტერიტორიაზე მართლწესრიგის საყრდენ პუნქტებთან მომუშავე რაზმეულებს და უბნის ინსპექტორებთან ერთად აწყობდა რეიდებს კინოთეატრებში გაკვეთილების თუ ლექციების გამცდენი მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდების დასადგენად, სკოლებსა და სასწავლებლებში არასაპატიო მიზეზით გამცდენთა გამოსავლენად, თავისუფლების აღკვეთის ადგილები-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან დაბრუნებული ახალგაზრდების შრომითი საქმიანობის შესასწავლებლად.

დეკადის აღმზრდელობითი მხარე კიდევ უფრო გაამდიდრა შეხვედრებმა, რომლებიც მოეწყო უბნის ინსპექტორებთან, შინაგან საქმეთა ორგანოების ლვაწლმოსილ მუშაკებთან, ვეტერანებთან და მილიციის ორგანოებში კომკავშირული საგზურებით წასულ ახალგაზრდობასთან.

საინტერესოდ ჩაიარა თემატურმა საღამომ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. მისი დევიზი იყო „დამნაშავეთა ფეხქვეშ მიწა უნდა იწვოდეს". მისმა მონაწილეებმა ღია წერილით მიმართეს რაიონის საშუალო და უმაღლესი, აგრეთვე ტექნიკური, პროფტექნიკური სასწავლებლების სტუდენტ და მოსწავლე ახალგაზრდობას, პედაგოგ მასწავლებლებს, აღმზრდელებს, მშობლებს, ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკებს.

დეკადის პერიოდში კინოთეატრები და დარბაზები მთლიანად დაეთმო მილიციის მუშაკთა ცხოვრების ამსახველ და სამართლებრივი ხასიათის მქონე ფილმებს. რაიონში გაიშალა ლექციური პროპაგანდა. საინტერესო საუბრებში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის მოწინავე ადამიანები, იურისტები ვ. გულუა, გ. გაბრიაძე, რ. ჯინჯოლია, რ. ლაღიძე, ა. ზამბახიძე, ს. მაღლაფერიძე, ლ. ფარქოსაძე, ნ. გიორგაძე, ა. გოგოლაშვილი, გ. ცხელაშვილი და სხვები.

დეკადის დღეებში იშვა ბევრი ახალი წინადადება და ინიციატივა, რომელთა პრაქტიკული ხორცშესხმა ხელს შეუწყობს სოციალისტური მართლწესრიგის განმტკიცებას.

ზონალური მეთოდური სემინარი

საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურატურამ ქ. ბათუმში მოაწყო პროკურატურის მუშაკების ზონალური სასწავლო მეთოდური სემინარი თემაზე „სამშენებლო ორგანიზაციებში სოციალისტური საკუთრების დაცვისადმი საპროკურორო ზედამხედველობის გაძლიერება, დატაცების საქმეთა გამოძიების მეთოდიკა".

სემინარის მუშაობაში მონაწილეობდენ აჭარის ასსრ, აფხაზეთის ასსრ, ქ. ქ. ქუთაისის, ფოთის, აგრეთვე წალენჯიხის, მახარაძის, სამტრედიის, ჩოხატაურის და ლანჩხუთის რაიპროკურატურის მუშაკები. მოხსენებებით გამოვიდნენ: საქართველოს სსრ რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს უფროსი ს. ყიფშიანი და საერთო ზედამხედველობის განყოფილების უფროსი ზ. კვირკველია. სემინარის მონაწილეებს პრაქტიკული გამოცდილება გაუზიარეს ქ. ბათუმის პროკურორის მოადგილემ ვ. კლიუკვინაკემ, აჭარის ასსრ პროკურორის უფროსმა თანაშემწემ მ. ჭაჯაიამ, ლანჩხუთის რაიონის პროკურორმა შ. შავერზაშვილმა, ქ. ქუთაისის პროკურორის თანაშემწემ ბ. მიქაძემ, ქ. სოხუმის პროკურატურის უფროსმა გამომძიებელმა ვ. ფელეგოვამ, შუახევის რაიონის პროკურორმა ს. ცაგარეიშვილმა და სამტრედიის რაიონის პროკურატურის გამომძიებელმა კ. ლორიამ.

სემინარის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სსრ პროკურორის პირველმა მოადგილემ ვ. ნ. ფილაშვილმა.

ვ. სიმონიშვილი,
საქართველოს სსრ პროკურატურის პროკურორ-კრიმინალისტი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი.

ველდმ ღირსეულთ

რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობის კრებულის გამოსაცემად გაწეული მუშაობისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

ბურჭულაძე ირსა ირაკლის ასული — მოქმედი კანონმდებლობის კრებულის მოსამზადებელი რედაქციის გამგე; ბრელიძე ლუბა დომენტის ასული — უფროსი რედაქტორი; გურგენიძე ლიისო თამაზის ასული — უფროსი რედაქტორი; კოხრეიძე ოლდა დავითის ასული — უფროსი რედაქტორი; კუსრაშვილი ლალი ბორისის ასული — უფროსი რედაქტორი; მამულაშვილი თეერ ვალერიანის ასული — უფროსი რედაქტორი; ნიკურაძე ლეილა ივანეს ასული — კანონპროექტების მომზადების, კანონმდებლობის სისტემატიზაციისა და კოდიფიკაციის სამმართველოს უფროსი; რევაზიშვილი ივეტა ივანეს ასული — უფროსი რედაქტორი; შუშანიშვილი ალექსანდრე ამირანის ძე — საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი; ჯიქია საველი მიხეილის ძე — უფროსი რედაქტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ. ვ. წერეთელი

საქართველმა საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა, გარდაიცვალა ოცდათინ ვასრლის ასული წერეთელი — თვალსაჩინო საბჭოთა მეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის სექტორის გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. მისი სახით ქართველმა საზოგადოებამ დაკარგა დიდი შემოქმედებით ძალის მკვლევარი, დაუცხრომელი საზოგადო მოღვაწე, ახალგაზრდობის გულისხმიერი აღმზრდელი.

თ. ვ. წერეთელი დაიბადა 1903 წელს ჭიათურის ზონის სოფელ ცხრუკვეთში და იზრდებოდა ცნობილი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის ვასილ წერეთლის ოჯახში. ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ იგი შედის თბილისის უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტის იურიდიულ განყოფილებაზე. საფუძვლიან იურიდიულ-ფილოსოფიურ განათლებას, სამართლის სხვადასხვა დარგის ორმა ცოდნას იგი ფაროოდ იყენებდა თავის მეცნიერულ და პედაგოგიურ მოღვაწეობაში.

თ. ვ. წერეთლის მეცნიერული ინტერესების მთავარი სფერო გახდა სისხლის სამართალი. სწორედ ამ დარგში შექმნა მან ფუნდამენტური ნაშრომი „მიზეზობრივი კავშირი სისხლის სამართალში", რომელმაც ფაროოდ გაუთქვა სახელი ქართულ სამართლმეცოდნეობას როგორც საბჭოთა კავშირში, ისე მის ფარელებს გარეთ. საქართველოს სამართლის მეცნიერების განვითარებაში მნიშვნელოვანი მოვლენაა მისი მონოგრაფია „მოძღვრება დანაშაულის შესახებ". თ. ვ. წერეთლის მეცნიერულ ნაშრომებზე იზრდებოდა მეცნიერი იურისტების ახალი თაობა.

საბჭოთა და საზღვარგარეთის კანონმდებლობის ზედმიწევნით ცოდნა, იურიდიული ანალიზის მეთოდების ფლობა, სასამართლო პრაქტიკის არსში ღრმად ჩაწვდომისა და მაღალ მეცნიერულ დონეზე მისი განზოგადების უანარი საშუალებას აძლევდა თ. ვ. წერეთელს საფუძვლიანად დაეკავშირებინა თავისი სამართლებრივი შეხედულებანი პრაქტიკულ დასკვნებთან. თ. ვ. წერეთელი შეუნელებელ ინტერესს იჩენდა თანამედროვეობის მწვავე სამართლებრივი პრობლემისადმი. იგი მონაწილეობდა იურისტთა ბევრ საერთაშორისო ფორუმში. 1975 წელს მეთაურობდა საბჭოთა დელეგაციას სისხლის სამართლისადმი მიძღვნილ ვარშავა-პოპოვის საერთაშორისო სიმპოზიუმზე.

დიდია თ. ვ. წერეთლის დამსახურება სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ორგანიზაციაშიც 1950-1952 წლებში იგი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაულტეტის დეკანი. ხოლო 1957 წლიდან სათავეში ედგა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის სექტორს, რომელიც მისი ხელმძღვანელობით რესპუბლიკაში სამეცნიერო-სამართლებრივი კვლევის ცენტრი გახდა.

თ. ვ. წერეთელი აქტიურად მონაწილეობდა საკანონმდებლო აქტების მომზა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებაში, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის შემუშავებასა და მისი სამეცნიერო-პრაქტიკული კომენტარის შედგენაში. „იურიდიული ტერმინოლოგიის" რუსულ-ქართული ნაწილის გამოცემაში.

ნაყოფიერი სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის გარდა, თ. ვ. წერეთელი მნიშვნელოვან საზოგადოებრივ მუშაობასაც ეწეოდა. იგი არაერთგზის იყო არჩეული თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს დეპუტატად. სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე თ. ვ. წერეთელი იყო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის წევრი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი, ბევრი ჟურნალის სარედაქციო კოლეგიების წევრი.

თ. ვ. წერეთლის თავდადებულმა შრომამ და ხალხის უანგარო სამსახურმა: აღალი შეფასება დაიმსახურა. მას მიენიჭა მთავრობის ჯილდოები — შრომის წითელი დროშისა და „საპატიო ნიშნის" ორდენები, აგრეთვე მედლები და სხვა ჯილდოები.

თ. ვ. წერეთლის ნათელი სახე, მეცნიერის შთაგონებული და ღრმა სიტყვა, ზნეობრივი სისპეტაკე, უსაზღვრო კეთილმოსურნეობა და ურყევი პრინციპულობა მუდამ ეხსომებათ მის მეგობრებს, თანამშრომლებს და მოწაფეებს, ყველას ვინც მას იცნობდა.

ე. შევარდნაძე, პ. გილაშვილი, გ. ენუქიძე, ა. ინაური, გ. კოლგინი, ო. კულიშევი, თ. მენთეშაშვილი, ზ. კატარიძე, ჯ. კატიაშვილი, ო. ჩერქეზია, ზ. ჩხეიძე, ნ. ჭითანავა, ს. ხაგეიშვილი, გ. ადლეიგა, თ. მოსაშვილი, ვ. კაკუნიძე, ფ. სანაკოევი. ჟ. შარტავა, ე. ხარაძე. ი. გვერდწითელი, ს. დურმიშიძე, ა. ფრანგიშვილი, გ. ჯიგლაძე, ე. კუდრიავცევი, ე. სეხნიაშვილი, ნ. საჯაია, დ. ჩხიკვიშვილი, ა. გარაგაძე, გ. გვეტაძე, ა. კარანაძე, ა. შუშანაშვილი, გ. ტუეშელიაძე, ვ. კეშელავა, ა. გუნია, ს. ჯორგენაძე, ნ. ჟვანია, თ. შავგულიძე, ვ. ედიშერაშვილი.

●

გამოჩენილი მეცნიერის ხსოვნას

პროფ. თ. ვ. წერეთლის დაკრძალვისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს აკადემიკოსმა ა. ფრანგიშვილმა, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა თ. შავგულიძემ, პროფ. ს. ჯორგენაძემ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იურიდიული განყოფილების გამგემ, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა გ. ტუეშელიაძემ.

ეაქვეყნებთ ამ სიტყვებს:

ქართული იურიდიული მეცნიერების მესვეური

დღეს საქართველოს მეცნიერთა საზოგადოებრიობა ეთხოვება საქართველოში საზოგადოებრივი მეცნიერების ერთ-ერთი ძირითადი დარგის, იურიდიული მეცნიერების მესვეურს — თინათინ ვასილის ასულ წერეთელს.

წავიდა ჩვენგან გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი, ახალგაზრდობის გულისხმიერი აღმზრდელი, მასწავლებელი, პროფესორი. თინათინ წერეთლის მოღვაწეობის სახელთან არის დაკავშირებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მისი დაარსების დღიდან, ფუძემდებელი იურიდიული განათლების მაღალი დონის სახელოვანი ტრადიციების შენარჩუნება და მათი ფართო მასშტაბით შემოქმედებითი განვითარება. ათეული წლების მანძილზე თ. წერეთელი გულმოდგინედ ემსახურებოდა იურისტთა ახალი თაობების აღზრდას.

თინათინ წერეთლის მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში იურიდიული მეცნიერების სამეცნიერო ცენტრის — სამართლის სექტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის ჩამოყალიბება და ამ სექტორში იურიდიულ მეცნიერებათა ფუნდამენტური მიმართულებების განვითარება, სექტორში სამეცნიერო ძიებების წარმართვა ისეთ მაღალ დონეზე, რამაც საყოველთაო აღიარება პოვა და ფართოდ გაუთქვა სახელი ქართულ სამართალმცოდნეობას როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთ. თ. წერეთელი დირსეულად წარმოაჩენდა საბჭოთა იურიდიულ მეცნიერებას საერთაშორისო კონგრესებსა და სიმპოზიუმებზე.

თინათინ წერეთლის მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში სახელმწიფოსა და სამართლის მარქსისტულ-ლენინური თეორიის სამეცნიერო მიმართულების შემდგომი განვითარება. თ. წერეთელმა მრავალმხრივი მეცნიერული მუშაობის შედეგად მტკიცედ ჩამოყალიბებული იურიდიული კონცეფცია შექმნა, რის საფუძველზეც იმ სამეცნიერო დანაყოფებში, რომლებიც თინათინ წერეთლას ხელმძღვანელობით აწარმოებდნენ მეცნიერულ კვლევა-ძიებას, შესაძლებელი გახდა დამუშავებულიყო პრობლემათა ფართო კომპლექსი, რომელიც დაკავშირებულია სოციალისტური სახელმწიფოებრიობის შექმნასთან, სოციალისტური დემოკრატიის განვითარებასთან.

ჩვენს ქვეყანაში სამართლებრივი რეგულირება ქვეყნის სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის ერთ-ერთი წამყვანი ფორმაა. თინათინ წერეთლის მოღვაწეობის სახელთან არის დაკავშირებული ჩვენი რესპუბლიკის იურიდიულ უწყებათა პრაქტიკაში სამართლის სხვადასხვა დარგის ნორმების ეფექტიანობის ანალიზის კონკრეტული მეთოდების მეცნიერული დამუშავება და მათი დანერგვა.

თინათინ წერეთლის, როგორც ჭეშმარიტად საბჭოთა მეცნიერის, მიერ განვლილი ცხოვრების გზა ხასიათდება ფართო და მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი საქმიანობითა და მოღვაწეობით, რომელსაც იგი ეწეოდა როგორც სახალხო დეპუტატთა საბჭოს წევრი, იურიდიულ უწყებათა მრავალი სხვადასხვა ორგანიზაციის წევრი, სამეცნიერო ჟურნალებისა და სამეცნიერო გამოცემის სარედაქციო კოლეგიების წევრი, რედაქტორი და ა. შ.

თინათინ წერეთლის ამ ფასდაუდებელ სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას მისი სპეტაკი პიროვნების კვალი ამჩნევია.

თინათინ წერეთლის მაღალპიროვნული თვისებები მისი აღმზრდელი სახელოვანი ქართული ოჯახის, ვასილ წერეთლის ოჯახის კეთილშობილური გარემოცვის ვითარებებში ჩამოყალიბდა.

თ. წერეთელმა პირნათლად მოიხადა მეცნიერის და მოქალაქის ვალი. მისი სიცოცხლე დაუღალავი შემოქმედებითი ძიების პროცესში შეწყდა.

თინათინ წერეთლის როგორც ნამდვილი საბჭოთა მეცნიერის სახე, სახე შემოქმედის, ზნეობრივად ფაქიზი, უმწიკვლო ადამიანისა და შეუვალი პრინციპულობის მოღვაწისა მარად მისაბაძი იქნება მისი მეგობრების, თანამშრომლებისა და მოწაფეებისათვის, ყველასთვის, ვინც თინათინ წერეთელს იცნობდა.

ალექსანდრე ფრანგიშვილი.

ქართველ იურისტთა აღიარებული თავკაცი

ძვირფასო მეგობრებო! ერთეულთა ხვედრია ის საყოველთაო აღიარება, ნამდვილად გულწრფელი სიყვარული და სინანული, რომლითაც ქართველი ერი მიაცილებს უკანასკნელ გზაზე ღვაწლმოსილი მეცნიერის, დიდი მამულიშვილის, ლამაზი სულის ადამიანის, ქალბატონი თინათინის ცხედარს. ერთეულთა ხვედრია ასეთი აღიარება, ასეთი სიყვარული, ასეთი სინანული. ერთეულთა ხვედრია იმიტომ, რომ მხოლოდ ერთეულებს, ერის რჩეულებს ძალუძთ თავისი სიცოცხლითა და სიკვდილით თავისი სიტყვა თქვან, თავისი ხელწერა დატოვონ ამქვეყანაზე.

თინათინ წერეთელი პირველი და ერთადერთი დოქტორი იურისტი ქალია საქართველოში. პირველი დოქტორი ქალია საბჭოთა სისხლის სამართლის მეცნიერებაში და ერთადერთი იურისტი ქალია მთელ საბჭოთა კავშირში, რომელიც აკადემიის შემადგენლობაში იყო არჩეული. მხოლოდ რჩეულთა ხვედრია ამდენი „პირველი" და „ერთადერთი", მაგრამ ეს არ არის მთავარი და ყოვლისმეტყველი, რადგან თინათინ წერეთელი თავის ოფიციალურ ტიტულებზე მაღლა იდგა ყოველთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისმა მეცნიერულმა მოღვაწეობამ მაღალი ადგილი მიუჩინა სამართალმცოდნეობას ქართულ მეცნიერებაში და უდავოდ აამაღლა საბჭოთა სისხლის სამართლის მეცნიერების დონე.

თინათინ წერეთელი, ქართული იურიდიული მეცნიერების აღიარებული თავკაცი იყო, მეცნიერების მთელი დარგის თავკაცობა — ეს უკვე მხოლოდ რჩეულთა შორის რჩეულის ხვედრია.

თინათინ წერეთელი ღრმა, ლოგიკური, კონსტრუქციული აზროვნების მეცნიერი იყო. იგი გამოირჩეოდა მეცნიერული კეთილსინდისიერებით, პრინციპულობით, ვაუკაცური შემართებით.

თინათინ წერეთელი, როგორც მეცნიერი, არასდროს არ მოხუცებულა, არ დაუძლურებულა, იგი ყოველთვის ახლის ძიებაში იყო და ზეზეულად გარდაიცვალა. მას ნაშრომი დარჩა დაუმთავრებელი. ითხოვდა შეემსუბუქებინათ საშინელი ტკივილები, შეემსუბუქებინათ სულ ერთი დღით, რადგან სულ ერთი დღე სჭირდებოდა თავისი უკანასკნელი მეცნიერული სიტყვის სათქმელად.

თინათინ წერეთელი ბრწყინვალედ ფლობდა სამართლის მეცნიერების რამდენიმე დარგს: სისხლის სამართალს, სამოქალაქო სამართალს, სახელმწიფოსა და სამართლის თეორიას. იგი კარგად იყო დაუფლებული მარქსისტულ ფილოსოფიას და ფსიქოლოგიას. სწორედ ფართო ერუდიციამ და მეცნიერების მომიჯნავე დარგების ღრმა ცოდნამ მისცა მეცნიერს საშუალება შეექმნა ფუნდამენტური ნაშრომები, რომლებმაც საყოველთაო აღიარება მოუტანეს მას და საქვეყნოდ გაუთქვეს სახელი ქართულ სამართლებრივ მეცნიერებას. თინათინ წერეთლის ფუნდამენტური, შეიძლება ითქვას, კლასიკური ნაშრომი „მიზეზობრივი კავშირი სისხლის სამართალში" აღიარებულ იქნა მსოფლიო იურიდიულ ლიტერატურაში ამ პრობლემაზე დაწერილ საუკეთესო ნაშრომად.

მაღალი აბსტრაგირების უნარის მქონე მეცნიერს თითქოსდა ყველაზე განყენებული თეორიული დებულების დაკონკრეტების, მისი პრაქტიკულად გამოყენების საოცარი ალღო ჰქონდა, სწორედ ამიტომ იყო ყველა მისი თეორიული დებულება მაღალი პრაქტიკული ღირებულების მატარებელი. სწორედ ამიტომ იყო გასაგები მისი სიტყვა სპეციალისტისა თუ არასპეციალისტისათვის, სტუდენტის, მეცნიერისა თუ პრაქტიკოსი იურისტისათვის.

ბუნებით ზსაჯული იყო თინათინ წერეთელი. სამართლიანობა იყო მისი ცხოვრების ქვაკუთხედი და ალბათ ამიტომ არასდროს არ მოწყვეტილა იგი ერის მართლმსაჯულების მაჯისცემას, არასდროს არ მიუჩნევია მას კანონმდებლობა თუ მართლმსაჯულება მეცნიერებისათვის წვრილმანად და ალბათ ამიტომ შეალია მან ამ საქმეს თავისი ცოდნის, ნიჭისა და გონების მნიშვნელოვანი ნაწილი.

დიახ! თინათინ წერეთელი დიდი მეცნიერი იყო, მაგრამ მხოლოდ ამით იგი ვერ გახდებოდა იურიდიული მეცნიერების თავკაცი.

თინათინ წერეთელი კარგი მეცნიერ-ორგანიზატორიც გახლდათ. მან შექმნა და სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე უნარიანად ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის სექტორს, რომელიც დღეს საქართველოში იურიდიული მეცნიერების მნიშვნელოვან საკვლევაძიებო ცენტრად იქცა.

თინათინ წერეთელმა აღზარდა მრავალი პრაქტიკოსი და მეცნიერი იურისტი, მაგრამ ეს არ არის მთავარი.

თინათინ წერეთელმა შექმნა ქართული სისხლის სამართლის სკოლა, რომელსაც საზღვარგარეთაც კი იცნობენ და აღიარებენ როგორც „თინათინ წერეთლის სკოლას".

დიახ! თინათინ წერეთელმა შექმნა ქართული სისხლისსამართლებრივი სკოლა, წერეთლისეული ხელწერით, მეცნიერული სიღრმით და გაქანებით, წერეთლისეული სინდისითა და პატიოსნებით.

მოიხვეჭო სკოლის დაპაარსებლის, ფუძემდებლის სახელი — ეს უკვე რჩეულთა შორის მხოლოდ ურჩეულესთა ხვედრია. ამისათვის საჭიროა იყო ისეთი, როგორებიც იყვნენ ივანე ჯავახიშვილი, დიმიტრი უზნაძე, გიორგი წერეთელი. იყო ისეთი, როგორიც იყო თინათინ წერეთელი. მას ხომ საამისოდ ყველაფერი უწყობდა ხელს — მამულიშვილობა, ოჯახიშვილობა, დედ-მამიშვილობა, გარეგნობა, დახვეწილი მეტყველება, კულტურა, ზრდილობა და ტაქტი, ხელს უწყობდა მისი მასწავლებელი — დიდი იურისტი და მოქალაქე ლუარსაბ ანდრონიკაშვილი და მისი ცხოვრების განუყრელი მეგობარი, თვალსაჩინო მეცნიერი და ძლიერი პიროვნება ვლადიმერ მაყაშვილი, ხელს უწყობდა სიყვარული, სითბო და სინაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აზრდებოდნენ თინათინ წერეთლის მოწაფეები, იძენდნენ მეცნიერულ თუ თანამდებობრივ სტატუსს, იცვლებოდა მათი სოციალური მდგომარეობა; არ იცვლებოდა მხოლოდ ერთი — ახალი ყოველთვის რჩებოდნენ თავისი მასწავლებლის მოწაფეებად, ამასთან ყოველთვის გრძნობდნენ მასწავლებლის კონტროლს, რადგან, რაოდენ მოწიფულიც უნდა გახდეს ადამიანი, მას ყოველთვის სჭირდება მისი სულისა და ქცევის უზენაესი მსაჯული. ასეთი იყო და ასეთად დარჩა სიცოცხლის ბოლომდე მისი მოწაფეებისათვის თინათინ წერეთელი.

არ ვიცი, რა ტიტულებსა და წოდებებს მიაღწევენ თინათინ წერეთლის მოწაფეები, მაგრამ, ვფიქრობ, ამ წოდებებს შორის ყველაზე დიდ და საპატიო წოდებად მათთვის ყოველთვის იქნება „თინათინ წერეთლის მოწაფის“ წოდება. და თუ ეს ასეა, მაშინ თინათინ წერეთელი ყოველთვის იქნება მისი მოწაფეების სინდისის უზენაესი მსაჯული, მათი შემაკავშირებელი, მათი სულიერი წინამძღოლი. მაშინ არ მოკვდება თინათინ წერეთელი, არ მოკვდება ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, არ მოკვდება მათ მიერ წამოწყებული დიდი ეროვნული საქმე და ეს იქნება ამ ორი დიდი ქართველი იურისტისა და საზოგადო მოღვაწის უკვდავების ძეგლი.

სულ ერთი წლის წინათ აქ, საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, ჩვენთან ერთად ქალბატონი თინათინი ეთხოვებოდა ჩვენს საყვარელ ადამიანს, მდიდარი სულის პიროვნებას, თვალსაჩინო იურისტს, პროფესორ გივი ყვანიას. „უსამართლობაო, — თქვა მაშინ ქალბატონმა თინათინმა, — შენს დაკრძალვაზე მე, შენზე უფროსი სიტყვას რომ გეუბნებიო“. მართლაცდა, უსამართლობა იყო გივი ყვანიას ასე ნაადრევი სიკვდილი. თქვენ ქალბატონო თინათინ, მუდამ უსამართლობას ებრძოდით, მაგრამ თქვენი სიკვდილით ამ ერთ უსამართლობას კიდევ მეორე უსამართლობა მიუმატეთ ახლოდ და ეს ორი უსამართლობა მძიმე ტვირთად დააწვება ქართული სამართლის მეცნიერებას.

მშვიდობით ჩვენო საყვარელო მასწავლებელო, მშვიდობით ქართველი ერის დამამშვენებელო, მშვიდობით ნართალო, თბილო და ლამაზო ადამიანო, ქალბატონო თინათინ!

თამაზ შავგულიძე.

სისხლის სამართლის მეცნიერების სკოლის ხელმძღვანელი

წილად მხვდა მძიმე მოვალეობა — უკანასკნელად გამოვეთხოვო თბილისის უნივერსიტეტის სახელით მის დირსეულ აღზრდილს — შესანიშნავ პროფესორ ქალს თინათინ წერეთელს.

1922 წელს მოვიდა იგი აქ როგორც სტუდენტი ახლად გახსნილი სოციალურ-ეკონომიური (იურიდიული) ფაკულტეტისა. თბილისის უნივერსიტეტში გაიფურჩქნა მისი ნიჭი საქართველოში უმაღლესი იურიდიული განათლების მესაძირკვლის ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ხელმძღვანელობით. მას შემდეგ პროფესორ თინათინ წერეთელის მრავალმხრივი, ნაყოფიერი მეცნიერულ-პედაგოგიური და ორგანიზატორული მოღვაწეობის აზრი ალმა-მატერის მეცნიერული პრესტიჟის ამაღლებას მიზანს ემსახურებოდა. 1926 წელს ამთავრებს იგი უნივერსიტეტს. ეს არის პირველი წელი ეროვნული იურიდიული კადრების გამოშვებისა. 47 წლის წინათ, 1933 წელს დაიწყო მან პედაგოგიური მოღვაწეობა თბილისის უნივერსიტეტში, როცა იგი ასისტენტად დაინიშნა, შემდეგ უფროს მასწავლებლად, 1938 წელს — დოცენტად, ხოლო 1950 წლიდან პროფესორად: 1950-1952 წლებში იგი იურიდიული ფაკულტეტის დეკანია. წლების მანძილზე სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარეა. ორმოცი წელზე მეტ ხანს კითხულობდა პროფესორი თინათინ წერეთელი ლექციებს თბილისის უნივერსიტეტში, აქედან შვიდი წელიწადი სამოქალაქო სამართალს.

მის მიერ წაკითხულ ძირითად და სპეციალურ კურსებს სისხლის სამართლის დარგში ვერასდროს ვერ დავიწყებენ მსმენელები. ამ ლექციების წყალობით იყო, რომ შემდგომ არა ერთი ახალგაზრდა გაიტაცა სისხლის სამართლის მეცნიერებამ. თუ ვინმეს ნიჭიერებასა და ბეჯითობას შეამჩნევდა, პროფესორი წერეთელი ყველაფერს იღონებდა, რომ მოეძებნა თბილისიდან წასული ახალგაზრდა, მოეყვანა, ეხელმძღვანელა და მეცნიერებისათვის ეზიარებინა. თავისი მასწავლებლის ლუარსაბ ანდრონიკაშვილის მსგავსად პროფესორი თინათინ წერეთელი სამართლის მეცნიერების ღირსებისა და ხიწმინდის უერთგულესი დარაჯი იყო, თავისი პედაგოგისადმი, დიდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი სწავლული იურისტისადმი, დრმა პატივისცემა პროფესორმა თინათინ წერეთელმა მისადმი მიძღვნილი საუკეთესო მონოგრაფიით გამოხატა.

წავიდა ჩვენგან შესანიშნავი მოქალაქე, პრინციპული მეცნიერი, მისი სახელი გასცდა ჩვენი დიდი ქვეყნის ფარგლებს, მას აღიარებენ, როგორც ახალი საზოგადოების სამართლის მეცნიერების უნიჭიერეს წარმომადგენელს.

პატრიოტი ექიმის ვასილ წერეთელის ოჯახმა ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო სამშობლოს — აღუზარდა 4 შვილი, მათ შორის ვაჟიშვილი გიორგი წერეთელი — საბჭოთა სემიტოლოგიის სკოლის აღიარებული მეთაური, და ქალიშვილი თინათინ წერეთელი — სისხლის სამართლის მეცნიერების ქართული სკოლის ხელმძღვანელი.

საუკუნო ხსოვნა ამ დიდებულ ქართველ ქალს!

სერგო ჯორბენაძე.

ჭეშმარიტი მეცნიერი და გულისხმიერი აღმზრდელი

დამავალეს გამოსათხოვარი სიტყვა გითხრათ ქალბატონო თინათინ, მაგრამ ძნელია, ძალიან ძნელი რამე გითხრათ რიგიანად, რადგან თქვენი ნათელი პიროვნებისა და ფასდაუდებელი ღვაწლის ჯეროვნად შეფასება ჩემს შესაძლებლობას აღემატება.

თქვენი პიროვნებისა და ღვაწლის შესახებ მომავალში სამპოზიუმები თუ სამეცნიერო სესიები მოეწყობა. ამიტომ შეეცდება თქვენი წარმოჩენილი პიროვნებისა და მეცნიერული შემოქმედების მხოლოდ რამდენიმე ნიშანთვისება დავახასიათო.

როდესაც თქვენ, ქალბატონო თინათინ, დაბადების 70 წელი შეგისრულდათ, მე მართლაც დიდი ბედნიერება მხვდა წილად — ამესახა თქვენი ცხოვრება და მეცნიერული შემოქმედება. წერილის მომზადებისას ასეთი კითხვით მოგმართეთ: რატომ შეარჩიეთ სამეცნიერო ასპარეზად სამართლის დარგი? თქვენ დაუყოვნებლივ მიპასუხეთ: ჩემი სამეცნიერო მოღვაწეობის მიმართულების განსაზღვრაში გადამწყვეტი როლი პროფესორ ლუარსაბ ანდრონიკაშვილს მიუძღვისო. ამ ლაკონიურ პასუხში ჩანდა უდიდესი პატივისცემა და მოკრძალება ბატონ ლუარსაბისადმი, მოწაფის სანიმუშო ერთგულება მისი სახელოვანი მასწავლებლისადმი. ამასთან, ამ პასუხით გამოვლინდა თქვენი უდიდესი თავმდაბლობაც. უფრო ზუსტად, თავი შეიკავეთ ამომწურავი პასუხისაგან, რადგან მაშინ თქვენს თავზე უნდა გელაპარაკათ. ეჭვს გარეშეა, სამართლის მეცნიერების შერჩევაში ბატონ ლუარსაბის მრავალმხრივ განათლებასთან, მის ბრწყინვალე ნიჭთან, წარმტაც და ღრმაშინაარსიან ლექციებთან ერთად თქვენმა ინტელექტმა, ნიჭიერებამ, შინაგანმა კულტურამ და რაც მთავარია, მაღალმა ზნეობრიობამ იჩინა თავი. ზნეობრიობა ხომ საზოგადოდ იურისტის სპეციალობის თანაარსი, იმამენტური თვისებაა, თქვენთვის იურისტის ზნეობრივ პრინციპებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. თავადაც ფაქიზი და თანაც მკაცრი, უკომპრომისო მორალის ადამიანი, ამ მხრივ უაღრესად მომთხოვნი იყავით ყველას მიმართ, განსაკუთრებით სამართლის დარგის მუშაკებისადმი. მე კარგად მახსოვს ჩვენთვის, იურიდიული ფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტებისათვის, 1952 წელს ჩატარებული თქვენი ბოლო ლექცია. ეს ლექცია მთლიანად სამართლისა და ზნეობის ურთიერთდამოკიდებულებას მიუძღვენით, თანაც აქცენტი გადაიტანეთ იურისტის პიროვნების ზნეობრივ მრწამსზე. მის ზნეობრივ პოზიციაზე, ამ ლექციის დედაარსი ის იყო, რომ ახალგაზრდა, რაგინდ ნიჭიერი და ბეჯითიც არ უნდა იყოს იგი, ვერ გახდება ნამდვილი იურისტი, თუ არ ჩამოყალიბდა როგორც სანიმუშო მოქალაქე, სპეტაკი, პრინციპული, შეუპოვარი მსახური სამართლიანობისა.

თქვენ უაღრესად გულისხმიერი აღმზრდელი ბრძანდებოდით, ხასიათოცხლო მოთხოვნილებად მიგაჩნდათ ახალგაზრდობასთან სიახლოვე, ფართო მეცნიერულ ერუდიციასა და პედაგოგიურ გამოცდილებას დაუშურებლად ახმარდით მეცნიერ-მუშაკად აღზრდას, სჯა-ბაასის, ზოგჯერ დაძაბული მეცნიერული კამათის დროს მოწაფეები ვერ ვგრძნობდით ინტელექტუალურ დიქტატს. თქვენთვის მთავარი იყო მეცნიერული არგუმენტაცია. მოწაფის დასაბუთებული პასუხი, თუნდაც იგი თქვენი შეხედუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლების საწინააღმდეგო ყოფილიყო, თქვენს უდიდეს კმაყოფილებას იწვევდა. საზოგადოდ კი გულწრფელად გახარებდათ თითოეული თქვენი მოწაფის მეცნიერული წარმატება. ჩვენ არასდროს არ დაგვავიწყდება როგორ აღფრთოვანებით ხვდებოდით მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, სხვა სამეცნიერო ცენტრების სწავლულ იურისტთა წერილებს, რომლებშიც თქვენი რომელიმე მოწაფის ნიჭიერებაზე იყო საუბარი. ასეთ წერილს დიდსა თუ პატარას, აკადემიასა თუ უნივერსიტეტში ყველას აცნობდით. ეს თქვენთვის მართლაც დღესასწაული იყო. იმავდროულად ვერ იტანდით პირფერობასა და მლიქვნელობას. იყავით პრინციპული, პირდაპირი, როდესაც საქმე მეცნიერებას ან მეცნიერულ კადრებს შეეხებოდა. ამ პირნციპულობიდან, ბუნებრივი ნიჭიდან, ძლიერი ნებისყოფიდან, ლოგიკური აზროვნებისა და საკითხის არსში წვდომის უნარიდან, ფილოსოფიაში, ფსიქოლოგიასა და სამართლის სხვადასხვა დარგში ღრმა განსწავლულობიდან წარმოდგებოდა თქვენი მეცნიერული გამბედაობა. მრავალთაგან მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიყვან.

მიზეზობრიობის პრობლემა ურთულესი პრობლემაა სამართალში. ერთერთმა გერმანელმა სამართალმცოდნემ მას „შიშის მომგვრელი პრობლემა“ უწოდა. თქვენ, ქართველმა საბჭოთა მეცნიერმა ქალმა, სწორედ ეს „შიშის მომგვრელი“ პრობლემა აირჩიეთ კვლევის საგნად; შექმენით გამოკვლევა სისხლის სამართალში მიზეზობრიობის შესახებ, რომელიც ორჯერ გამოიცა და ჩვენშიც და მრავალ სხვა ქვეყანაშიც ნიადაგსახმარ წიგნად იქცა. ეს გამოკვლევა საკითხების წრით, კვლევა-ძიების მასშტაბით, ფართო ინფორმაციით, განმაზოგადოებელი დასკვნებით ფაქტობრივად წარმოადგენს მოკლე კურსს მოძღვრებისა დანაშაულის შესახებ.

უაღრესად მომთხოვნი იყავით საკუთარი თავისადმი. პირველყოვლისა, თქვენი შემოქმედებით გვასწავლიდით, რომ მეცნიერი ნაშრომთა რაოდენობითა და მოცულობით კი არ უნდა იყოს გატაცებული, არამედ პრობლემის დასაბუთებული და შემოქმედებითი გადაწყვეტით.

თუ ბუნებისაგან ნიჭიერებით დაჯილდოებულ ადამიანს თან შრომის უნარიც მოსდგამს, მაშინ იგი მეცნიერების ასპარეზზე სასახელო წარმატებებს მოიპოვებს. ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდით თქვენ ქალბატონო თინათინ. ჩვენ, თქვენს მოწაფეებსა და კოლეგებს, მეტად გვანცვიფრებდა თქვენი დაუცხრომელი გარჯა, დღენიადაგ მუშაობა სიცოცხლის უკანასკნელ თვეებშიც კი. სწორედ თქვენი სიცოცხლის მიწურულს გამოაქვეყნეთ მეტად საინტერესო სტატია მართლწინააღმდეგობის ურთულესი პრობლემის შესახებ საკავშირო ჟურნალ „პრავოვედენიაში“, ხოლო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ თქვენი თანაავტორობით უკვე დასტამბა მონოგრაფია „სიცოცხლეზე ხელყოფისათვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ“.

მაღალი მეცნიერული ინტელექტი, ფართო განათლება, შინაგანი კულტურა გახდა საფუძველი იმისა, რომ თქვენი სახელი ფართოდ იყო ცნობილი მთელ კავშირში, სოციალისტურ და სხვა ქვეყნებში. თქვენ სხვადასხვა ქვეყნის სწავლულთა მეგობრობის მქადაგებელი იყავით. როდესაც სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კოდესპონდენტს პროფესორ ვლადიმერ კუდრიავცევს თქვენი გარდაცვალების ამბავი შევატყობინე, მან მითხრა, ნეკროლოგზე ხელის მოწერა ჩემთვის უაღრესად დიდი პატივი იქნებაო.

ქალბატონო თინათინ, კიდევ ბევრი და ბევრი შემიძლია ვილაპარაკო თქვენს შესახებ თუნდაც იმიტომ, რომ თქვენი წასვლით თავკაცი დააკლდა ჩვენს ქართულ საბჭოთა იურიდიულ მეცნიერებას.

მართლაც რომ მაღლი და დიდება თქვენ და თქვენს გამჩენს. მშვიდობით, ქალბატონო თინათინ.

გიორგი ტუღუშელიაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგი საჩუქრები ქართველ იურისტებს

ახალი სერიის პირველი ნომერი



ხელისმომწერებმა მიიღეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მაცნეს“ ეკონომიკისა და სამართლის სერიის პირველი ნომერი. იგი მიმდინარე წლიდან გამოიცემა ცალკე, გამოვა წელიწადში ოთხჯერ, 7 საავტორო თაბახის მოცულობით. „მაცნეს“ ამ სერიაში გამოქვეყნდება წერილები ეკონომიკისა და სამართლის მეცნიერების აქტუალურ პრობლემებზე.

პირველ ნომერში რედაქცია გვაუწყებს, რომ ეკონომიკის დარგში სტატიები მიეძღვნება საერთოდ პოლიტიკური ეკონომიკის და, კერძოდ, განვითარებული სოციალიზმის ეკონომიკურ პრობლემებს, კომუნიზმში მისი დაზრდის კანონზომიერებებს, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საკითხებს, თანამედროვე ბურჟუაზიული და რევიზიონისტური ეკონომიკური თეორიების კრიტიკას და სხვ. ჟურნალი თავის ფურცლებზე ფართო ადგილს დაუთმობს ნაშრომებს, რომლებშიც მეცნიერულად იქნება შეფასებული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ეკონომიკის განვითარების, საწარმოო და არასაწარმოო სფეროების ეკონომიკის, ორგანიზაციის, დაგეგმვისა და მართვის, საერთოდ, სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის გზები. დიდი ყურადღება დაეთმობა სახალხო მეურნეობისა და ქართული ეკონომიკური აზრის ისტორიისადმი მიძღვნილი წერილების ბეჭდვას, გაიმართება დისკუსიები ეკონომიკური თეორიისა და პრაქტიკის თაობაზე.

სამართლის დარგში განზრახულია სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციების საფუძველზე დამუშავდეს ჩვენს რესპუბლიკაში სახელმწიფო მმართველობის ეფექტიანობის ამაღლებისა და მმართველობის აპარატის სრულყოფის, საბჭოთა მოქალაქის უფლებათა და თავისუფლებათა გარანტიების განვითარების საკითხები. ფართოდ გაშუქდება სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის, სამოქალაქო სამართლისა და პროცესის, სამეურნეო და შრომის სამართლის, სისხლის სამართლისა და პროცესის, აგრეთვე დანაშაულის მიზეზებისა და მისი პროფილაქტიკის, დამნაშავის პიროვნების თეორიული და პრაქტიკული პრობლემები. დაიბეჭდება სტატიები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის ,აგრეთვე საბჭოთა კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის შესახებ.

აღნიშნული სერია კარგი საჩუქარია როგორც თეორეტიკოსი, ისე პრაქტიკოს იურისტებისა და ეკონომისტებისათვის.

დ. ფენგელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალმანახი სახალხო მსაჯულებისათვის

საყოფიერად მუშაობს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსაჯულთა საბჭო (თავმჯდომარე გ. გასიტაშვილი), რომლის თაოსნობითაც სახალხო მსაჯულებისათვის ხშირად იმართება მოსკოვის და



რესპუბლიკის სწავლული იურისტების ლექციები სისხლის, სამოქალაქო სამართლის, აგრეთვე პროცესუალურ საკითხებზე, ეწყობა შეხვედრები ლიტერატურისა და ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეებთან. უმაღლესი სასამართლოს მსაჯულებისათვის შექმნილია სახალხო უნივერსიტეტი.

ამ ცოტა ხნის წინ საბჭომ კიდევ ერთი კარგი საქმე წამოიწყო, საზოგადოებრივ საწყისებზე სახალხო მსაჯულებისათვის გამოსცა ალმანახი — „ქმნა მართლისა". მასში გამოქვეყნებული წერილების, ჩანახატების, სხვადასხვა ცნობების ავტორების უმრავლესობა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრები და სახალხო მსაჯულები არიან.

ალმანახი, რომლის ტირაჟია 600 ეგზემპლარი, იხსნება მოწინავე წერილით, რომლითაც მკითხველი ეცნობა მის დანიშნულებას. ინსტიტუტის მეცნიერებათა კანდიდატი გ. გასიტაშვილი თავის სტატიაში მკითხველებს მოუთხრობს თუ რა საქმიანობას ეწევა რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსაჯულთა საბჭო. იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ვ. ლორია მიმოიხილავს მართლმსაჯულების კონსტიტუციურ საფუძვლებს. ალმანახში გამოქვეყნებულია აგრეთვე წერილები: აკად. ა. ზურაბაშვილისა — წესრიგისა და კანონის დაცვა ადამიანის კეთილდღეობის საწინდარია, მწერალ გ. ნატროშვილისა — აქტიური როლი, აკად. ვ. ჭავჭანიძის — კიბერნეტიკა და სამართლის პრობლემები, ნ. მელუაძი — კანონის ძალით, აქვე დაბეჭდილია პოეტ მ. ფოცხიშვილის ლექსი — თავისმართლება. ნარკვევების — „იცნობდეთ — გალინა ხუნწარია" და „სიტყვა მოსამართლეზე" — ავტორები ც. ცქიტიშვილი და ლ. ისაკაძე მკითხველებს აცნობენ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსაჯულის გ. ხუნწარიას და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის ნ. ერქომაიშვილის შრომით ბიოგრაფიებს. ალმანახში გამოქვეყნებულია ზოგიერთი საყურადღებო პროცესის შედეგები. კრებულს აქვს იუმორის კუთხე, იგი კარგად არის გაფორმებული, მთავარი მხატვარია კ. მახარაძე, მთავარი რედაქტორი ჩ. ლეზგიშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი 50 კაპ.

ინდექსი 7[illegible]